პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

# კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

## დღიური

— ბერლინის ქუჩებში 3 მაისსაც გრძელდებოდა შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის.
— ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სესია გაიხსნება 23 მაისს პრაღაში.
— შოტლანდიაში დაარსდა მემაღაროეთა რევოლიუციონური პროფკავშირი.
— საფრანგეთის მთავრობა აგებს 594 ახალ სამხედრო აეროპლანს.
— ინგლისელების ინტრიგები ირაქში.
— იაპონიაში შეფიქრიანებულნი არიან ინგლისის საქონლის კონკურენციით ჩინეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათი, 6 მაისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 101 (2447)

## კლასიური ომის დღე

### (პირველი მაისი კაპიტალისტურ ქვეყნებში)

პირველი მაისი წელს თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლას არაჩვეულებრივი გამძაფრებით ჩატარდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საპირველმაისო დემონსტრაციები ქალაქის მშრომელი მასების უძლიერეს იერიშის ხასიათს მიიღებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ბურჟუაზია თავიდანვე შეუდგა თადარიგს, რომ რაც შეიძლება „უმტკივნეულოდ" ჩაეტარებია მომავალი საფრთხე. მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერია კომუნისტური პარტიის გავლენა მუშათა კლასზე, ნამდვილი სამხედრო სამზადისი სწარმოებდა პირველი მაისისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო მენშევიზმმა აქაც უსაზიზღროესი მოღალატური როლი ითამაშა. საბოლოოდ წაიშალა ყოველივე ზღვარი ბურჟუაზიის ჟანდარმერიისა და ყველა ჯურის სოციალ-გაიძვერების შორის. საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, რუმინეთში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მენშევიკები საპირველმაისო დემონსტრაციის ჯალათების უშუალო როლს კისრულობდნენ. პოლიციის მთელი ოპერატიულ-ორგანიზაციული მუშაობა სოციალ-ჟანდარმების პირდაპირი და უაქტივესი მონაწილეობით ჩატარდა. წინდაწინვე დანაწილებული იყო ძალები, აღრიცხული ჰქონდათ ყველაზე მეტად „საშიში" მუშათა რაიონები, შემოღებულ იქნა სოციალისტების მორიგეობა პოლიციის სამმართველოებში და სხვ. განსაკუთრებით თავი ისახელა ამ მხრივ ყველაზე უფრო უსაძაგლესმა მოღალატე სოციალისტურ პარტიებს შორის—გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ. გერმანიაში პოლიციის ხელმძღვანელ მენშევიკების ინიციატივით, თავიდანვე მიღებულ იქნა უსასტიკესი ზომები პირველი მაისის დღესასწაულის სრულიად ჩასაშლელად.

არ სდუმდა პრესაც. თითქმის ყველა პერიოდული გამოცემანი, კომუნისტური გაზეთების გამოკლებით, ერთხმად აყაყანდა პირველი მაისის მოლოდინში. კაპიტალისტური ქვეყნების არაკომუნისტური მიმართულების გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის და საბჭოთა კავშირის ცილისწამებაში და აქაც, ყველაზე წინ, როგორც ამას ავალებს მოვალეობა, მიდიოდა გერმანიის სოციალ-პოლიციელების მთავარი ორგანო, „ფორვერტს"-ი.

წინდაწინვე მზადდებოდა სისხლის ღვრა იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი თავის საერთაშორისო სოლიდარობის აღსანიშნავად გაბედავდა ქუჩაში სადემონსტრაციოთ გამოსვლას. ამავე დროს პასუხისმგებლობას ყოველივე მოსალოდნელ ხიფათისათვის წინდაწინვე კომუნისტურ პარტიებს აკისრებდნენ.

ვერ გასჭრა რეაქციის ვერავითარმა „გამაფრთხილებელმა" ღონისძიებებმა. პროლეტარიატი თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიის მეთაურობით იშვიათი აღტყინებით გამოვიდა ქუჩაში თავისი რევოლიუციონური ძლიერებისა და საერთაშორისო სოლიდარობის აღსანიშნავად. და სწორედ იქ, სადაც ყველაზე მეტი ზომები იყო მიღებული საპირველმაისო დღესასწაულის ჩასაშლელად, ყველაზე უფრო რევოლიუციონური ხასიათი მიეცა მუშების დემონსტრაციას. ისეთი ამბები დატრიალდა ბერლინის ქუჩებზე, როგორიც, თვით ბურჟუაზიული პრესის სიტყვით, არ ახსოვს გერმანიას უკანასკნელი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში. ბერლინის და მასთან ერთად გერმანიის სხვა ქალაქების პროლეტარიატი არ შეუშინდა რეაქციის მუქარას, მან არავითარი მსხვერპლის წინაშე არ დაიხია. ბერლინის ქუჩებზე, ბარიკადებზე ბრძოლაში დაიღვარა პროლეტარიატის სისხლი, მსოფლიო კომუნიზმის და მისი ერთად-ერთი ციხესიმაგრის საბჭოთა კავშირის იდეების დასაცავად.

წარსულთან შედარებით აგრეთვე დიდი რევოლიუციონური ენტუზიაზმით ჩატარდა მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაული ბევრ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. თავისთავად ცხადია, რომ პირველი მაისის დემონსტრაციების იშვიათი აქტიობა მიმდინარე წელს შედეგია კლასიური ბრძოლის გაძლიერების იმ პროცესის, რომელიც სათავეს ღებულობს კაპიტალისტურ ქვეყნების დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში. მენშევიკების დახმარებით ბურჟუაზია აქტიურ შეტევაზე გადავიდა მუშათა კლასის წინააღმდეგ. თითქმის ყველგან ფაქტიურად გაუქმებულია რვა საათის სამუშაო დღე. კაპიტალისტური რაციონალიზაცია მხეცური ექსპლოატაციის საშუალებათ გადაიქცა მწარმოებელთა ხელში. ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მძვინვარებს თავაშვებული ფაშისტური რეაქციონური ტერორი. მსოფლიო კაპიტალიზმი გამალებით ემზადება ომისათვის, რომელიც პირველ რიგში მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა ობიექტიური აუცილებლობით პირდაპირი გზით მიაქანებს კაპიტალისტურ ქვეყნებს მშრომელ მასებთან სამოქალაქო ომის გამძაფრებისაკენ. მიმდინარე წლის პირველ მაისის ამბებში ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ცხადჰყო. პირველ მაისმა უდიდესი პოლიტიკური და მორალური გამარჯვება არგუნა მსოფლიო კომუნიზმს. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც წარმოადგენს ნამდვილი პროლეტარული რევოლიუციონური ბრძოლის მეთაურს, რომელიც რაზმავს მუშათა კლასს, ეს არის მხოლოდ კომუნისტური პარტია, პარტია ლენინის. **ის არა თუ იქცა მასიურ პარტიად, არა მარტო გაფართოვდა მისი გავლენა მუშათა მასებზე, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მისი მიმდევარი მასები წარმოადგენს აქტიურ ძალას, რომელიც მზად არის გავიდეს ბრძოლის პირველ ხაზზე თავისი პარტიის პირველი დაძახებისთანავე.**

მეორეს მხრივ დღეს ყველა შეგნებულ მუშისათვის აშკარაა, რომ მენშევიზმს, რომელიც თვალთ ასახვევად ფორმალურად მაინც არ სწყვეტდა კავშირს საერთაშორისო პირველი მაისის დღესასწაულთან, აღარაფერი აქვს საერთო მუშათა კლასის ამ დიად დღესთან.

1 მაისი კომუნისტური ინტერნაციონალის და მის დროშის ქვეშ დარაზმული მშრომელი მასების დღესასწაულია. 1 მაისი გზაა მსოფლიო ოქტომბრისაკენ.

გაუმარჯოს კაპიტალისტურ რეჟიმის რღვევას, საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის შტაბს, კომუნისტურ ინტერნაციონალს!

## საარჩევნო ბრძოლა ინგლისში

### (წერილი ლონდონიდან)

მართალია, უკვე რამდენიმე ხანია, რაც წინასწარი შეტაკებები ხდებოდა, რაიცა გამოწვეული იყო ლოიდ ჯორჯის ნაადრევი გამოსვლით ბრძოლის ასპარეზზე, მაგრამ ნამდვილი კამპანია საპარლამენტო არჩევნებისათვის, რომელიც მაისის ბოლო რიცხვებში მოხდება, მხოლოდ 8 აპრილს დაიწყო. ამ დღეს დაიწყო ლიბერალების დიდი საავტომობილო ტურნე, ეგრედ-წოდებული „ცირკი", ჰერბერტ სამუელის მეთაურობით. ამ დღეს სამხედრო მინისტრმა, სერ ევანსმა გახსნა საარჩევნო სიტყვების სერია, რომელიც უმავთულო ტელეგრაფით იქნება გადაცემული, ბალდუინმა თავისი სააღდგომო შვებულება კონსერვატორთა საარჩევნო პროგრამის შედგენას მოანდომა. მუშათა პარტიის პროგრამა ახლა იბეჭდება და რამდენიმე დღეში დარიგდება. ბოლოს, კომპარტიამ, რომელიც პირველად გამოდის დამოუკიდებლად საარჩევნო ბრძოლაში, ყველაზე ადრე გამოაქვეყნა თავისი მანიფესტი.

ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს განსხვავებული რამ არის. კომპარტიას ყოველი კავშირი გაწყვეტილი აქვს ბურჟუაზიულ მუშათა მოძრაობასთან და მის წარმომადგენელთან—მუშათა პარტიასთან, და ის ნამდვილი პროლეტარული პროგრამით გამოდის. კომპარტიას სურს კამპანია აწარმოოს როგორც ახალმა პარტიამ, რომელიც უპირდაპირდება ყველა დანარჩენ პარტიას. არჩევნები მისთვის თვითმიზანი კი არ არის, როგორც სამი ბურჟუაზიული პარტიისთვის, არამედ პროპაგანდის საშუალება.

„მთელი კამპანიის განმავლობაში,—ნათქვამია კომუნისტების მანიფესტში,—პარტია ბრძოლას აწარმოებს ყველა საკითხის გარშემო, იგი მუშების სახელით შეურიგებელ ომს გამოუცხადებს კაპიტალიზმს. მისი საბრძოლველი ლოზუნგია: „კლასი კლასის წინააღმდეგ".

მაშინ, როცა სამი დანარჩენი პარტია მიზნად ისახავს კაპიტალიზმის განმტკიცებას, კომპარტია კაპიტალიზმის დამხობას ცდილობს. მუშათა პარტიის „ინდუსტრიული ზავის" პოლიტიკას, ე. ი. კლასთა თანამშრომლობას ბურჟუაზიული კონტროლის ქვეშ, იგი უპირდაპირებს მუშათა რევოლიუციონურ მთავრობას, რომელიც „კომუნისტური საზოგადოების დამყარების საშუალებას წარმოადგენს". მუშათა პარტიის წვრილ-ბურჟუაზიულ ევოლიუციონიზმს იგი უპირდაპირებს ხელისუფლების დაპყრობას მუშათა კლასის რევოლიუციური ბრძოლის საშუალებით.

მხოლოდ რევოლიუციური მუშათა მთავრობა მოშლის საძირკვლიანად ინგლისის კაპიტალისტურ წესწყობილებას და მოახდენს ეკონომიური ცხოვრების რეორგანიზაციას. ამისთვის შემდეგი ზომებია საჭირო: მუშათა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება, სახელმწიფო ვალების გაბათილება, უკომპენსაციო ნაციონალიზაცია ბანკებისა და მთავარი სამრეწველო დარგებისა, საგარეო აღებ-მიცემობის კონტროლი, საქარხნო კომიტეტების დაარსება სამუშაო პირობების საკონტროლოდ, დამოუკიდებლობის მინიჭება ყველა ქვეყნისთვის, რომელნიც დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ იმყოფებიან.

კომპარტიის დღევანდელი მუშაობის შინაარსს წარმოადგენს მზადება რევოლიუციურ მუშათა მთავრობის დასამყარებლათ,—ნათქვამია მანიფესტში. ამ მთავარ მიზანს ექვემდებარება კომპარტიის უშუალო პრაქტიკული მოთხოვნილებანი, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილებაშიც; ასეთია უმუშევართა მდგომარეობის შემსუბუქება, ანტი-მუშური კანონების გაუქმება, სამუშაო ხელფასის აწევა, სოფლის მუშათა კანონმდებლობის გაუმჯობესება, მუშათა აღზრდის საქმის მოწესრიგება, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა უფლებების დაცვა, მონარქიის გაუქმება და სხვ.

კომპარტია დღეს ერთად ერთი პარტიაა, რომელიც მუშათა კლასის ავანგარდს წარმოადგენს. იგი პროლეტარიატის ნამდვილი ხელმძღვანელია კლასთა ბრძოლაში, რა სახითაც არ უნდა სწარმოებდეს ეს ბრძოლა, გაფიცვა, იქნება ის, არჩევნები თუ მანიფესტაცია.

კომპარტიის საარჩევნო მანიფესტი ნიღაბს ხდის და ამხელს სამ ბურჟუაზიულ პარტიას: კონსერვატიული პარტია ფინანსიური კაპიტალის და მონდიზმის პარტიაა; ლიბერალები საშუალო შეძლების კლასებს და მრეწველთა ერთ ნაწილს წარმოადგენენ; ხოლო წვრილ-ბურჟუაზიულმა მუშათა პარტიამ ყოველი კავშირი გასწყვიტა ისეთ პოლიტიკასთან, რომელსაც თუნდ შორეული მსგავსება ჰქონდეს სოციალიზმთან. ეს პარტია წარმოადგენს ბურჟუაზიულ ძალმომრეობას, ის ხმას აძლევს სამხედრო კრედიტებს, აძლიერებს ჯარს, სამხედრო ფლოტს და საჰაერო ფლოტს და მუშების დევნას აწარმოებს.

მანიფესტში ახსნილია, თუ რად შეიცვალა კომპარტიის პოლიტიკა მუშათა პარტიის მიმართ. ცვლილება იმიტომ კი არ მოხდა, რომ მუშათა პარტიის ბელადები დღეს უფრო დიდი მოღალატეები გამხდარიყვნენ, ვიდრე გუშინ იყვნენ, არამედ მიტომ, რომ მდგომარეობა შეიცვალა საყოველთაო გაფიცვისა და მაკდონალდის პირველი მთავრობის დაარსების შემდეგ. იმ დროს კომპარტია ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მჭიდროდ დარაზმულ და დისციპლინით გამსჭვალულ პარტიას, როგორც იგი დღესაა.

კომპარტიის გამოსვლამ მოთმინება დააკარგვია რეფორმისტების ბელადებს, ხოლო მათი გაზეთი „დეილი ჰერალდი" აიძულა ნაგავში მოეკრიფა კაპიტალისტური პრესის ურცხვი ჭორები და ცილისწამება. ისინი გაღმა შედავების პოლიტიკას ადგანან და წამდაუწუმ—„გვიშველეთ, გუშაგო!"—გაიძახიან.

რეფორმისტების შიში ადვილი გასაგებია; თითქმის ყოველ მათს ბელადს არჩევნებში კომუნისტების ბელადი დაუპირდაპირდება; ასე, მაგალითად, პოლიტი მაკდონალდის წინააღმდეგ გამოდის, ხოლო გალახერი ადამსონის წინააღმდეგ; ჰენინგტონი მარგარეტ-ბონფილდს დაუპირდაპირდება, ხოლო მერფი—მორისონს და სხვ. საერთოდ კომპარტიამ 25 კანდიდატი დაასახელა, მათ შორის 9 შოტლანდიის საარჩევნო ოლქებში, სახელდობრ ლანარკშირსა და ფაიფშირში, სადაც ბრძოლა რეფორმისტების წინააღმდეგ უეჭველად განსაკუთრებით მძაფრ ხასიათს მიიღებს.

ჯ. დავიდ.

ლონდონი.
1929 წ. 22 აპრილი.

## გერმანიაში გრძელდება მუშების შეტაკებები პოლიციასთან

### ცენტრალური საპირველმაისო კომიტეტი მოუწოდებს მუშებს მასიური საპროტესტო გაფიცვისაკენ

## მდგომარეობა გერმანიაში

### შეტაკებები პოლიციასთან

**ბერლინი**, 4 მაისი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, ნეიკელნში მომხდარი შეტაკების დროს 3 მაისს ტყვიით მოკლულ იქნა 3 ქალი აივანზე და ერთი ქუჩაში მიმავალი კაცი (ადს).

**ბერლინი**, 5 მაისი. ვოლფის სააგენტო მიუნხენიდან იუწყება: სამ მაისს ნაშუადღევს **კომუნისტებმა სცადეს გაემართათ საპროტესტო მიტინგი ბერლინში მომხდარი ამბების გამო. მიტინგი აკრძალა პოლიციამ.** პოლიციამ დაიკავა კოლოსეუმის დარბაზი, სადაც დანიშნული იყო მიტინგი, რის გამოც კომუნისტები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ მიტინგის გამართვაზე—**უკან დაბრუნებისას რამდენიმე ასეულმა კომუნისტმა გამართა დემონსტრაცია. როდესაც პოლიციამ სცადა მსვლელობის დაშლა, მოხდა რამდენიმე შეტაკება, რის შემდეგაც პოლიციამ დააკავა 40-მდე კაცი (ადს).**

### საპროტესტო გაფიცვები

**ბერლინი**, 5 მაისი. მიღებული ცნობებით, რურის ოლქში ტარდება საპროტესტო გაფიცვები უკანასკნელი სისხლისმღვრელი შეტაკებების გამო ჰანოვერში, ზოლინგენში, ჰალეში და გლეივიცში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები. ჰამბურგის სენატმა დაადგინა ძალაში დასტოვოს დემონსტრაციების აკრძალვა და აკრძალოს წითელ ფრონტელთა კავშირის სრულიად გერმანიის შეკრება, რომელიც დანიშნული იყო სამების დღისათვის.

### მოწოდება მასიურ საპროტესტო გაფიცვისაკენ

**ბერლინი**, 5 მაისი. პირველი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია **ბერლინის საწარმოთა წარმომადგენლების საერთო კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა მოუწოდოს ბერლინის პროლეტარიატს მასიურ საპროტესტო გაფიცვისაკენ ბერლინში მომხდარი სისხლიანი ამბების გამო.** რეზოლიუციის მიღებას წინ უძღოდა 30-მდე საწარმოს დელეგატების ცნობა მუშათა მასების აღშფოთების შესახებ. (ადს)

### საქარხნო კომიტეტების ხელახალი არჩევნები ჰამბურგში

**ბერლინი**, 5 მაისი. ჰამბურგის გემთსაშენში მოხდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ხელახალი არჩევნები, რადგან პროფკავშირთა რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ გააუქმა პირველი არჩევნები პროფკავშირთა რევოლიუციონური ფრთის ბრწყინვალე გამარჯვების გამო. ხელმეორედ გადარჩევის დროს მუშებმა კიდევ უფრო დიდი აქტივობა გამოიჩინეს და **რევოლიუციონურმა ფრთამ კიდევ უფრო დიდი გამარჯვება მოიპოვა, ვიდრე პირველი არჩევნების დროს. რევოლიუციონური ფრთის სიას ხმა მისცა 4.110 მუშამ, პირველ არჩევნებზე მიცემული 3.450 ხმის ნაცვლად.** სოციალ-დემოკრატიულმა სიამ მიიღო 2.670 ხმა 2.910-ის ნაცვლად.

გერმანიის კომპარტიის სანაპირო ოლქის ორგანიზაციის ორგანო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გადარჩევის შედეგი წარმოადგენს გემთსაშენის მუშების პასუხს სოციალ-დემოკრატების მიერ ბერლინის მუშების მკვლელობაზე (ადს).

## გერმანიის ქიმიური ტრესტის შეთანხმება „სტანდარტ ოილ"-თან

**ბერლინი**, გერმანიის ქიმიურ ტრესტთან ახლოს მდგომი „დეიჩე ბერგვერკსცეიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ შეთანხმება, რომელიც დადებულ იქნა ქიმიურ ტრესტსა და „სტანდარტ ოილ"-ს შორის, უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ შეთანხმების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ქიმიური ტრესტი უერთდება „სტანდარტ ოილ"-ს. შეერთების მიზანია საერთო მოქმედება ნახშირის ნავთად, ბენზინად და სხვა ნივთიერებად გადაქცევის საქმეში. შეთანხმება ეხება არა მარტო ამერიკას, არამედ მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებსაც. ამავე დროს მხედველობაში მისაღებია ის, რომ ნავთის მრეწველობას უაღრესად აინტერესებს ნახშირის ნავთად გადაქცევის პროცესი, ვინაიდან ამ გზით მას საშუალება ეძლევა დაამზადოს ნავთის უფრო იაფ ფასიანი ზეთი. აქ პირველ ყოვლისა, მხედველობაში აქვთ ზემოხსენებული პროცესის შეთანხმება კრეკინგ-პროცესთან, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ნავთის მძიმე ზეთს ავსებენ წყალბადით, რის შემდეგაც ის იქცევა ბენზინად. ხოლო თვით ნახშირის ნავთად გადაქცევის პროცესით „სტანდარტ ოილ"-ი არა თუ ადიდებს ნავთის პროდუქციის მომგებიანობას, არამედ იზოგავს თავის ნავთის წყაროებს.

დასასრულ, „ბერგვერკსცეიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ „სტანდარტ ოილ"-თან გაერთიანებით ქიმიურმა ტრესტმა მიიღო მთელი რიგი უპირატესობა საზღვარგარეთ თავისი ინტერესების დაცვის საქმეში და რომ ნახშირის ნავთად გადაქცევის პროცესის გამოყენება დიდ მატერიალურ შედეგებს მოიტანს. ამავე დროს ეს თანამშრომლობა როგორც „სტანდარტ ოილ"-ისათვის, ისე ქიმიური ტრესტისათვის ჰქმნის სხვადასხვა უპირატესობას ნავთის ამოღების და გადამუშავების სფეროში, რაც შეუძლებლად გახდის ყოველგვარ კონკურენციას. ქიმიური ტრესტის თანამშრომლობა „სტანდარტ ოილ"-თან უზრუნველჰყოფს ტრესტისთვის ისეთ საფინანსო გარანტიებს, რომლებიც მას საშუალებას მისცემენ დამოუკიდებელი იყოს ყოველგვარი ეკონომიური ან ფინანსიური კონიუნქტურისაგან გერმანიაში (სდს).

## „გლეხთა ახალი კავშირი" ლატვიაში

**რიგა.** როგორც „პედეა ბრიდი" (რიგის ბულვარული გაზეთი) იუწყება, რეგისტრაციაში იქნა გატარებული ახალი პოლიტიკური პარტია სახელწოდებით „გლეხთა ახალი კავშირი". ამ პარტიის ორგანიზატორები—ლეიკარტი, გრუნტე და სხვა პირები წინათ გლეხთა კავშირს ეკუთვნოდნენ.

ახალი პარტია მოითხოვს, რომ პრეზიდენტის არჩევნები ხდებოდეს საყოველთაო კენჭის ყრით და 5 წლის ვადით. მას ამავე დროს უნდა ეჭიროს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. გარდა ამისა, პარტია მოითხოვს სეიმის დეპუტატთა რიცხვის შემცირებას 50-დე, არჩევნების სისტემის შემოღებას უბნების მიხედვით, დეპუტატების პრივილეგიების მოსპობას და სხვ. (სდს).

## მემაღაროეთა მემარცხენე პროფკავშირის შექმნა შოტლანდიაში

**ლონდონი.** გლაზგოში გაიმართა შოტლანდიის მემაღაროეთა ახალი პროფესიონალური კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო დაახლოვებით 50 დელეგატი, შოტლანდიის ყველა სამთო-სამრეწველო რაიონის წარმომადგენლები. კონფერენციამ განიხილა პროფესიონალური მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობა და **ერთხმად დაადგინა—შექმნას ახალი პროფესიონალური კავშირი, რომელიც დაუპირისპირდება რეაქციონურ „შოტლანდიის მემაღაროეთა ნაციონალურ კავშირს".**

ახალ ორგანიზაციას ეწოდება „შოტლანდიის გაერთიანებული მემაღაროები". პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ცნობილი მოღვაწე, ლანკაშირის მემაღაროეთა პროფესიონალური კავშირის ყოფილი ხელმძღვანელი **ვილიამ ალანი.** კონფერენციამ დაავალა კავშირის აღმასკომს—იბრძოლოს რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის, 35 საათის სამუშაო კვირისათვის, დღიურ ხელფასად 12 შილინგის (დაახლოებით 6 მან.) დაწესებისათვის, და სხვა.

ახალი პროფესიონალური კავშირის დაარსების გადაწყვეტილებას დელეგატები აღფრთოვანებით შეხვდნენ. **ორატორები ერთსულოვნად ჰკიცხავდნენ რეფორმისტული პროფესიონალური კავშირის რეაქციონურ პოლიტიკას, რომლის ხელმძღვანელებიც ორატორების სიტყვით, მთლიანად გადავიდნენ ბურჟუაზიის მხარეზე.** ზოგიერთი ორატორი საგანგებოდ შეეხო კუკის საქციელს და დაჰგმო მისი უკანასკნელი გამოსვლები, რომლებიც მას რეაქციონერების მოკავშირედ ხდიან. (ს. დ. ს.)

## განიარაღების კომისიის სესიაზე

### კომპრომისი ვერ გამოინახა

**ჟენევა**, 4 მაისი. მარცხით დამთავრდა საკომპრომისო ფორმულის გამონახვის ცდა. ამ საკომპრომისო ფორმულას უნდა შეერიგებია გერმანია-საბჭოთა თვალსაზრისი სამხედრო მასალის მარაგის პირდაპირი შემცირების შესახებ იმ მრავალ ერების აზრთან, რომელიც დაჯგუფებულია საფრანგეთის ხელმძღვანელობის ირგვლივ და რომელიც დასაშვებად სცნობს სამხედრო მასალის არაპირდაპირ შემცირებას სამხედრო ბიუჯეტის საშუალებით. საფრანგეთის დელეგატი მასილი უარჰყოფდა გერმანიის საბუთს, რომლის თანახმადაც სამხედრო მასალის შემცირების განხორციელების შესაძლებლობა დამტკიცებულია გერმანიის განიარაღების მაგალითით (ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით), და მოითხოვდა ამ საკითხის გადადებას.

მასილის საპასუხოდ ბერნსტორფმა განაცხადა:

„მასილს, რომელსაც არ მოსწონს განიარაღების ასეთი სისტემა, უნდა მოვაგონოთ, რომ იგი აღმოაჩინა არა გერმანიამ, არამედ ვერსალის სახელმწიფოებმა. ეჭვს გარეშეა ერთი რამ: განიარაღება რომ ყველა ქვეყანაში ისევე საფუძვლიანად მომხდარიყო, როგორც გერმანიაში მოხდა, მაშინ მოსამზადებელ კომისიას სამი წლის განმავლობაში უნაყოფოდ არ მოუხდებოდა ამ საკითხის განხილვაო".

კეშენდენმა განაცხადა: გერმანიის თვალსაზრისი არ არის დამაჯერებელი, რადგან გერმანიის განიარაღება გამოწვეულია „სავსებით განსაკუთრებული პირობებითო". კეშენდენმა ვრცლად განავითარა თეზისი იმის შესახებ, რომ სუვერენულ სახელმწიფოსათვის მიუღებელია სამხედრო მასალის მდგომარეობის კონტროლი.

### ლიტვინოვის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ლიტვინოვი. მან იკითხა: **განზრახვა ხომ არ აქვს კომისიას—საერთოდ ხელი აიღოს განიარაღების პირობების განხილვაზე,** რაკი იგი ფიქრობს, რომ განიარაღების კონტროლი განუხორციელებელია.

„თუ, როგორც ფიქრობს ზოგიერთი დელეგატი, — სთქვა ლიტვინოვმა,— კომისიის მუშაობას არაფერი ნაყოფი არ მოჰყვება, მაშინ სახელმწიფოები არ მოისურვებენ ხელი აიღონ თავიანთ სუვერენობაზე და დაუშვან კონტროლი იმ კონვენციის შესრულებისათვის, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სერიოზულ მნიშვნელობას. თუ ლაპარაკი იქნება ნამდვილ განიარაღებაზე, რომელიც აგვაშორებს ომის საფრთხეს, მაშინ შეიძლება შევსწიროთ აბსოლიუტური სუვერენობის პრინციპი და არ გავილაშქროთ განიარაღების შემოწმების წინააღმდეგ".

### პოლიტისის წინადადება

ლიტვინოვის შემდეგ ილაპარაკა საბერძნეთის დელეგატმა პოლიტისმა, რომელიც შეეცადა უთანხმოება კომისიის უმრავლესობაში მიეჩქმალა უშინაარსო რეზოლიუციით. ლიტვინოვმა გადაჭრით გაილაშქრა ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ უმჯობესია აშკარად იქნას აღიარებული, რომ კომისიამ ვერ მიაღწია შეთანხმებას სამხედრო მასალის შეზღუდვის საკითხში, ვიდრე ისეთი რეზოლიუციის წარდგენა, რომელიც არაფერს არ უმატებს კომისიის მუშაობას. ბოლოს პოლიტისი იძულებული გახდა მოეხსნა თავისი რეზოლიუცია (ადს).

## ამსტერდამის ინტერნაციონალის მომავალი სესია

### სესიის დღის წესრიგი

**ბერლინი**, ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიულეტენი ბეჭდავს ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის მომავალი სხდომის საბოლოო დღის წესრიგს. აღმასკომის სხდომა გაიმართება 23 მაისს პრაღაში. ბიულეტენი ბეჭდავს აგრეთვე მუშა-ქალთა პროფკავშირების საერთაშორისო კომიტეტის სხდომის (მოწვეულ იქნება 11 და 12 ივნისს ამსტერდამში) და ახალგაზრდობის საერთაშორისო პროფკავშირთა კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს.

ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომის დღის წესრიგშია: ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმის 1928 წლის ანგარიში და მუშათა პროგრამა 1929 წლისათვის (მომხსენებელი **ზასენბახი**), საერთაშორისო მუშათა კონფერენციის მომზადება (მომხსენებელი **მერტენსი**), ეკონომიური მდგომარეობა და ამსტერდამის ინტერნაციონალის ეკონომიური პროგრამა (მომხსენებელი **ლეიპარტი**), ჯამაგირიანი შვებულება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის (მომხსენებელი **ტაიერლე**) და ამსტერდამის პროფკავშირთა მომავალი საერთაშორისო კონგრესის მოწვევის ადგილისა და დროის საკითხი (კონგრესი მოწვეულ იქნება 1930 წელს), განხილული იქნება კიდევ შემდეგი საკითხები: 1928 წლის მოქმედების ანგარიში და სარევიზიო კომისიის ანგარიში; 1929 წლის საფინანსო გეგმა, საწევრო გადასახადის შემცირება და ფინანსიური დახმარება ზოგიერთი ნაციონალური პროფკავშირების ცენტრებისათვის.

მუშა-ქალთა კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: დამოკიდებულება გათხოვილ ქალთა მუშაობისადმი (მომხსენებელი **ხანნა**), მუშა-ქალთა ხელფასი (მომხსენებელი **ბიურნიო**), მუშა-ქალთა ორგანიზაციის საერთაშორისო საპროფკავშირო კვირეული (მომხ. **შევენარი**) და საკითხი იმის შესახებ, მოხდეს თუ არა მუშა-ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, იმ დროს, როცა ამსტერდამის პროფკავშირთა საერთაშორისო კონგრესი მოხდება (ეს უკანასკნელი კონგრესი განზრახულია 1930 წელს).

ახალგაზრდებს შორის მომუშავე კომიტეტის წინადადებით განხილულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები: რამდენად არის შესაძლებელი დახმარება პროფკავშირთა საგანმანათლებლო მუშაობისათვის ცალკე ქვეყნებში და ინტერნაციონალური მასშტაბით, აგრეთვე როგორი მუშაობა შეიძლება იქნას განვითარებული ამ მხრივ საერთაშორისო მასშტაბით. შემდეგ, განხილული იქნება საკითხი იმის შესახებ, რომ ხელმეორედ გამოიცეს ბროშურები: „ახალგაზრდათა დაცვა საერთაშორისო მასშტაბით" და „მდგომარეობა ახალგაზრდათა დაცვის საქმეში სხვადასხვა ქვეყანაში". (ს. დ. ს.)

## საფრანგეთი იარაღდება

### სამხედრო გემების გაძლიერებული მშენებლობა

**პარიზი.** ლუარის ვერფების ადმინისტრაციის 1926—27 წლის ანგარიშით, საფრანგეთმა და უცხოეთის სახელმწიფოებმა ლუარის ვერფებს ასაშენებლად შეუკვეთეს 260 მილიონის სამხედრო გემები. საფრანგეთის ფლოტისათვის აშენებულ იქნა 1 კონტრნაღმოსანი, 2 წყალქვეშა ნავი და სხვ. პოლონეთის მთავრობამ ვერფებს შეუკვეთა 980 ტონიანი წყალქვეშა ნავები; სამხრეთ-სლავიის მთავრობამ შეუკვეთა 630 ტონიანი 2 წყალქვეშა ნავი და სხვ. ვერფების ადმინისტრაცია არ მალავს, რომ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოდ გაძლიერდა შეიარაღების საშუალებათა წარმოება საზღვაო ფლოტისათვის (სდს).

### ახალი სამხედრო აეროპლანები

**პარიზი.** მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკის მიუხედავად, ბურჟუაზია გაფაციცებით ემზადება ომისათვის. კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე" იუწყება, საჰაერო ძალების სამინისტრომ სხვადასხვა ქარხანას შეუკვეთა 594 სამხედრო აეროპლანი. აქედან 265 გამანადგურებელი აეროპლანია, 170 მზვერავი, 59 ყუმბარების მზიდავი ხუთ-ხუთი ტყვიამფრქვევით და ერთიც ზარბაზნითა და ორი ტყვიამფრქვევით შეიარაღებული აეროპლანია. გარდა ამისა, შეუკვეთა 100 სასწავლო აეროპლანი (სდს).

## ინგლისი არჩევნების წინ

### კონსერვატორების საარჩევნო პროპაგანდა

**ლონდონი.** ინგლისის კონსერვატორებმა სხვადასხვა საარჩევნო ოლქში გააცხოველეს საარჩევნო პროპაგანდა. კონსერვატორების ორგანიზაციებმა გააკრეს მრავალი პლაკატები, რომლებიც ახასიათებენ კონსერვატიული კაბინეტის „მიღწევებს" განვლილ პერიოდში და შეიცავენ დიდ დაპირებებს მომავლისათვის. როგორც ავტორიტეტულ წრეებიდან იუწყებიან, ამ პლაკატების ბეჭდვაზე კონსერვატორებმა დახარჯეს 1.000.000 გირ. სტერლინგი (დაახლოვებით 10.000.000 მანეთი).

### ბერნარდ შოუ და ინგლისის პარლამენტი

**ლონდონი.** ბერნარდ შოუმ (ცნობილი ინგლისელი დრამატურგი) დუნდის ამომრჩეველთა ერთი ჯგუფისაგან მიიღო წინადადება—წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატის სახით. ბერნარდ შოუმ გადაჭრილი უარი განაცხადა ამაზე (სდს).

## ინგლისელების ინტრიგები ირაქში

**სტამბოლი**, „ვაკიტ"-მა კაირის გაზეთ „ელახრამ"-იდან გადაბეჭდა ბაღდადელი კორესპონდენტის წერილი, იმის შესახებ, რომ ინგლისი სცდილობს ასურელები გადააქციოს ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად ირაქში.

„ირაქის ტერიტორიაზე, — სწერს კორესპონდენტი. —ასურელი ხალხის მხოლოდ ერთი ნაწილი სცხოვრობს. მისი უმრავლესობა მოსახლეობს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს ხალხი დიდი ხანია უკვე აღარ თამაშობს რამდენადმე მაინც თვალსაჩინო პოლიტიკურ როლს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა ირაქი დაიჭირეს, იგი ხელახლა გამოვიდა სარბიელზე. ინგლისელებმა ყოველივე ღონე იხმარეს, რომ განამტკიცონ ასურელების მდგომარეობა და ჩაუნერგონ მათ წარსული მნიშვნელობის დაბრუნების იმედი.

ამჟამად ასურელები ირაქში ინგლისელების მთავარი თანაშემწენი და აგენტები არიან. ინგლისელები მათი დახმარებით ცდილობენ ჩააქრონ ეროვნული მოძრაობა, ირაქში. ის დახმარება, რომელსაც ასურელები ინგლისელებს უწევენ, ირაქის მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს და აძლიერებს სიძულვილს ასურელებისადმი.

მოსულიდან მიღებული ცნობებით, ინგლისელებმა გადასწყვიტეს შექმნან ასურელებისაგან თორმეტიათასიანი არმია. ამ არმიის ორგანიზაციამ, რომელიც წარსულ კვირას დაიწყო ირაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არსებობს აგრეთვე აზრი, რომ ინგლისელები ასურელების არმიას ჰქმნიან თურქეთის წინააღმდეგ გამოსაყენებლად ირაქ-თურქეთის საზღვარზე. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ეს არმია გამოყენებული იქნება ირაქელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. (ადს).

## უკანასკნელი ცნობები

### რიგის საბაჟომ დააკავა ოზოლსის ბარგი

**რიგა**, 5 მაისი. პრესის ცნობებით, რიგის საბაჟომ სეიმის საპეტიციო კომისიის წევრის ეგლიტის თანდასწრებით დააკავა საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ლატვიის ყოფილი ელჩის (საბჭოთა კავშირში) ოზოლსის ბარგი, რომელიც 80 ნაჭრისგან შესდგებოდა. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ეგლიტმა სთქვა: „ამ უკანასკნელ დროს გაძლიერდა რიგაში კონტრაბანდული საქონლის, მაგალითად ხილის, ხიზალალას და სხვ. შემოტანა. საპეტიციო კომისიის მიერ დაწყებულმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ კონტრაბანდის კვალს მეტად შორს მივყევართ. ოზოლსის ნივთების გაჩხრეკა ხდება საპეტიციო კომისიის დასტურით. პირადათ მე მივედი სადგურზე, რადგან გავიგე, რომ საბჭოთა კავშირიდან მოვიდა მთელი ვაგონი ოზოლსის ნივთებით. ჩემის თანდასწრებით ჯერჯერობით საბაჟომ შეადგინა აქტი მხოლოდ ხუთი ჩემოდანის გასინჯვის შესახებ. ამ ჩემოდნებში აღმოჩენილია მეტად ძვირფასი ნივთები: დიდი ძველებური ვერცხლის ჯვარი, სურათები, ვაზები, საიუველირო ნივთები და სხვ. ბარგის გასინჯვა ჯერ არ გამთავრებულა". გამოქვეყნდა ოზოლსის განცხადება. ოზოლსი აღნიშნავს, რომ პოლიცია მას მეტად უხეშად მოეპყრო. მაშინ, როდესაც საბჭოთა საბაჟოს მოსამსახურეებმა,—სთქვა ოზოლსმა—შესაძლოდ ვერ სცვნეს ჩემი პირადი ნივთების დათვალიერება, ლატვიის საბაჟომ, რაღაც გაუგებარი მიზეზებით, მეტად დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ ნივთებისადმი (ადს).

### დაწვრილებითი ცნობები აშხაბადში მომხდარი მიწისძვრის შესახებ

**აშხაბადი**, 5 მაისი. 4 და 5 მაისს ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო მიწისძვრას ბიძგებს. მიღებულია დაწვრილებითი ცნობები სპარსეთში მომხდარი მიწისძვრის შესახებ. კეფანში დაიღუპა 600 კაცი, რაბადში —250. დანგრეულია სოფლები ჯაფარაბადი, სერანი. ვინაიდან მიწისძვრისაგან დაზარალებულ ოლქებს მწვავედ ესაჭიროება სამკურნალო და სასურსათო დახმარება, თურქმენისტანის მთავრობამ აცნობა სპარსეთის კონსულს აშხაბადში, რომ თურქმენისტანის მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს საჭირო დახმარება დაზარალებულ სპარსელ მოსახლეობას. ორი სამკურნალო — სანიტარული რაზმი უკვე მოეწყო და გაიგზავნა სპარსეთის საზღვარზე. მათ მიეცათ სურსათ-სანოვაგე და მედიკამენტები. თვით აშხაბადში სრულიად დაინგრა ექვსი სახლი და სერიოზულად დაზიანდა 74 სახლი. სოფელ გერმაბში დაიღუპა 14, დაშავდა 6. თურქმენისტანის მთავრობამ გადასდო თანხები დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. (ადს).

### კალედან დუვრში გადაცურვა გიდროველოსიპედით

**ლონდონი**, 5 მაისი. ფრანგმა სპორტსმენმა ქალმა ჰფარენმა კალედან დუვრში გადასცურა გიდროველოსიპედით. გადაცურვა ხუთ საათს გაგრძელდა. სპორტსმენი ქალი დუვრში ძლიერ მოქანცული მივიდა. (ადს).

## ინდოეთის პრინცების პრეტენზიები

**ლონდონი.** გამოქვეყნდა იმ კომისიის (ე. წ. ბეტლერის კომისიის) მოხსენება, რომელმაც გამოიკვლია ინდოეთის პრინციპების დამოკიდებულება ბრიტანეთის მთავრობასთან, აგრეთვე ინდოეთის სახელმწიფოების ფინანსიური და ეკონომიური ურთიერთობა ბრიტანეთის ინდოეთთან. კომისიის მთავარი დასკვნები შემდეგია „შუამავლად ინდოელ პრინცებსა და ინგლისის სახელმწიფოს შორის ამიერიდან უნდა იყოს არა ინდოეთის გენერალ-გუბერნატორი, არამედ მეფის მოადგილე. ყოველგვარი დავა ტახტსა და პრინცებს შორის, ინდოეთის ცალკე სახელმწიფოებს შორის, აგრეთვე მათსა და ბრიტანეთის ინდოეთს შორის უნდა გადასწყვიტოს დამოუკიდებელმა კომიტეტმა.

როგორც კომისიის დასკვნიდან სჩანს, ინდოელი პრინცების სურვილი შესრულებული იქნება. შემუშავებული შეთანხმება ხელსაყრელია ორივე მხრისათვის. ფეოდალები ინდოეთის მომავალი დომინიონის მიმართ ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, ხოლო **ინგლისელები გამოიყენებენ მათ ინდოეთის ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს გამოყოფას ბრიტანეთის იმპერიისაგან** (სდს).

## იაპონია-ინგლისის კონკურენცია ჩინეთში

**ტოკიო.** როგორც „ძი-ძი" იტყობინება, იაპონიის საფეიქრო ფაბრიკების პატრონებს ძალიან აწუხებთ შეუჩერებელი ზრდა ინგლისური მანუფაქტურის ექსპორტისა ჩინეთსა და ინდონეზიაში, რასაც ხელს უწყობს ის, რომ ამ ცოტა ხნის წინად ინგლისის სანაოსნო კომპანიებმა გააიაფეს ფრახტი. ფაბრიკების პატრონებმა იაპონიის ორ უდიდეს სანაოსნო კომპანიას (ნიპონ იუსენ კაისია და ოსაკა სიოსენ კაისია) მიმართეს წინადადებით— გააიაფონ ფრახტი, რაც გაადვილებს კონკურენციას ინგლისელებთან.

სანაოსნო კომპანიები დასთანხმდნენ შეამცირონ ფრახტი ერთ ტონა ბამბეულ მანუფაქტურაზე 1 იენით. როგორც ეტყობა, სანაოსნო კომპანიებს მთავრობა დახმარებას გაუწევს (სდს).

## ანტი-იაპონური განწყობილება ბრაზილიაში

**ტოკიო**, როგორც ტოკიოს პრესა აღნიშნავს, იაპონიის ელჩი ბრაზილიაში არიოსი ტელეგრაფით რჩევას იძლევა შემცირებულ იქნას მიმდინარე წელს ბრაზილიაში ემიგრაციის გეგმა, რათა თავი არ იჩინოს „ანტი-იაპონურმა" განწყობილებამ. მიმდინარე წელს განზრახული იყო 15.000 ემიგრანტის გადასახლება ბრაზილიაში.

შემდეგ პრესა განმარტავს, რომ ბრაზილია საერთოდ წინააღმდეგი არ არის იაპონელთა იმიგრაციისა, მაგრამ მას სჭირდება მუშა ხელი და არა „შეძლებული" კოლონისტები, მაშინ, როცა იაპონიის საემიგრაციო ორგანიზაციები სცდილობენ წაახალისონ სწორედ შეძლებულთა გადასახლება (სდს).

## მცირე ანტანტის კონფერენცია

**ვენა.** ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებს მასალას მცირე ანტანტის მომავალი კონფერენციისათვის. კონფერენცია გაიმართება, ალბად, ილიჯში, სარაევოს მახლობლად, ა. წ. ივნისში, სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის მარინკოვიჩის თავმჯდომარეობით. (სდს).

## „ნაადრევი" წინადადება

### „ლეგალური პროსტიტუციის აკრძალვა იაპონიაში ნაადრევია"

**ტოკიო**, პროფკავშირების სოც.-დემოკრატმა ბელადმა აბემ პარლამენტში წინადადება შეიტანა ლეგალური პროსტიტუციის აკრძალვის შესახებ. წინადადება გადაეცა „პეტიციების განმხილველ კომისიას", რომელმაც ყველა ხმით, აბეს ხმის წინააღმდეგ, უარჰყო იგი, როგორც „ნაადრევი" წინადადება. აბე მოითხოვდა მხოლოდ ახალი საროსკიპოების გახსნის აკრძალვას და არსებული საროსკიპოების დახურვას 1935 წლისათვის (სდს).

## ანტი-გერმანული დემონსტრაციები პოლონეთში

**ვარშავა**, 5 მაისი. რადგან ოპელში სცემეს იქ საგასტროლოდ ჩასულ პოლონური დასის არტისტებს, მთელ პოლონეთში რამდენიმე დღის განმავლობაში საპროტესტო მიტინგები იმართებოდა. პოზნანში საპროტესტო მიტინგის შემდეგ სტუდენტების ბრბო გაემართა ადგილობრივი გერმანული გაზეთის „პოზნერ ტაგებლატ"-ის რედაქციისაკენ მის დასარბევად. სტუდენტები გზადაგზა წიგნის მაღაზიების ვიტრინებში ანადგურებდნენ გერმანულ წიგნებსა და გაზეთებს. დემონსტრანტები პოლიციამ გაჰფანტა.

სტუდენტების ჯგუფი სცდილობდა მოეწყო დემონსტრაცია გერმანიის საელჩოსთან ვარშავაში, მაგრამ დემონსტრაცია პოლიციამ გაჰფანტა. (ადს)

## პოლონელ და ლატვიელ ფაშისტების კავშირი

**ვარშავა**, 5 მაისი. პოლონეთის ნაციონალურ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად 3 მაისს რიგიდან ვარშავაში ჩამოვიდა ლატვიელთა დელეგაცია. ლატვიის სეიმის თავმჯდომარის კვიესისისა და ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთ-ბალტიის განყოფილების უფროსის მუნტერსის მეთაურობით. დელეგაცია მიიღო პრეზიდენტმა მოსციცკიმ, რომელსაც დელეგაციამ გადასცა ლატვიური სამი ვარსკვლავის ორდენი. დელეგაცია მიიღო აგრეთვე პილსუდსკიმ სამხედრო სამინისტროში. დელეგაციამ თან ჩამოიტანა 3.000 ლატვიური სამხედრო მედალი პოლონელ ოფიცრებისათვის დასარიგებლად.

სამხედრო სამინისტროში წარმოთქმულ სიტყვაში, აგრეთვე ოფიციოზურ „ეპოკა"-ს წარმომადგენლებთან ინტერვიუში დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ძმურ კავშირს, რომელიც ბრძოლის ველზე დაიდო.

## რეფორმისტების წინააღმდეგ

**სტოკჰოლმი**, 5 მაისი. შვეციის პროფკავშირთა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება. კომიტეტი მოუწოდებს პროფკავშირების ყველა წევრს და ყველა მუშას—გადაჭრით იბრძოლონ რეფორმისტების გამთიშველი მუშაობის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ მთლიანობის კომიტეტის სამოქმედო პროგრამას. (ადს).

## ჩინეთში

### „ჩინელმა ხალხმა უნდა დაამხოს იაპონიის იმპერიალიზმი"

**პეკინი**, 5 მაისი. მასიურ მიტინგს, რომელიც გაიმართა ძინანის ინციდენტის წლის თავის აღსანიშნავად, დაესწრო 5.000-ზე მეტი მუშა და სტუდენტი.

მიტინგს თავმჯდომარეობდა გომინდანის პეკინის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა:

„ნანკინის მთავრობამ სრული დამარცხება განიცადა იაპონიასთან გამართულ მოლაპარაკებაში ძინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ. ჩინელმა ხალხმა უნდა დაამხოს იაპონიის იმპერიალიზმი, ვინაიდან იაპონია არის ჩინეთის მუდმივი მტერი ჩინელმა ხალხმა უნდა დაამხოს აგრეთვე ჩინელი მილიტარისტები, რომელნიც იაპონიასთან თანამშრომლობენ".

მიტინგის მიერ მიღებული რეზოლიუცია, მოითხოვს გაუქმებულ იქნას ის შეთანხმება, რომლითაც მოგვარებულ იქნა ძინანის ინციდენტი და დასჯილ იქნას ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ჩენტინი, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას. (ადს)

### ხელისუფლებისადმი ურჩობა

**პეკინი**, 5 მაისი. ანტი-იაპონური ასოციაციის პეკინის კომიტეტი არ დაემორჩილა ხელისუფლების განკარგულებას ასოციაციის დაშლის შესახებ და თავის ურჩობის საბუთად მოიყვანა ის, რომ დაწვრილებითი ინსტრუქციები არ მიუღია გომინდანის ცენტრალური კომიტეტისაგან. (ადს)

### პირველი მაისის დღესასწაული ხარბინში

**ხარბინი**, 5 მაისი. პირველი მაისის დღესასწაულმა ხარბინში მშვიდობიანად ჩაიარა. რკინის გზის კლუბებში მოხდა პროფკავშირთა წევრებისა და საბჭოთა მოქალაქეების მრავალათასიანი საზეიმო კრებები. რუს თეთრგვარდიელებმა, შარშანდელთან შედარებით, ნაკლები აქტიობა გამოიჩინეს. პოლიციასაც არ ჩაუდენია ინციდენტი. (ადს)

# საბჭოთა კავშირში

### პირველი მაისის დღესასწაული სახალინზე

სახალინის ალექსანდროვსკი, 5 მაისი. პირველი მაისის დღესასწაულმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩაიარა. ალექსანდროვსკში გამართულ დემონსტრაციას დაესწრო მრავალი გლეხი მახლობელი სოფლებიდან. მუშათა საპირველმაისო კრებებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლებშიაც მუშები შუამდგომლობენ, რომ ალექსანდროვსკს დაერქვას პერვომაისკი (ადს).

### ვოლგაზე ყინული დაიძრა

ნიჟნი-ნოვგოროდი, 5 მაისი. ნიჟნი-ნოვგოროდამდე ვოლგაზე ყინული დაიძრა. (ადს).

### საჩვენებელი კომუნების ნათესი სივრცის გაფართოვება

ბლაგოვეშჩენსკი, 5 მაისი. პირველი მაისისათვის დამთავრდა ხუთი საჩვენებელი კომუნის რეორგანიზაცია. ნათესი სივრცე ფართოვდება 150 პროცენტით (ადს).

### ეკლესიები და მეჩეთები კლუბებად

ყაზანი, 5 მაისი. კუზნეჩინის ვოლოსტის სამი სოფლის გლეხებმა დაადგინეს—დახურონ ორი ეკლესია და ერთი მეჩეთი და მათ შენობებში მოაწყონ სახალხო სახლი და კლუბი (ადს).

### წყალდიდობა მოსკოვში

მოსკოვი, 5 მაისი. 4 მაისს დილიდან ადიდებულმა მდინარე მოსკვამ დაფარა ქალაქის ის დაბლობი ნაწილები, რომლენიც მდინარის პირას მდებარეობენ, კერძოდ, ბრიანსკის სადგურის მოედანი, ოზერკოვის, ოვჩინნიკოვის და სადოვნიჩესკაიას სანაპირო ქუჩები და ყოფილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიის ნაწილი. წყალი უახლოვდებოდა ფაბრიკებს „პარიჟსკაია კომუნა-“ს და „კრასნი ოქტიაბრ-“ს, საიდანაც გაიტანეს უფრო ძვირფასი მოწყობილება და ამოფიცრეს ქვედა სართულების ფანჯრები და კარები. სარდაფის სართულების მცხოვრებნი გადაასახლეს კლუბებსა, სკოლებსა და ზედა სართულებში. სულ გადასახლებულია 3000-მდე კაცი. მოსკოვის მიდამოებში წყალმა დაფარა სამი სოფელი. მცხოვრებნი გადაასახლეს. საღამოს 11 საათისათვის წყალმა კლება იწყო (ადს).

### განაჩენი სკოპცების საქმეზე

ლენინგრადი, 5 მაისი. სკოპცების საქმის გამო ყველა ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი. ოთხ უფრო აქტიურ „სექტანტს“, რომელნიც ქონებრივი წაქეზების ზომებს მიმართავდნენ სექტაში მოზრეთა გადასაბირებლად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით და ნახევარი ქონების კონფისკაცია, დანარჩენ 11 ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თითო წლით (ადს).

## „აღდგომის“ მსხვერპლნი თბილისში

„აღდგომის“ დღესასწაულისთვის თბილისის „სულიერი მამები“ განსაკუთრებით ემზადებოდნენ, მოწვეული ჰყავდათ ზედმიწევნით გაწვრთნილი მგალობელთა გუნდები, რომ ამ ხერხით მოეზიდათ ხალხი, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: ეკლესიებს ესტუმრა მხოლოდ ყოფილი ხალხი და ბებრუხანები. გუშინ დილით თბილისის მშრომელთა დიდი უმრავლესობა და მოსწავლე ახალგაზრდობა გავიდა ქალაქს გარედ, ზაჰესის დასათვალიერებლად და თავისუფალი დღის სუფთა ჰაერზე გასატარებლად.

ქალაქში დარჩენილი არა პროლეტარული ელემენტი შეეცადა არ ეღალატნა ჩვეულებისათვის და „ქრისტეს აღდგომა“ აღენიშნა ღვინოში ჩახრჩობით. გუშინ, ღამის 12 საათისათვის თბილისის საავადმყოფოებში მიიყვანეს ჩხუბის დროს დაჭრილი 34 კაცი. აღსანიშნავია ის გარემოება რომ დაჭრილთა მთელი რაოდენობა საავადმყოფოებში მიყვანილი იქნა ავლაბრიდან და ქალაქის ცენტრალურ რაიონებიდან, ხოლო ლენინის რაიონი კი, როგორც მოსალოდნელი, იყო ფხიზლად შეხვდა ხუცების დღესასწაულს და თავისუფალი დღე გაატარა სასარგებლო და გონივრულ გართობაში.

### ანტირელიგიური პროპაგანდა რადიოთი

ანტირელიგიურ კამპანიასთან დაკავშირებით რადიო-მეგობართა საზოგადოებამ და თბილისის რადიო-გადამცემმა სექტორმა გუშინ თბილისის ქუჩებზე და მოედნებზე მოაწყეს მოლაპარაკე რადიო-აპარატები. მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა რადიო-პროგრამის გადაცემა.

ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო-აპარატებთან თავს იყრიდა დიდძალი ხალხი.

## წიგნის ბაზარი

5 მაისს დილიდან თბილისის ქუჩებში ყველა საგამომცემლო ორგანიზაციებმა და წიგნის მაღაზიებმა მოაწყვეს წიგნის იაფფასიანი ბაზრები. ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში მოწყობილია წიგნის გასაყიდი კარვები ორკესტრითა და წიგნის ლატარიებით. წიგნები გამოფენილია აგრეთვე რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტებზე, წიგნის მაღაზიების წინ.

წიგნის ბაზრებს დიდძალი მყიდველი ეტანება.

## მხარს უჭერენ მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს

ვიატკა, 5 მაისი. პარტიული აქტივის საქალაქო კრებამ მოისმინა მოხსენება მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის შესახებ და ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში სავსებით მოიწონა კონფერენციის გადაწყვეტილებანი. (ადს).

## სოციალისტური შეჯიბრება

### საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის უდიდესი კვანძების სოციალისტური შეჯიბრება

მოსკოვი, 4 მაისი. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმის დადგენილების თანახმად, 1 მაისს დაიწყო საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის უდიდესი კვანძების სოციალისტური შეჯიბრება გაზეთების გადაგზავნის დაჩქარებაზე, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, შრომის დისციპლინის აწევაზე, მასის ჩაბმაზე მთელი აპარატის გაუმჯობესების საქმეში. (ადს).

## მტკვრის ადიდება

ბაქო, 4 მაისი. სხვადასხვა ადგილას მტკვარმა კვლავ გაარღვია ჯებირები. სოფელ გაშიმხანლისთან მდინარემ ბევრგან გაარღვია გამაგრებული პირველი ხაზი და მიუახლოვდა მეორე ხაზს. შემახის მაზრაში წყალმა ორგან გადალახა ნაპირი. გეოქჩაის მაზრის სოფელ მუღანლოში წყალმა ისევ გაარღვია ჯებირი. მთელ ნაპირებზე სტიქიონთან განუწყვეტელი ბრძოლაა. წყლის დონე თანდათან მატულობს, რის გამოც მოსალოდნელია შარშანდელი კატასტროფის განმეორება.

ელიან მდინარის ადიდებას მესამედ, რადგან ცნობებია, რომ მდინარის დონე სათავეებში აწეულია. (ადს)

ბაქო, 5 მაისი. მტკვარში წყლის დონის მატება გრძელდება, რაც ჰქმნის შარშანდელი კატასტროფის განმეორების საფრთხეს. 4 მაისს წყლის დონემ მიაღწია 560 სანტიმეტრს და შარშანდელ წყალდიდობის დონეს ჩამორჩება სულ რაღაც 4 სანტიმეტრით. წყალმა ბევრ ადგილას გაარღვია პირველი ჯებირი და მიაღწია მეორე ჯებირამდე. მდინარის მთელ ნაპირზე სწარმოებს გამძაფრებული ბრძოლა სტიქიასთან (ადს).

## ბაქო-ბათომის ნავთსადენის სამუშაოები

ბაქო, 4 მაისი. ბაქო - ბათომის ნავთსადენის სამუშაოები გამოიკვლია „აზნევტსტროი“-ს მთავარმა ინჟენერმა გულენდერმა, რომლის გადმოცემითაც, მუშაობა ნავთსადენის მილების შესადუღებლად სწრაფად მიმდინარეობს. ეს სამუშაო შესრულებულია 50 პროცენტით და რამოდენიმე უბანში ერთდროულად სწარმოებს. მილების შედუღება უკვე დასრულდა ბათომიდან დაწყებული 500 კილომეტრის მანძილზე. ბათომსა და ევლახს შუა მუშაობა დასრულდება აგვისტოს ბოლო რიცხვებში, რის შემდეგაც დაიწყება მისი ექსპლოატაცია.

ნავთის გადაქაჩვა დაიწყება მიგეჩაურის საქაჩავი სადგურიდან, რომლის ამუშავებაც ხსენებული დროსთვის უზრუნველყოფილია. კოლომნის ქარხნებმა დააგვიანეს შეკვეთილი დიზელებისა და აგრეგატების დამზადება, რის გამოც მთელი ნავთსადენი ჯერ-ჯერობით ვერ ამუშავდება. დიზელებსა და აგრეგატებს იანვარში მოელიან.

მაისის მეორე ნახევარში, მძლავრი აუზების დამთავრების შემდეგ, ბათომში ამუშავდება „აზნევტ“-ის ნავთის გამოხდელი ქარხანა, რომლის აგებაც ამას წინად დამთავრდა (ადს).

## ჩხოროწყუს გამოკვლევა

ახალსენაკი, 5 მაისი. 2 მაისს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ, სამაზრო კომიტეტის მდივანმა ამხ. ქავთარაძემ, ინჟენერმა გეგეჭკორმა და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გოგინავამ დაათვალიერეს ჩხოროწყუ, რომელიც მდებარეობს ქალ. სენაკიდან 9 კილომეტრის მანძილზე. აქედან გაყვანილ უნდა იქნას წყალსადენი სენაკს და ფოთში. ინჟენერმა გეგეჭკორმა მოკლე ინფორმაცია მიაწოდა დამსწრეებს იმის შესახებ, თუ რამდენად გამოსადეგია ეს წყალი სასმელად. ქიმიკოს კუპცისის აზრით ჩხოროწყუს წყარო საუცხოოა თავისი თვისებებით. წყლით ისარგებლებენ ქალაქები სენაკი და ფოთი, რკინის გზა, ფოთის ნავთსადგური და მოსახლეობა. წყლის გაყვანა დაჯდება დაახლოვებით 1.200.000 მანეთად. ეს საქმე ძალიან რენტაბელური იქნება.

წყლის გაყვანის პროექტი შეადგინა ინჟენერმა გეგეჭკორმა. მისი დამთავრება გათვალისწინებულია 3 წლის განმავლობაში. (ადს).

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიისათვის

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილების გამგემ ამხ. ლომთათიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სას.-სამ. გადასახადის კამპანიის შესახებ განაცხადა.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის წარსული კამპანიების დეფექტები უმთავრესად გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ წინასწარ მუშაობას ვიწყებდით დიდი დაგვიანებით და კამპანიას წინ არ უსწრებდა სათანადო ახსნა-განმარტება. წელს ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. მიღებულია გადამჭრელი ზომები, რომ მომავალ კამპანიაში არ განმეორდეს წარსული შეცდომები.

სას.-სამ. გადასახადის ძველ კანონში იყო რამოდენიმე რთული პუნქტი და ვინაიდან ადგილები ვერ ერკვეოდენ ამ საკითხებში, ადგილი ჰქონდა კანონის ზოგიერთ დამახინჯებას. ახალ კანონში ყველა ეს პუნქტები განმარტებულია ზედმიწევნით გარკვეულად. გლეხობაში ჩატარებულია ახალი კანონის ახსნა-განმარტება, ადგილებს დაეგზავნათ სააგიტაციო ლიტერატურა, პლაკატები და ლოზუნგები. ყველა იმ რთული საკითხების შესახებ, რომლებიც გასულ წელს იწვევდნენ გაუგებრობას (ინდივიდუალური დაბეგვრა, არა სამიწათმოქმედო შემოსავლის აღრიცხვა, პროცენტული ზედნართი და სხვ.), ადგილებს მიეცათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტება.

გასულ წელს ინდივიდუალურ დაბეგვრის გატარებაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დამახინჯებას: ინდივიდუალურად დაბეგრილი აღმოჩნდნენ ნაწილობრივად საშუალო და ღარიბი გლეხები და ამავე დროს ზოგან ინდივიდუალურად დაბეგრილთა სიაში არ მოხვდა ზოგიერთი აშკარა კულაკური მეურნეობა. ახალ კანონში ზედმიწევნით ზუსტად არის ნაჩვენები, თუ როგორი ნიშნების მიხედვით უნდა სწარმოებდეს ინდივიდუალური წესით დაბეგვრა. ამავე საკითხის შესახებ ადგილებს მიეცათ პოპულიარული ახსნა- განმარტება და მითითებები. ინდივიდუალურად დასაბეგრ მეურნეობათა აღრიცხვა ჩატარებული იქნება საერთო აღრიცხვამდე. ამ წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიები შემუშავებული იქნება ღარიბი გლეხობის უახლოესი მონაწილეობით, ხოლო შემდეგ სიები განხილული იქნება რამდენიმე ინსტანციის მიერ და უნდა ვიფიქროთ, რომ ინდივიდუალურ დაბეგვრაში ადგილი არ ექნება წარსულ შეცდომებს.

საგადასახადო საქმის მთავარ ხერხემალს შეადგენს დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა. რამდენადაც უფრო მეტი სისწორით ჩატარდება ობიექტების აღრიცხვა, — მით უფრო სამართლიანად იქნება გაწერილი გადასახადი.

გასულ წლამდე აღრიცხვა სწარმოებდა დროებით დაქირავებულ აღმრიცხველების საშუალებით. ამას ჰქონდა ბევრი უარყოფითი მხარე, ვინაიდან აღმრიცხველი არ გრძნობდა პასუხისმგებლობას, საქმის დიდ მნიშვნელობას და მაინცა და მაინც ძალიან დაინტერესებული არ იყო აღრიცხვის სისწორით წარმოებაში. მეორე მხრით მოსახლეობაც დიდათ არ ენდობოდა დროებით მოსულ კაცს და ცდილობდა გადაემალა შემოსავლის წყარო. ამრიგად, აღურიცხველი რჩებოდა დასაბეგრ ობიექტების 10—12 პროცენტი.

გასული წლიდან აღრიცხვის წარმოება დაევალა თემსაბჭოს მდივნებს, რომლებიც უკეთ იცნობენ თემის მოსახლეობას და უფრო მეტი ნდობითაც სარგებლობენ. აღრიცხვის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა თემაღმასკომების მდივნების კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით წელს მაზრებში ეწყობა მათი გადასამზადებელი კურსები (ერთ-კვირიანი), რომლებზედაც მსმენელებს მისცემენ ფართო ახსნა-განმარტებას სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ,

დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა მთელ საქართველოში დაიწყება 20 მაისიდან. ამასთანავე ჩატარებული იქნება დასაზღვევ ობიექტების აღრიცხვაც.

აღრიცხვის საქმეში თემსაბჭოების მდივნების გარდა, ჩაბმული იქნებიან სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი მუშაკები, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფინანსთა სახ. კომისარიატის მუშაკები და ღარიბი გლეხობა.

მიღებული იქნება ყოველგვარი ზომა, რომ აღრიცხვა ჩატარდეს უნაკლოდ. კანონით გათვალისწინებული შეღავათები დაცული იქნება მაქსიმალურად. შეღავათების შეფარდება იწარმოებს გადასახადის გაწერის დროს. ამ დროისთვის შეგროვილი იქნება სწორი ცნობები; თუ რამდენად შეასრულა გადამხდელმა მისაღებად საჭირო პირობები (ნათესების სივრცის გადიდება, აგრიკულტურული ღონისძიებები და სხვ.).

# პარტიაში

## ოპორტუნიზმი მარჯვნიდან

### 1. გადახრების წარმოშობის პირობები.

დღეს კომინტერნის ყველა სექციები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. რომ ეს ბრძოლა უაღრესად დროულია ამაზე მიგვითითებს განსაკუთრებით ის გარემოება, რომ მემარჯვენე გადახრა ცდილობს ორგანიზაციულად და იდეურად ჩამოყალიბდეს როგორც განსაკუთრებული მიმდინარეობა (გერმანიაში მემარჯვენეებმა უკვე შექმნეს ცალკე ორგანიზაცია და აქვთ პრესა). ამ მოვლენასთან დაკავშირებით ადგილი აქვს იმ გარემოებას, რომ ეგრედ წოდებული შემრიგებლები მემარჯვენე ოპორტუნიზმთან საგრძნობლად დაექანენ მემარჯვენეების პლატფორმისაკენ.

მემარჯვენეებს დასჭირდათ სრული პროვოკაციული განცხადება „ჩინგისხანურ პოლიტიკის“ შესახებ, რომ აეხსნათ ის ობიექტიური მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ პარტიის რიგებში უიმედობას, მერყეობას და მოდუნებას. მათის აზრით გადახრები ჩვენს პარტიაში ახალი მოვლენა არის, და ისინი ვითომ გამოწვეულია ჩვენი პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელების მიერ.

ასე არ ფიქრობდა გადახრების წარმომშობი პირობების შესახებ ამხ. ლენინი. ის სწერდა: „პროლეტარიატი ყოველის მხრით გარემოცული ჰყავთ (ბურჟუაზიულ ელემენტებს დ. დ.) წვრილი ბურჟუაზიული სტიქიით, გამსჭვალული ჰყავთ იგი ამ სტიქიით; ეს ელემენტები რყვნიან მას ამ სტიქიით, **მუდამ** იწვევენ პროლეტარიატის შიგნით წვრილ ბურჟუაზიულ უხასიათობას, დაქსაქსულობას, ინდივიდუალიზმს და გატაცებიდან მოდუნებაზე გადასვლის რეციდივებს“ (ლენინი—XVII ტ., გვ. 136 ხაზი ჩვენია დ. დ.).

რაკი კომუნისტური პარტია არის ნაწილი მუშათა კლასის და იმყოფება მჭიდრო, ყოველდღიურ კავშირში მუშათა კლასთან, სწორედ ამიტომ წვრილი ბურჟუაზიული სტიქია იჭრება პარტიის რიგებშიაც და თავისებურ გავლენას ახდენს მასზედ. უარყოფა კოლექტიური ხელმძღვანელობის, უხასიათობა, დაქსაქსულობა და დასვენების პოლიტიკა გამოხატავს წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას. არა „ჩინგისხანური პოლიტიკა“, რომელიც უხასიათო ინტელიგენტის ფანტაზიის ნაყოფი არის, არამედ ის ობიექტიური გარემოცვა, რომელშიაც უხდება მუშათა კლასს როგორც ბრძოლა თავისი დიქტატურისათვის, ისე სოციალისტური მშენებლობა, იწვევს ერთგვარი აუცილებლობით გადახრებს, როგორც მარჯვნით, ისე მარცხნით. მტკიცება იმის, რომ წინად ჩვენ პარტიაში არ ყოფილა ოპორტუნისტული ჯგუფები, წინად ლენინის დროს პარტიას ვითომდა იდეალურ პირობებში უხდებოდა ზრდა-განვითარება, წარმოადგენს მთელი ჩვენი პარტიის ისტორიის შებრუნებულად გაგებას. სწორედ ამიტომ იმ სოციალურ ეკონომიურ პირობების ვერ გაგება, რომელშიაც უხდება ჩვენს პარტიას მოღვაწეობა, უნდა ჩაითვალოს მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებათ. მემარჯვენეები ამახინჯებენ პარტიის ისტორიას. ნამდვილად კი კომუნისტური პარტიის ყოველ ახალ მანევრებს, გამოწვეულს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების აუცილებლობისაგან, თან ყვებოდა ერთგვარი წვრილ -ბურჟუაზიული მერყეობა და უიმედობა. სწორედ მაშინ, როდესაც სხვადასხვა საშუალებით მუშათა კლასი ცდილობს გამარჯვება მოიპოვოს, თავს იჩენს ამა თუ იმ ფორმით მოდუნება, გადაგვარება, ბრძოლის ველიდან გაქცევა და წვრილ-ბურჟუაზიულ ბანაკში გადასვლა. სიძნელეების გადალახვა ქმნის ერთგვარ აუცილებელ პირობებს ამგვარი უიმედობისას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ყოველივე გადახრა სიძნელეების გადალახვის დროს იწვევა, სიძნელეებზე ეყრდნობა და სიძნელეების ხელოვნური გაზვიადებით (ნებსით თუ უნებლიეთ) ცდილობს გზა აუბნიოს მუშათა კლასს. ამიტომ ამ გადახრების მოთხოვნილებებს ან სასოწარკვეთილების ხასიათი აქვს და შეიცავენ არაჩვეულებრივ საშუალებებს სიძნელეების გადასალახავათ (მემარცხენეები) ან და დინჯად „ასაბუთებენ“ პარტიის და საერთოდ მუშათა კლასის განიარაღების აუცილებლობას ამ სიძნელეებთან ბრძოლის დროს. ამ გადახრების შინაგანი ბუნება თითქმის ერთი და იგივეა: ეს არის მათი წვრილ-ბურჟუაზიული სახეობა. მხოლოდ ერთგვარ ცვალებადობას განიცდის ამ მერყეობის ფორმა, გარეგანი სახე. აი რას სწერდა ამის შესახებ ამხ. ლენინი.

„ისტორიაში მომხდარი თითეული თავისებური ცვლილება (поворот) იწვევს ასეთსავე ცვლილებას იმ წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობათა ფორმაში, რომელთაც ყოველთვის აქვთ ადგილი პროლეტარიატში, და რომლებიც ამა თუ იმ სახით ყოველთვის იჭრებიან პროლეტარიატის წრეში“.

„**წვრილი ბურჟუაზიული რეფორმიზმი, ე. ი. ლაქიობა ბურჟუაზიის წინაშე, ლაქიობა გახვეული ტკბილ დემოკრატიულ და „სოციალ-დემოკრატიულ“ ფრაზებში და უნიათო სურვილებში და წვრილ-ბურჟუაზიული რევოლიუციონიზმი. სიტყვით მრისხანე, გაბერილი, მკვეხარა, საქმით კი არარაობა დაქუცმაცების, დაქსაქსულობის და უთავურობის**— ასეთია ამ მერყეობათა ორი სახე. ისინი აუცილებელნი არიან, სანამ არ აღმოიფხვრება კაპიტალიზმის უღრმესი ფესვები. მათი ფორმა კი ეხლა იცვლება საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით“ (ლენინი—XVIII ტ., გვ. 352—353 ხაზი ჩვენია დ. დ.).

რამ წარმოშვა და რას ეყრდნობა მემარჯვენე გადახრა ჩვენში?

სოციალიზმის მშენებლობა სოფლად და ქალაქად, სოციალისტური სექტორის განვითარება და გამაგრება თანდათან აცლის ნიადაგს კაპიტალიზმის ფესვებს. რამდენად მძაფრია სოციალისტურ სექტორის შეტევა იმდენად მეტია უკმაყოფილება ნეპმანების ქალაქად და კულაკების სოფლად, იმდენად ძლიერდება წვრილ-ბურჟუაზიული წინააღმდეგობის გაწევა, წვრილ-ბურჟუაზიული სულისკვეთება. მემარჯვენეები საზრდოობენ სწორედ ამ სულისკვეთებით. ისინი მიმართავენ მთელ თავის მსჯელობას სოციალისტური სექტორის ზრდის შესაჩერებლად. ვინაიდან წვრილ-ბურჟუაზიული მეურნეობის ლიკვიდაცია მოასწავებს მემარჯვენეების დასაყრდნობი ბაზის ლიკვიდაციას ამიტომ ისინი ცდილობენ შეანელონ ეს ჩვენი შეტევითი ეკონომიური პოლიტიკა. ამიტომაა, რომ ცდილობენ შეუფარდონ ჩვენი ეკონომიური განვითარების ტემპი წარმოების „ვიწრო ადგილებს“, შეაჩერონ ისტორიული განვითარების პროცესი და ხელი შეუწყონ ბურჟუაზიულ განვითარებას სოფლად და ქალაქად მემარჯვენეები ცდილობენ გააზვიადონ, გარდაუვალახავად წარმოადგინონ სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეები და ამით (ნებსით თუ უნებლიეთ) შეასუსტონ მუშათა კლასის ბრძოლის უნარიანობა. სპეკულიაცია ამ სიძნელეებით, დახატვა ერთგვარი გამოუვალი მდგომარეობის — შეადგენს მათი „ფილოსოფიის“ შინაარსს. ისინი უფრო მეტს წინასწარმეტყველობენ „კატასტროფის“, დაღუპვის მოახლოვებაზე, ვინემ ფიქრობენ მდგომარეობის მარქსისტულად ახსნა განმარტებაზე. გადასინჯვა მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის, შეცვლა პარტიული რეჟიმის, შესუსტება პროლეტარიატის დიქტატურის—აი მათი გზა. მათი აზრით ამას მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს სოციალური ძალები, კერძოდ საშუალო გლეხობა და ამიტომ საჭიროა ახალი კურსის გამონახვა.

აუცილებლობა ამხ. ლიადოვმა მოსკოვის კომიტეტის და საკანტროლო კომისიის ერთერთ გაერთიანებულ პლენუმზე.

„პარტიის ტაქტიკა ყოველთვის ირკვევა იმისდა მიხედვით, — განაცხადა ამხ. ლიადოვმა, — თუ სით იხრება საშუალო გლეხი. სწორედ ამ მერყეობაზე არის აშენებული მოძღვრება საშუალო გლეხთან კავშირის შესახებ; ფხიზლად, თვალყურის დევნება, ალღოს ალება იმისა, თუ სად იხრება საშუალო გლეხი, — ამაში უნდა გამოიხატებოდეს ბოლშევიკური ტაქტიკა. არ უნდა გამოგვეპაროს ის მომენტი, როდესაც საშუალო გლეხი შესამჩნევად დაიწყებს ქანაობას კულაკისაკენ. ილიჩმა 1921 წელს ალღო აუღო ამას და დაადგა საშუალო გლეხობისადმი დათმობის გზას, და სწორედ მოიქცა ც. კ. ივლისის პლენუმი, როდესაც წავიდა დათმობაზე და გაადიდა პურის ფასები. სამწუხარო მოვლენაა, რომ ჩვენ მოგვიხდა დათმობა, მაგრამ სწორად მოიქცა პარტია, რომ ალღო აუღო ამ მომენტს“.

როგორც სჩანს მემარჯვენეები ამხ. ლიადოვის სახით მოითხოვენ და მომავალშიაც თანხმა იქნებიან მთელ რიგ დათმობებზე გლეხობისადმი, თუნდაც რომ ეს დათმობები სამწუხარო მოვლენები იყოს მუშათა კლასისათვის და ეწინააღმდეგებოდეს პროლეტარიატის დიქტატურას. მათის აზრით არა პროლეტარიატის დიქტატურის გამტკიცების თვალსაზრისით უნდა გადიჭრას საკითხი გლეხობასთან კავშირის შესახებ, არამედ გლეხობის, განსაკუთრებით კი მისი საშუალო ფენების, მომადლიერების თვალსაზრისით უნდა გადავწყვიტოთ პროლეტარიატის დიქტატურის ყოფნა არყოფნის საკითხი. ისინი დგანან ტროცკისტულ ოპოზიციის დებულების ნიადაგზე, როდესაც გონიათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოღებული 1921 წლიდან არის მუდმივი დათმობის პოლიტიკა გლეხობასთან კავშირის გასაძლიერებლად, რომ ნეპი ერთგვარ პერმანენტულ დათმობის პოლიტიკაა პროლეტარული დიქტატურისა. მემარჯვენეებს გონიათ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის აუცილებლობას მოითხოვდა საშუალო გლეხობის მერყეობა და მათი ინდივიდუალური მეურნეობის განვითარება და არა პირიქით სოციალისტური სექტორის განვითარება სოფლად და ქალაქად სრული აუცილებლობით მოითხოვდა ამ პოლიტიკის შემოღებას.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მემარჯვენეების მიერ გაგებას დათმობების საკითხებისას არავითარი საერთო არა აქვს ლენინიზმთან. ლენინი ყოველივე კითხვას პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების თვალსაზრისით უდგება. არა დათმობა დათმობისათვის, როგორც ეს მემარჯვენეებს ჰგონიათ, არამედ დათმობა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის. ლენინიზმი მით განსხვავდება ოპორტუნიზმისაგან, რომ ის უარყოფს იმგვარ დათმობებს, რომელიც ეწინააღმდეგება, ხელს უშლის და აფერხებს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას.

აი რას ამბობს ამხ. ლენინი 1921 წ. სრულიად რუსეთის კომპარტიის კონფერენციაზე. „მუშათა კლასის და გლეხობის შეთანხმებაში შეიძლება გულისხმობა ყველაფრის, რაც გნებავთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ შეთანხმება მუშათა კლასის თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, სწორი და პრინციპიალურად შესაძლებელი, როდესაც ამაგრებს მუშათა კლასის დიქტატურას, (ლენინი XVII ტ. ნ. 1 გვ. 237).

ლენინი ყოველგვარ დათმობების დროს ხელმძღვანელობდა კლასობრივი ანგარიშით. „ჩვენ, — განაგრძობს იგი, — აშკარათ, გულწრფელად, ყოველგვარ მოტყუების გარეშე ვუცხადებთ გლეხობას: „იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ სოციალიზმისაკენ მსვლელობის გზა ჩვენ თქვენ, ამხანაგო გლეხებო, მოგცემთ მთელ რიგ დათმობებს, მაგრამ მხოლოდ ამ საზღვრებში და ამ საზომით. **ეჭვს გარეშეა, ჩვენ თვით ვიმსჯელებთ — როგორი არის ეს საზომი და როგორია საზღვრები**“. (ლენინი — იქვე, გვ. 250) (ხაზი ჩვენია დ. დ).

ნეპი არის არა უარყოფა პროლეტარიატის დიქტატურის სოციალისტური ხაზის, არამედ ის ნაკარნახევია ამ ხაზის გაფართოების აუცილებლობით; კავშირი საშუალო გლეხობასთან სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გაუზიაროს გლეხობას, არამედ ის ემსახურება ამ დიქტატურის გატარებას და გაძლიერებას. ეს თითქოს ანბანური ჭეშმარიტებაა.

გლეხთა საკითხში მემარჯვენეების დათმობითი პოლიტიკა იმით განსხვავდება ლენინის პოლიტიკისაგან, რომ მემარჯვენენი წვრილბურჟუაზიულ ინტერესებისაგან გამომდინარეობენ და წვრილბურჟუაზიულ ინტერესებს ემსახურებიან მაშინ, როდესაც ლენინის პოლიტიკა ემსახურება პროლეტარიატის დიქტატურას და სოციალიზმის მშენებლობას. ამიტომ მემარჯვენეები კარგავენ პერსპექტივას და მერყეობენ. მემარჯვენეები ვერ ხედავენ, რომ ჩვენი პოლიტიკის ცვალებადობა გლეხთა საკითხში გამოწვეულია არა იმიტომ, რომ ამას მოითხოვს გლეხობის საშუალო ფენები და ეს მოთხოვნილება ჩვენთვის კანონია. არა. ამას მოითხოვს მუშათა კლასის დიქტატურა და ეს მოთხოვნილება მართლაც რომ ჩვენთვის კანონია.

მემარჯვენეებმა ლენინიზმის ბრძოლის ტაქტიკა სიძნელეების წინააღმდეგ ფორმულად გაიგეს. ისინი შეეცადნენ ლენინიზმის მოძღვრება ერთგვარ დოგმათ წარმოედგინათ. ამგვარ ეპიგონებს ლენინი შემდეგი სიტყვებით უპასუხებდა: „ჩვენი მოძღვრება დოგმა როდია, ის არის მოქმედების სახელმძღვანელო, ყოველთვის ამას ამბობდენ მარქსი და ენგელსი, რომლებიც სამართლიანად დასცინოდენ „ფორმულების“ გაზეპირებას და უბრალო განმეორებას, რითაც უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა მხოლოდ საერთო ამოცანების დასახვა. ხოლო ეს ამოცანები იცვლებიან ისტორიულ პროცესის თვითეულ თავისებურ ხანის კონკრეტულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის მიხედვით“. (ლენინი — წერილი ტაქტიკის შესახებ, ტ. XIV ნაწ. 1, გვ. 27).

პარტიას არ შეუძლია უბრალოდ გაჰყვეს მიმინდარეობას, როგორც ამას თხოულობს მემარჯვენეები; პარტიას არ შეუძლია გადასცეს ძალაუფლება წვრილბურჟუაზიას, როგორც ეს გამომდინარეობს მემარჯვენეების „ფილოსოფიიდან“; პარტიას არ შეუძლია აგოს თავისი პოლიტიკა „მუდმივ დათმობებზე“. პარტია სასტიკად ებრძვის დეზერტირობას სიძნელეების გადალახვის დროს. პარტია არ არის ჩვეული ვულგარულ პრაქტიციზმზე აგოს სახელმწიფოებრივი სოციალურ - ეკონომიური განვითარების გეგმა.

**დავ. დოლიძე.**

## ვარხანის თემში მუშაობის შესახებ

(ცეკას სამდივნოს დადგენილებიდან)

საქ. კომპარტიის ცეკას სამდივნომ მოისმინა ინფორმაცია ვარხანის თემის შესახებ (ახალციხის მაზრა) და გამოიტანა დადგენილება, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია:

„თემსაბჭოს თავმჯდომარის მოქმედებით გამოწვეული გლეხების უკმაყოფილება, რომელიც გამოყენებული იქნა თემის კულაკური ელემენტების მიერ, უმთავრესად აიხსნება თემის ორგანიზაციების ადმინისტრატიული მეთოდით მუშაობითა და თემის მუშაკთა უტაქტო მიდგომით გლეხობისადმი, რაც ზოგჯერ უპასუხისმგებლო და ტლანქ მოქმედებაში გამოიხატებოდა (სადიხოვის მაგალითი).

ამასთან ერთად ადგილი ჰქონდა გლეხობის უკმაყოფილებას ეკონომიურ ნიადაგზეც (საშ. გლეხობის ნაწილის ზედმეტი დაბეგვრა სას.-სამ. გადასახადით. სას.-სამ. გადასახადის საშუალო სიდიდე 1927-28 წ. უდრიდა 7 მან. 61 კაპ. ერთ მეურნეობაზე, 1928 — 29 წ. 13 მან. 59 კაპ., ტყის მრეწველობის ტრესტმა თავის დროზე არ გადაუხადა გლეხობას კუთვნილი ხელფასი).

ადგილი ჰქონდა სამაზრო პარტიულ ხელმძღვანელობის უყურადღებობას გლეხობისადმი. ეს გამოიხატა იმაში, რომ ვარხანის თემსაბჭოს თავმჯდომარის სადიხოვის კანდიდატურა ძალად მოახვიეს თავს ამომრჩევლებს ისე, რომ წინასწარ არ შეუთანხმებიათ ადგილობრივ პარტორგანიზაციისათვის და ღარიბთა ჯგუფისათვის.

ადგილი ჰქონდა დაუშვებელ შეცდომას სამაზრო პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ, რომლებიც ცდილობდნენ უხეში ადმინისტრატიული საშუალებით აღმოეწურათ ინციდენტი.

აღინიშნოს სათემო პარტხელმძღვანელობისა და პარტიული მუშაობის სისუსტე ვარხანში.

პოლიტიკურ - საგანმანათლებლო და სასკოლო მუშაობა უკიდურესად სუსტია გლეხობის ჩამორჩენილ მასებში, რომლებიც შეპყრობილი არიან რელიგიური ფანატიზმით (გლეხები აყენებენ საკითხებს ახალ მეჩეთების გახსნის შესახებ და ამას ასაბუთებენ იმით, რომ თემში მეტად მცირეა საბჭოთა სკოლების რიცხვი).

ზემოხსენებულის გამო, ს. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნო ადგენს:

დადასტურებულ იქნეს თემსაბჭოს თავმჯდომარის სადიხოვის მოხსნა თანამდებობიდან და აიკრძალოს მისი გამოყენება საპასუხისმგებლო სამუშაოებზე 1 წლის განმავლობაში. ვარხანის თემსაბჭოს თავმჯდომარედ წამოყენებულ იქნეს ისეთი კანდიდატი, რომელიც უზრუნველჰყოფს პარტიის ხაზის სწორად გატარებას სოფლად.

დადასტურებულ იქნეს, რომ ვარხანის ინციდენტის გამო დაპატიმრებულთა განთავისუფლება იყო სწორი ნაბიჯი.

დაევალოს სამაზრკომს დაუყოვნებლივ შესცვალოს ვარხანის თემპარტკომის მდივანი ვარგამოვი უფრო ძლიერი და შესაფერი მუშაკით.

დაევალოს სამაზრკომს დაუყოვნებლივ გადაიტანოს სოფ. ვარხანში თემის უმთავრესი ორგანიზაციები (პირველ რიგში პარტიის თემკომი).

სამაზრკომმა გამოასწოროს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა საშუალო გლეხობის ნაწილის სას.-სამ. გადასახადით ზედმეტად დაბეგვრის დროს.

დაევალოს საქ. ტყის მრეწველობის ტრესტს, რომ მან უზრუნველჰყოს გლეხობისათვის ხელფასის გაცემა დროზე.

პარტიის სამაზრო კომიტეტმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს ცენტრ. კომიტეტში ღონისძიებანი პარტიულ და საბჭოთა მუშაობის გასაჯანსაღებლად ვარხანის თემში.

დაევალოს განათლების კომისარიატს და პოლიტგანის მთავარ მმართველობას წარმოუდგინონ ცეკას სასკოლო და პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა პროექტი ახალციხის მაზრაში და, კერძოდ, ვარხანის თემში.

პარტიის სამაზრკომმა ჩაატაროს ვარხანის პარტორგანიზაციაში და გლეხობაში ახსნა-განმარტებითი კამპანია მომხდარი მიზეზებისა და მიღებული ზომების შესახებ.

განემარტოს კომუნისტებს და კომკავშირელებს, რომ დაუშვებელია ადმინისტრატიული მეთოდით მიდგომა მშრომელი მასებისადმი, განსაკუთრებით მასების რელიგიურ ცრუმორწმუნეობებთან ბრძოლის საქმეში და რომ საჭიროა უფრო მგრძნობიარეთ მოეპყრან მათ სულიერ განწყობილებას“.

## გამოვიყენოთ უპარტიოთა მითითებანი

### პარტწმენდის დროს

(წერილი სენაკიდან)

სენაკის სამპარტკომის და პარტსამეულის დირექტივების თანახმად ძირითადი ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ წინასწარ სამზადისს პარტიის მომავალი წმენდისათვის.

ქ. სენაკის უჯრედებში უკვე განხილულია პარტიის წმენდის საკითხი, მალე დასრულდება ამხ. იაროსლავსკის თეზისების დამუშავებაც.

ყველგან ქალაქის უჯრედები და თემის ორგანიზაციები, სადაც კი დამუშავდა ეს საკითხები, სავსებით დროულად და აუცილებლად სთვლიან საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის რიგების გაწმენდის შესახებ.

ძირითად ორგანიზაციებს სამაზრკომიდან ეიცემული აქვთ მტკიცე დირექტივა: სისწორით აღნუსხონ პარტიის თვითეული წევრისა და კანდიდატის დავალებანი, დაწვრილებით შეისწავლონ ის, თუ რამდენად მტკიცედ ატარებს ესა თუ ის ამხანაგი პარტიის ხაზს ცხოვრებაში და რა პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობს იგი სოც. აღმშენებლობის საქმეში.

ზოგიერთი ამხანაგები შიშს გამოსთქვამენ პარტიის წმენდის საქმეში უპარტიოების ჩაბმის გამო. ამ ამხანაგებს უნდა მოვაგონოთ ლენინის შემდეგი სიტყვები: „არის ადგილები, სადაც პარტიის წმენდის დროს უმთავრესად ემყარებიან უპარტიო მუშების გამოკვლევას, მითითებებს, ხელმძღვანელობენ ამ მითითებებით, ანგარიშს უწევენ უპარტიო პროლეტარულ მასის წარმომადგენლებს. აი, ეს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მთავარია. თუ ნამდვილად შევსძლებთ ამგვარად გავსწმინდოთ პარტია, „მიუხედავად პიროვნებისა“, რევოლიუციის მონაპოვარი მართლაც დიდი იქნება“.

ზოგნი ლაპარაკობენ, რომ ეს სიტყვები შეეხება მხოლოდ მუშურ ცენტრებს და არა გლეხურ მაზრებს, წვრილ-ბურჟუაზიულ რაიონებსო, მაგრამ მოვიგონოთ, რას ამბობდა ლენინი მეორე ადგილას: „პიროვნებათა შეფასებაში უპარტიო პროლეტარულ მასის, ხოლო ბევრ შემთხვევაში უპარტიო გლეხთა მასის მითითებანი მეტად ძვირფასია ჩვენთვის. მშრომელი მასა ადვილად არჩევს განსხვავებას პატიოსან, ერთგულ-კომუნისტებსა და ისეთებს შორის, რომლებიც ზიზღს აღუძრავენ მშრომელ კაცს“.

ცხადია, რომ კულაკები, ნეპმანები და ყველა სახის ანტისაბჭოთა ელემენტები პარტიის წმენდის დროს შეეცდებიან სახელი გაუტეხონ კომუნისტებს, მაგრამ „რასაკვირველია ჩვენ მასების ყველა მითითებას არ დავემორჩილებით“.. (ლენინი). თვითეული შენიშვნა, მითითება ამა თუ იმ კომუნისტზე პარტიის წმენდის დროს სისწორით გამორკვეული და შემოწმებულ უნდა იქნეს.

„პარტიის წმენდის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავაქციოთ საჯარო კრებები პროლეტარიატის უცხო ელემენტების მიერ პარტიისათვის სახელის გატეხის სადემაგოგიო ასპარეზად, არ დაუშვათ ასეთ კრებებზე არა მშრომელთა ან კლასობრივად უცხო ელემენტები.

„არავითარ შემთხვევაში კუდში არ უნდა მივჩანჩალებდეთ უპარტიო მასას, იქ, სადაც ლაპარაკია პარტიის ამა თუ იმ წევრის პარტიული ხაზის სისწორეზე.

ასეთი საჯარო კრებები უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ პარტიის ხაზი პარტიის რიგებში უპარტიო მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბ-გლეხთა საუკეთესო ელემენტების ჩასაბმელად“ (ამხ. იაროსლავსკის თეზისებიდან).

ამასთანავე აშკარაა ისიც, რომ პარტიის ხაზიდან მოწყვეტილი მერყევი-გაუსწორებელი ტროცკისტები, რომლებიც უნდა განიდევნონ პარტიიდან, შეეცდებიან ჩირქი მოსცხონ პარტიის ხაზის მტკიცედ გამტარებელ კომუნისტებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „პარტია დაუზოგველად უარყოფს არა საქმიან ფრაქციულ, ვითომდა კრიტიკას, მაგრამ ამავე დროს ის ყოველგვარი საშუალებით განაგრძობს ბრძოლას პარტიაზე მიტმასნილ ელემენტების აღმოსაჩენად და გასაძევებლად“. (ლენინი).

**მ. ბარამია.**

## „საქართველოს მუშ-გლეხკორი“

### მუშ-გლეხკორების ორკვირეული ჟურნალი

თანახმად საქართველოს მუშ-გლეხკორთა პირველი თათბირის დადგენილებისა, მზადდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი

## „საქართველოს მუშ-გლეხკორი“

გამომცემელნი: „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „ახალი სოფელი“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს, „წითელ არმიელი“-ს, „მოჯამაგირის ხმა“-ს, „პროლეტარი“-ს, (სომხურ ენაზე) და „ენი კენდი“-ს (თურქულ ენაზე) რედაქციები.

მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, კამოს ქ. № 68, „კომუნისტი“-ს რედაქცია, ჟურნალ „საქართველოს მუშ-გლეხკორი“-სათვის.

ჟურნალის თითო ნომერი ეღირება 10 კაპ.

ადგილობრივ კედლის გაზეთების რედკოლეგიებს, რომლებიც იკისრებენ ჟურნალის გავრცელებას, ვთხოვთ შეგვატყობინონ, სად, ვის და რამდენი ეკზემპლიარი გაუგზავნოთ.

# საერთაშორისო მიმოხილვა

## (კვირიდან--კვირამდე)

### მსოფლიო რევოლიუციის ძალები იზრდებიან. კოოპერატიული ალიანსი უნდა დ[illegible].— განიარაღების კომისია შეიარაღებას უწყობს ხელს.—ბრძოლის გამოცოცხლება ავღანეთში

პირველი მაისის დღესასწაულს საერთაშორისო პროლეტარიატი შეხვდა ომის საფრთხის შემდგომი ზრდის და მუშათა კლასზე კაპიტალის მძაფრი შეტევის პირობებში. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა მასების საპირველმაისო გამოსვლებმა გვიჩვენეს მათი ურყევი რევოლიუციონური ნებისყოფა როგორც იმპერიალისტებთან, ისე შინაურ ეკონომიურ - პოლიტიკურ რეაქციასთან საბრძოლველად.

ორივე ბანაკი გაფაციცებით ემზადებოდა ამ დღისათვის: რევოლიუციონური პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის მეთაურობით ერთი მხრით, ხოლო მეორეთი— კაპიტალისტების და სოციალ - დემოკრატიის ბლოკი.

კაპიტალისტურ მთავრობებმა უმეტეს ქვეყნებში აკრძალეს მუშების ყოველგვარი დემონსტრაცია პირველ მაისისათვის, წინასწარ ასობით და ათასობით დააპატიმრეს „საეჭვო“ პირები, ესე იგი რევოლიუციონურ მოძრაობის ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო მოღვაწენი, სამრეწველო ცენტრებში გააძლიერეს პოლიცია და ჯარები, რათა მუშათა მასების გამოსვლები სისხლში ჩაეხრჩოთ და „წესრიგი“ და ბურჟუაზიის „მყუდროება“ დაეცვათ.

ამ მხრივ განსაკუთრებით სოციალ - დემოკრატებმა „ისახელეს“ თავი, ბევრგან მათ გადააჭარბეს სისასტიკეში „თავის ხაზეინებს“ და სათავეში ჩაუდგნენ მუშებთან ბრძოლას. წინად უმეტეს შემთხვევაში ასე ხდებოდა: რეფორმისტები, კომპარტიის წინააღმდეგ პოლიტიკასთან ერთად რეპრესიების მიღებასთან ერთად, თავისი შემთანხმებლური ლოზუნგებით გამოდიოდნენ პირველ მაისს, ცდილობდნენ თავის გარშემო შემოეკრიბათ მუშათა მასები და კომუნისტები გაეუნაპირებიათ. მაგრამ წარსულმა გამოცდილებამ მათ დაუმტკიცა ამ ტაქტიკის უვარგისობა: მან ცხადყო, რომ სწორედ ისინი რჩებიან გარიყულნი და პროლეტარიატის დიდი ნაწილი კომპარტიის რევოლიუციონურ დროშებით გამოდის ქუჩებში. მით უმეტეს ეხლა, კლასობრივ ბრძოლის გამწვავების დროს, რეფორმისტებმა ვერ გაბედეს ამ გზით წასვლა: ეს ხომ უფრო გამოააშკარავებდა მათ გაკოტრებას და კომპარტიის გავლენის ზრდას.

ამიტომ მათ გეზი იცვალეს. გარდა იმისა, რომ სოციალ - მოღალატეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს პირველ მაისის დღესასწაულს, მოუწოდეს მუშებს არ აყოლოდნენ „მოსკოვის აგენტებს“ და განეგრძოთ ჩვეულებრივი მუშაობა,—გარდა ამისა, მათ „პირდაპირი შემოქმედების“ მეთოდებს მიმართეს. კერძოდ გერმანიის სოციალ - დემოკრატიამ ახალი რეკორდი დაამყარა რევოლიუციონერ მუშების დევნა-რბევის საქმეში. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ს.-დემ. გრჟეზინსკიმ და ბერლინის პოლიციეპრეზიდენტმა, აგრეთვე სოციალ - დემოკრატმა ცერგიბელმა, გერმანიის მენშევიკურ ცეკას კარნახით, საპირველმაისო დემონსტრაციები და კრებები აკრძალულად გამოაცხადეს; ისინი ამავე დროს დაემუქრენ კომპარტიას და მუშათა სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, რომ ამ ბრძანების დამრღვევთა წინააღმდეგ არავითარ ზომის წინაშე არ შეჩერდებიან.

მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, კომპარტიამ, რა თქმა უნდა, განაგრძო მზადება პირველ მაისისათვის. და ბერლინის პროლეტარიატის მრისხანე გამოსვლამ ცხადყო, რომ ის ძალებს იკრებს კლასობრივ მტრებთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის. გერმანიის დედა-ქალაქი, მუშების მიერ გამართულ ბარიკადებით, პირველ და ორ მაისს ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ეს იყო მომავალი გრანდიოზულ-კლასობრივ შეხლა-შემოხლის შესავალი, რეპეტიცია. ცერგიბელმა თავის მუქარა სისრულეში მოიყვანა: მათმა პოლიციამ მუშათა დემონსტრაციებს ყუმბარები დაუშინა. მრავალია მოკლული და დაჭრილი, ბურჟუაზიის და მისი მოკავშირის სოციალ - დემოკრატიის თეთრი ტერორის მსხვერპლი. რეფორმისტებსა და მუშათა კლასს შორის უფსკრული უფრო ღრმად გაითხარა.

პროლეტარიატმა ბრძოლის წყურვილი, რევოლიუციონური თავდადება და კლასობრივი შეგნება გამოიჩინა არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. სხვათა შორის, პარიზის რევოლიუციონერმა მუშებმა დაანახვეს მსოფლიოს, რომ ისინი კომუნარების ღირსეულ მემკვიდრეებად ხდებიან და მზად არიან თავის სახელოვანი წინაპრების ანდერძის განსახორციელებლად იბრძოლონ.

პირველი მაისი იყო საერთაშორისო რევოლიუციის ძალების მორიგი დათვალიერება, ევროპის მუშების გამოსვლებმა გვიჩვენეს, რომ ეს ძალები, მიუხედავად მრავალგვარ სიძნელისა, თანდათან იზრდებიან. აქედან მიღებული გაკვეთილი უეჭველად შეიქნება ერთ-ერთ გამოსავალ წერტილად პროლეტარულ რიგების შემდგომი რევოლიუციონურ მობილიზაციისათვის.

⁂

პირველი მაისის დღესასწაულს შეხვდა საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების (ალიანსის) აღმასკომის სესია. კოოპერატიულ ალიანსს სიტყვიერად თავი მშრომელთა ინტერესების დამცველად მოაქვს, ნამდვილად კი იგი კაპიტალისტური სისტემის უბრალო დამატებას წარმოადგენს. ამ ორგანიზაციაში გაბატონებული რეფორმისტები მასაც იყენებენ მასებში მავნე ილიუზიების შესაქმნელად, თითქო ბურჟუაზიული წყობილების პირობებში წვრილმანი კოოპერატიული საქმიანობით შეიძლებოდეს მათი მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება და ამ წყობილების მშვიდობიანი გარდაქმნა; ალიანსის საშუალებითაც სოციალ - დემოკრატები ცდილობენ პროლეტარიატის კლასობრივ შეგნების დაბნელებას, მის რევოლიუციონურ ნებისყოფის მოდუნებას და კლასთა „თანამშრომლობის“ განხორციელებას, ესე იგი მუშათა კლასზე კაპიტალის ბატონობის განმტკიცებას.

აიღეთ ალიანსის აღმასკომის ეხლანდელი სესია. მან უარყო საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლის წინადადება, რომ სხდომა, საერთაშორისო პროლეტარიატთან სოლიდარობის ნიშნად, პირველ მაისს არ შემდგარიყო. და მაშინ, როცა ამ დღეს ბერლინის ქუჩებში ბარიკადები იყო აღმართული და ნამდვილი ომი წარმოებდა, როცა მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიაც სისხლი ილვრებოდა, — ამ დროს ალიანსის აღმასკომი ჩვეულებრივ განაგრძობდა „მუშაობას“, თითქო არაფერი მომხდარიყოს. ამით მან ნათლად დაანახვა ყველას, რომ იგი აშკარად ანტიპროლეტარული ორგანიზაციაა. ამასთან ის ამ შემთხვევაში მოქმედებდა საერთაშორისო რეფორმიზმის კარნახით, რომელმაც პირველ მაისის დღესასწაულს ბოიკოტი გამოუცხადა. ამაოდ ამტკიცებენ ალიანსის მესვეურები, რომ ის თითქო ნეიტრალური დაწესებულებაა და მუშათა არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ ეკედლება: იგი, რამდენადაც საქმე საზღვარგარეთის კოოპერაციას შეეხება, მეორე ინტერნაციონალის ფილიალია და მისი ერთ-ერთი იარაღი მასების მოსატყუებლად და დასამონებლად.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ სესიის დღის წესრიგში იდგა ალიანსის ხელმძღვანელ ორგანოს დამოკიდებულება მეორე ინტერნაციონალის საპეტიციო კამპანიისადმი. როგორც ვიცით, საერთაშორისო სოციალ - დემოკრატია თავის საკმაოდ შეთხელებულ „მრევლში“ ეწეოდა აგიტაციას, რათა გამოეტანათ შუამდგომლობანი კაპიტალისტურ მთავრობათა წინაშე შეიარაღების შემცირების შესახებ. ეს კამპანია მიზნად ისახავდა: 1) მასებში შთაბეჭდილების შექმნას, ვითომ რეფორმისტები განიარაღებისათვის იბრძვიან, 2) მშრომელთა იმედის გაღვივებას, თითქო „ბრძოლის“ ასეთი მეთოდი — უმორჩილესი თხოვნების მირთმევა იმპერიალისტებისადმი, ხელს შეუწყობდეს განიარაღების მიღწევას; ეს იყო მუშათა კლასის სიფხიზლის მიძინების, მისი რევოლიუციონურ გზიდან აცდენის და ერთა ლიგის პრესტიჟის განმტკიცების ცდა, 3) ამავე დროს რეფორმისტებს სურდათ მასების ყურადღება ჩამოეშორებიათ საბჭოთა დელეგაციის გამოსვლებიდან ჟენევაში და იმპერიალისტებისათვის ხელი შეეწყოთ მის წინადადებათა ჩაფუშვაში.

მეორე ინტერნაციონალის ბიურომ წინადადებით მიმართა ალიანსის აღმასკომს შეერთებოდა მის საპეტიციო კამპანიას. ალიანსის აღმასკომმა თავის მხრივ, ალბად, ხსენებულ ბიუროს დავალებით, მოინდომა ამ „წამოწყებაში“ საბჭოთა კოოპერაციის ჩაბმაც. ამგვარად, ჩვენ კოოპერაციას უნდა გაეკეთებია იმპერიალისტების და რეფორმისტების საქმე! საბჭოთა კოოპერაციამ თავის დროზე ამხილა მეორე ინტერნაციონალის ბნელი ზრახვები და არამც თუ თვითონ უკუაგდო ალიანსის წინადადება, არამედ გადაჭრით მოითხოვა, რომ მას მხარი არ დაეჭირა მეორე ინტერნაციონალის „სამშვიდობო“ გამოსვლისათვის. ასევე მკაცრად გაილაშქრა სესიაზე ჩვენმა წარმომადგენელმა ადლერების და ბრუკერების წინადადების წინააღმდეგ. თავის - თავად ცხადია, რომ სესიამ ჩვენი მოთხოვნა არ გაიზიარა, მაგრამ ის მაინც იძულებული შეიქნა ამ საკითხის არსებითად განხილვისაგან თავი შეეკავებია. საბჭოთა დელეგაციის მხრით მხილებისა და საპეტიციო კამპანიის სასკანდალო დამარცხების შემდეგ ჟენევაში მან გაჩუმება არჩია.

სესიაზე ირჩეოდა პროექტი მოწოდებისა, რომელიც ალიანსს უნდა გამოეშვას კოოპერაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. მოწოდება ჩვეულებრივი პაციფისტური ხასიათისაა და არსებითად იმეორებს მეორე ინტერნაციონალის პეტიციების შინაარსს. საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელი შეეცადა ამ მოწოდებისათვის რევოლიუციონური ხასიათი მიეცა: მან მოითხოვა იქ შეტანილი ყოფილიყო ლოზუნგები ომის საფრთხის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების წინააღმდეგ, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის შესახებ და სხვ. სესიამ ეს შესწორებები, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყო. ამის შემდეგ ჩვენს წარმომადგენელს სხვა არაფერი დარჩა, თუ არა მოწოდებიდან საბჭოთა დელეგაციის ხელის მოწერის მოხსნა.

კოოპერატიული ალიანსი ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც ყოველნაირად აფერხებს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, მისი დაპყრობა რევოლიუციონურ ელემენტების მიერ, იქ რეფორმისტების ბატონობის აღმოფხვრა, მისი გადაქცევა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობის იარაღად — ასეთია კომპარტიის ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანი. ალიანსი მრავალ ათეულ მილიონ მშრომელს აერთიანებს. მისი დაახლოვება მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან და მათი გავლენისათვის დაქვემდებარება დიდად წასწევს წინ მსოფლიო რევოლიუციის საქმეს.

⁂

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ მეორე ინტერნაციონალის საპეტიციო კამპანია სასკანდალოდ დამარცხდა. ორ კვირაზე მეტია, რაც განიარაღების მოსამზადებელი სესია „მუშაობს“. ამ ხნის განმავლობაში სესიამ ყველაფერი მოიქმედა იმისათვის, რომ საბოლოვად გაეშიშვლებია იმპერიალისტების ზრახვები. თვით ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი ირონიულად ლაპარაკობს სესიის „დიდ შედეგებზე“: თუ დღემდე განიარაღების კომისია ერთ ადგილს ტკეპნიდა და ასე თუ ისე ცდილობდა შექმნა შთაბეჭდილება, რომ ის რაღაცას აკეთებს განიარაღების საქმისათვის, ეხლა მან ნიღაბი ჩამოიფხრიწა და განიარაღებაზე მოლების შემცირებას კი არ გულისხმობს, არაბის მაგივრად, აშკარად აიღო გეზი შეიარაღების გაძლიერებაზე.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით საბჭოთა წინადადების უარყოფაზე სესიის მიერ: ამაზე არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი. ლოუდონი, საბჭოთა პროექტის განხილვაზე „დროს დაკარგვის“ ნაცვლად, სესიას ურჩევდა „გაკვლეული გზით“ სიარულს. ამ შემთხვევაში იგი გულისხმობდა კონვენციას, რომელიც კომისიამ დიდი ვაი-ვაგლახით გამოიმუშავა 1927 წ. ეს კონვენცია წინააღმდეგობებითაა აღსავსე, რაც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანხმოებას გამოხატავს, და ამავე დროს არსებითად არავის არაფერს ავალებს. კონვენციის მთავარი აზრი ისაა, რომ განიარაღების საკითხი დაკავშირებულია ე. წ. უშიშროების პრობლემასთან. უშიშროება კი იმპერიალისტებს თავისებურად ესმით: ესაა თავის ბატონობის განმტკიცება დაჩაგრულ ქვეყნებზე და კონკურენტების დასუსტება. თვითეული იმპერიალისტური სახელმწიფო ამტკიცებს, რომ ის ყველაზე საშიშ მდგომარეობაშია და თავის უზრუნველსაყოფად ამდენი და ამდენი შეიარაღებული ძალა ესაჭიროება. ამგვარად, ეს პრინციპი შეიარაღების შემცირებას კი არ გულისხმობს, არამედ მის ზრდას.

ამის მიხედვით ეხლანდელი სესია, რომელიც ამ კონვენციას იხილავს, შეიარაღების გაძლიერების გზას დაადგა. მან თანდათანობრივ უარყო ყველა ისეთი მუხლი, რომლებიც შეიარაღების თუ გინდ მცირეოდენ შეზღუდვის მოთხოვნას შეიცავდენ, ხოლო ისეთი მუხლები, რომლების გარშემო იმპერიალისტები შეთანხმებას ვერ აღწევენ, პირდაპირ იშლება. ამნაირად, მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სრული ფორმალური შესაძლებლობა ეძლევათ შეიარაღების დარგში ისე მოიქცენ, როგორც ეს მათ მოეპრიანებათ. კონვენციიდან რჩება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეიარაღების ზრდას გულისხმობს.

აიღეთ, მაგ., რეზერვების საკითხი. საფრანგეთი, რომელსაც ყველაზე მრავალრიცხოვანი და გაწვრთნილი სათადარიგო ნაწილები (სამხედრო რეზერვები) ყავს, მოითხოვდა, რომ შეიარაღების შემცირება ამ რეზერვებზე არ გავრცელებულიყო. ამის წინააღმდეგ წინად ილაშქრებდა ბევრი სახელმწიფო, პირველ ყოვლისა ინგლისი, რომლის გავლენას ევროპაში საფრანგეთის მილიტარიზმის გაძლიერება ბოლოს ულებდა. მაგრამ ამერიკის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის მიზნით ინგლისი იძულებული იყო საფრანგეთთან ცნობილი შეთანხმება დაედო და ამ საკითხში დათმობაზე წასულიყო. ეხლა ჩრდ.-ამერიკაც დაადგა საფრანგეთის თვალსაზრისს, ვინაიდან ინგლისთან ბრძოლისათვის მას ესაჭიროება საფრანგეთ - ინგლისის კავშირის ჩაშლა და საფრანგეთის თავისკენ გადაბირება. სესიამ ამის შემდეგ დაადგინა სამხედრო რეზერვები გამოირიცხოს შეიარაღების შემცირების სქემიდან, რაც ნიშნავს სახმელეთო შეიარაღების განუსაზღვრელად ზრდის დაშვებას. ამასთან დაკავშირებით კომისიამ, ამერიკის წარმომადგენლის თანხმობითვე, გადასწყვიტა კონვენციიდან გამორიცხოს ქვეითი არმიების სამხედრო მასალის საკითხი. ამნაირად, დაშვებულია სამხედრო მარაგის დაუსრულებლივ მზადებაც. კომისიის გადაწყვეტილებანი საჰაერო ომის, შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეებით შევსების და სხვა საკითხებში იმპერიალისტებს ხელფეხს უხსნიან საომარ საშუალებათა და კადრების გასაძლიერებლად.

ასეთია სესიის უარყოფითი შედეგები. ასეთია მეორე ინტერნაციონალის „შუამდგომლობის“ ნაყოფი. ამხ. ლიტვინოვი შეუბრალებლად ამხელს იმპერიალისტების ამ ნაბიჯებს, რომლებსაც ისინი ცინიკურად განიარაღებისათვის მუშაობას ეძახიან, მაგრამ მისი გამოსვლები განიარაღების სასარგებლოდ, როგორც თვითონ ამხ. ლიტვინოვი აღნიშნავს, რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. დიახ, იმპერიალისტების ბანაკში საბჭოთა მთავრობის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას ბოროტი საბოტაჟით ხვდებიან, მაგრამ იგი ცოცხალ და ფართო გამოხმაურებას პოულობს მთელ მსოფლიოს მასებში, რომელნიც სულ უფრო იგებენ იმპერიალისტების და მათ დამქაშ სოციალ-გამცემლების პაციფისტურ თაღლითობას. ისინი თანდათან რწმუნდებიან, რომ ერთადერთი გზა განიარაღების და მშვიდობიანობის განსახორციელებლად არის მედგარი რევოლიუციონური ბრძოლა, მიმართული კაპიტალიზმის დამხობისა და პროლეტარულ ძალაუფლების დამყარებისაკენ. მუშათა კლასის საპირველმაისო გამოსვლებმა გვიჩვენეს, რომ იგი სწორედ ამ გზას ადგება.

⁂

გაზაფხულზე, როცა გზებს მოკლებულ მთაგორიან ავღანისტანში მოძრაობა უფრო შესაძლებელი გახდა, იქ ბრძოლა კვლავ გამოცოცხლდა.

ბოლო დროს ორი მთავარი ძალა იდგა ერთი მეორის წინააღმდეგ. ერთს მეთაურობს ამანულა, რომელიც გამაგრებულია ყანდაგარში, ხოლო მეორეს ბაჩე-საკაო, რომელიც ქაბულის ტახტზეა წამოსკუპებული. ბოლო დროს გამოჩნდა ნადირ-ხანი, რომელიც აქტიურად ჩაერია ქვეყნის ცხოვრებაში.

ნადირი ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ კაცად ითვლება ავღანისტანში, იგი ამანულას ჯარების ყოფ. მთავარსარდალია, აგრეთვე ავღანისტანის ყოფ. ელჩი პარიზში. ის დიდი გავლენით სარგებლობს ავღანისტანის ტომებ შორის, კერძოდ, სამხრეთის პროვინციებში. დღეს ნადირ-ხანი ხდება როგორც ქვეყნის შიგნით მომქმედ ძალების, ისე ინგლისელ იმპერიალისტების ყურადღების ცენტრად, ვინაიდან მის პოზიციაზე და მოქმედებაზე საგრძნობლადაა დამოკიდებული ამბების მსვლელობა ავღანისტანში.

საბოლოოდ გამორკვეულად უნდა მივიჩნიოთ, რომ ნადირ - ხანი ბაჩე-საკაოს გაპატონებას ვერ ურიგდება. უკანასკნელი, რომელიც ცდილობდა ნადირის მიმხრობას და მისი დახმარებით თავის ძალაუფლების მთელ ქვეყანაში გავრცელებას, ეხლა აცხადებს, რომ ნადირმა მას „ვერაგულად უღალატა“. ქაბულში ნადირ-ხანის ქონებას კონფისკაცია უყვეს, ხოლო მისი ოჯახობა დააპატიმრეს. ეს „საძაგელი ღალატი“ იმაში იხატება, რომ ნადირი აერთიანებს სამხრეთ - აღმოსავლეთის ტომებს ბაჩე-საკაოს წინააღმდეგ; მის რაზმებმა უკვე დაიწყეს შეტევა ქაბულზე და მას სამხრეთიდან 75 კილომეტრით დაუახლოვდნენ.

ამავე დროს სამხრეთ - დასავლეთიდან ქაბულს უტევენ ამანულას მომხრე ტომები, რომელნიც ხაბიბულას (ბაჩე-საკაოს) ნაწილებთან ბრძოლას აწარმოებენ ქაბულიდან 70—75 კილომეტრის დაშორებით. ამანულას მხარეზე ახალ - ახალი ტომები გადადიან. ამრიგად, ხაბიბულა ძალზე შევიწროვებულია.

მთავარია ამანულას და ნადირის დამოკიდებულება. ინდოეთში ყოფნის დროს ნადირი აცხადებდა, რომ ყოველნაირად შეეცდება ამანულას დაბრუნებას ტახტზე, მაგრამ ამასთან რეფორმები მხოლოდ თანდათანობით შეიძლება გატარდესო. მაშინ მას ინგლის-ინდოეთის მთავრობა ავღანისტანში შესვლაზე ვიზას არ აძლევდა, ეხლა კი ის უკვე იქ იმყოფება და ინგლისის პრესა მას თანაგრძნობით ეკიდება. ეტყობა, რაღაც შეთანხმება უნდა არსებობდეს ნადირ-ხანსა და ლონდონ შორის. წინედაც ნადირი ერთობ საეჭვოდ იქცეოდა ამანულას მიმართ. მაგ., 1924 წ. ხოსტაში მომხდარ რეაქციონურ აჯანყების დროს მან უარი განაცხადა ეკისრა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარების სარდლობა და ამითაც განამტკიცა თავისი გავლენა სამხრეთის პროვინციებში. ხოლო თუ ინდოეთში იგი ამანულას მომხრედ აცხადებდა თავს, ეს შეიძლება იმითაც აიხსნება, რომ ამანულა ინდოეთის მოსახლეობაში დიდი პოპულიარობით სარგებლობს, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი.

ინგლისის მთავრობას ურჩევნია ნადირხანმა ჩაიგდოს ძალაუფლება ავღანისტანში, თუ იგი აშკარად ინგლისის ორიენტაციას დაადგება და ამანულას გამეფებას არ დაუშვებს. საქმე ის არის, რომ ლონდონი ბოლომდე ვერ დაემყარება ბაჩე - საკაოს, თუმცა იგი მისი მონა-მორჩილია. საქმე ის არის, რომ ხაბიბულამ ვერ შესძლო თავის პოზიციების განმტკიცება, სხვათა შორის, ის ეროვნებით არ არის ავღანელი და ამის გამოც მრავალი ტომი მის წინააღმდეგაა ამხედრებული. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები, რომ ბაჩე-საკაოს სოციალურ ბაზას გლეხობა წარმოადგენს. მართალია, ეს გლეხობა თავის შეუგნებლობის წყალობით დღეს კონტრ - რევოლიუციონურ როლს თამაშობს, ის ფეოდალების და სამღვდელოების ბრმა იარაღია, მაგრამ იგი ხომ შეიძლება თანდათან გამოფხიზლდეს და დაირაზმოს როგორც თავის კლასობრივ ინტერესების დასაცავად, ისე უცხოელთა ძალადობის მოსაშორებლად. ამას დიდად უწყობს ხელს თვით ხაბიბულა, რომელმაც არამც თუ გააუმჯობესა გლეხობის მდგომარეობა, არამედ გააუარესა კიდეც. მან უკვე შეასრულა ინგლისის იმპერიალიზმის დავალება — დაამარცხა ამანულა, აწი იგი გამოუსადეგარი ხდება და შეიძლება მოშორებულ იქნას. ნადირი კი, რომელიც უფრო დაკავშირებულია ავღანისტანის ტომებთან და სამღვდელოებასთან, ზემოხსენებული პირობის დაცვით, შეიძლება ეხლა უფრო გამოადგეს ლონდონს თავის მიზნების გასატარებლად.

მაგრამ ჯერჯერობით მაინც ნადირის გეგმები საკმაოდ არ არის გარკვეული. ამასთან, როგორც ვსთქვით, ძლიერდებიან ამანულას მომხრენიც, რომელნიც, უეჭველად, დიდ როლს ითამაშებენ მოვლენათა მსვლელობაში. ახლო მომავალში მდგომარეობა, ალბად, უფრო ნათლად გამოირკვევა.

**გ. პ.—ლი.**

# მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

# მასების კონტროლის გზით

## საეჭვო ღირსების „სპეცთა" ნახელავი

კოოპერატიული ამხანაგობა „იმერეთი"-ს დიდი ხნის სურვილს შეადგენდა იმერული ღვინის დაყენების საქმის მოწყობა, რითაც გლეხის ნაამაგარს მეტი ფასი უნდა დასდებოდა. ღვინის ხეირიანად დაყენებისათვის საჭიროა სპეციალურად მოწყობილი სარდაფი და ამ სარდაფის აშენებაზე მუდამ ფიქრობდა გამგეობა. დიდი წვალების შემდეგ შესძლო კოოპერატიულმა ამხანაგობამ მოეკიდა ხელი საქმისათვის. იშოვნა გრძელვადიანი სესხი, გამოსძებნა სპეციალისტებიც, რომლებმაც შეადგინეს პროექტი, აღმოჩნდნენ სარდაფის აშენებელნიც,—ჩვენში უკვე კარგად ცნობილი საზოგადოება „სამშენი". აირჩიეს ადგილი სარდაფის ასაშენებლად—ქ. ზესტაფონში ერთ-ერთი გორაკის ძირში. სარდაფი უნდა აშენებულიყო მოთხრილ გორაკში, კლდეში და ზევიდან მიწა უნდა ჰქონოდა დაყრილი, რათა ღვინის დასაყენებლად დაცული ყოფილიყო სათანადო ტემპერატურა.

დაიდო ხელშეკრულება „სამშენთან" და დაიწყო „იმერეთი"-ს ტანჯვა. დადის მას შემდეგ „იმერეთი"-ს გამგეობა და ეძებს სამართალს.

ჯერ პროექტის შემდგენელი და სამუშაოთა უფროსი გამოდგა „იმერეთს". ეს გახლდათ ინჟენერ-ხუროთმოძღვარი მოსეშვილი. მან შეადგინა ხარჯთაღრიცხვა. სარდაფის გეგმა დახატა ერთი მეტრის სიგრძე-სიგანის ქაღალდზე. მოსეშვილს მშვენიერი ხატვა სცოდნია. მისი ნახატი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ეხლაც კი ამშვენებს „იმერეთი"-ს გამგეობის კედლებს, მაგრამ მოსეშვილი როგორც პროექტის შემდგენელი ვერ გამოდგა ხეირიანი. ჯერ ამბობდა შენობა სამოცი ათასი მანეთის მეტი არ დაჯდებაო. მერე აზრი შეიცვალა და „ცოტაოდენი" წაუმატა. შემდეგ კიდევ დაუფიქრდა საქმეს და ას თექვსმეტ ათას მანეთზე შეჩერდა. ვიღას დაუჯეროს „იმერეთმა" თუ არა „გამოცდილ" სპეცს—მოსეშვილს. ასეთი პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დასდო ხელშეკრულება „იმერეთმა" და „სამშენმა". ატყდა ზესტაფონის რაიონში ღაღუმების სროლა. იმტვრევა კლდე. თურმე მოსეშვილს ხარჯთაღრიცხვაში სრულებით არ გაუთვალისწინებია კლდის მოჭრა. „იმერეთი" ხედავს რომ ნავარაუდევი თანხა მარტო კლდის სამუშაოს არ ჰყოფნის. იქვე შეეპარათ მოსეშვილის შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში. მოსეშვილი კი არწმუნებს იმერეთს, რომ სარდაფი ნავარაუდევზე მეტი არ დაჯდება. საჭირო გახდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ჩარევა საქმეში. გამოირკვა პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის სრული უსაფუძვლობა. გამოირკვა, რომ „სამშენი" ძველი „დაქოქილი" ფირმაჩიკით შესდგომია საქმეს. სამუშაოს ფასები გაუზვიადებია, დადებული ხელშეკრულება თეორიულათ და პრაქტიკულად მიუღებელი აღმოჩნდა. ამავე დროს აღინიშნა, რომ ქვა, რომლითაც „სამშენი" აპირობს შენობის ამოყვანას საეჭვოა. შესაძლებელია მან ვერ აიტანოს დიდი წნევა. ინსპექციამ მიუთითა „სამშენს", რომ ქვა გაესინჯათ სპეციალურ ლაბორატორიაში. მთელი რიგი დადგენილებები იყო გამოტანილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მოიხსნა სამუშაოთა ხელმძღვანელობიდან ინჟენერი მოსეშვილი და გამოეცხადა მას საყვედური. წინადადება მიეცა ორივე მხარეს გადაესინჯათ ხელშეკრულება. „იმერეთ"-საც „მოხვდა" სათანადოთ უთავბოლოთ საქმის წაყვანისათვის. ეს იყო 1928 წ. მაისში. მას შემდეგ სწარმოებს სარდაფის შენება ახალი ხელშეკრულების მიხედვით.

ოცდა ხუთ დეკემბერს გაემგზავრა ზესტაფონში შენებლობის დამთვალიერებელი კომისია, რომელშიაც შედიოდა: „სამშენი"-ს მხრივ სამუშაოთა უფროსი ინჟენერი ანტონოვი, ს. მ. უ. ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების წარმომადგენელი ინჟენერი პოპოვი.

კომისიაში შედიოდნენ აგრეთვე შორაპნის მაზრის აღმასკ. და სხვ. ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ჩავიდნენ ინჟენერნი ზესტაფონში, შეათვალიერეს ნაშენი სარდაფი და შეადგინეს ტეხნიკური აქტი, რომლის მიხედვითაც შენობა სრულიად წესიერად ნაგები აღმოჩნდა. ორივე ინჟენერმა მოაწერა აქტს ხელი. აქტი სიტყვა-სიტყვით შემდეგნაირად ბოლოვდებოდა: „შემოწმებული სამუშაონი სისწორით არის წარმოებული პროექტის მიხედვით, დამაკმაყოფილებელ ხარისხის მასალებიდან".

ამას წინად სარდაფის შესამოწმებლად კვლავ გაიგზავნა ახალი კომისია სამი ინჟენერის შემადგენლობით.

რა აღმოჩნდა თვით სარდაფის დათვალიერების დროს?

აშენებულია სარდაფის ქვედა სართული, მაგრამ ეს სართული აუგიათ, რუსულად რომ იტყვიან „პატიოსან სიტყვაზე". ნაწილობრივ ნახმარია ქვა, რომელიც სრულიად უვარგისია ასეთი ტიპის შენობისათვის. კირი ვერ იჭერს ქვას. ზოგიერთ ადგილზე კედლიდან ხელით შეიძლება ქვის ამოღება და ზედ ნამცეცი კირიც არ დაეშჩნევა. ცუდი ღირსების კირს ზევიდან გადასმული აქვს კარგი ცემენტის ნარევი (ალბად უვარგისი კირის დასაფარავად). პირველ სართულის კედლებს თაღები უნდა დაედგას, და სწორეთ იმ ადგილებზე, სადაც თაღების ფუძეებია ნავარაუდევი, კედელში თლილი ქვის მაგივრად ნახმარია ქვის პატარა ნამტვრევები, ეგრეთ წოდებული „ხურიდა". დასკვნა ცხადია. ასეთი წესით შენობის დამთავრება შეუძლებელია. საჭიროა კედლების ნაწილობრივ დანგრევა და ახალი კედლების ამოყვანა. გამოირკვა, რომ „იმერეთი" და ადგილობრივი ორგანიზაციები ყოველგვარ ზომებს იღებდნენ, რომ დაერწმუნებინათ „სამშენი"-ს გამგეობა შენობის უვარგისობაში. მაგრამ ცდა ამაო იყო. რაღა ეთქმებოდა „იმერეთს", როდესაც ინჟენერი პოპოვი ასე უყურადღებოთ მოეკიდა საქმეს და თვალ-დახუჭულმა მოაწერა ხელი საბედისწერო აქტს. ცხადია, სარდაფი აშენებული იქნება. მის დასამთავრებლად ყოველგვარი ზომებია მიღებული. იმერეთის გლეხკაცობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენი საკონტროლო და სასამართლო ორგანოები შესაფერ ზომებს მიიღებენ ასეთი „მშენებლების" წინააღმდეგ.

ხოლო ეს მაგალითი ჩვენთვის გამაფრთხილებელ გაკვეთილად უნდა დარჩეს. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველთვის ბრმად დანდობა საეჭვო ღირსების სპეციალისტებზე—ასეთ ნაყოფს გამოიღებს.

გ—ნი.

შრომის ბირჟის კოლექტივში (რუსთაველის პროსპ. № 20) გამგეთ არის ყოფ. ვაჭარი საინოვი. ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ მოკლე ცნობები ამ პიროვნების წარსული მოღვაწეობიდან: მოქ. საინოვი მენშევიკების ხელისუფლების დროს (1920 წელში) განაგებდა მომარაგების სამინისტროს საფართლო განყოფილებას. ამავე წელში საინოვმა საწყობში არსებული ფართლის დიდი ნაწილი თავის სახლში მოიმარაგა და იქ გაჩინა სარფიანი კლიენტები, რაზედაც პასუხისგებაში იქნა მიცემული. 1923 წელში საინოვმა ვინმე აბაშიძესთან ერთად გაბაევის შესახვევში გახსნა რესტორანი „სამოთხე", მოაწყო საიდუმლო ოთახები და შიგ გამართა გარყვნილების ბუდე.

ადმინისტრატიულ განყოფილებამ დაკეტა აბაშიძე-საინოვის „სამოთხე" და მისი გმირები პასუხისგებაში მისცა.

მოქ. საინოვს ჰყავს ღირსეული მოადგილე, ბაბაროვი, რომელიც თავის გამგეს არ ჩამორჩება მოქალაქეთა ლანძღვა-გინებაში და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევაში.

აი, ასეთ ტიპებს მოუკალათებიათ შრომის კოლექტივებში, რომლებიც პროფკავშირის წიგნაკით ჯიბეში მასხარათ იგდებენ საგადასახადო კანონმდებლობას, შეგნებულად ამახინჯებენ კოლექტივიზმის პრინციპებს და მით სახელს უტეხენ ამ საპატიო წამოწყებას.

საინოვისა და მისი მსგავსი ტიპები ადვილად პოულობენ დამცველებს ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგების სახით. აი, ამისი ერთი მაგალითიც. მოქ. საინოვის უკანონო მოქმედების შესახებ თბ. აღმასკომის საგადასახადო სექციის ერთ-ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელმა შეიტანა წერილობითი განცხადება შრომის ბირჟის კომიტეტის ფრაქციაში. ფრაქციამ მიიღო დადგენილება საინოვის სამსახურიდან მოხსნის შესახებ, მაგრამ დახეთ უბედურებას, საინოვს ნათლიმამათ გამოუჩნდა ამხ. ატოევი, გააცნო მას ფრაქციაში შეტანილი განცხადების როგორც შინაარსი, ისე ფრაქციის საიდუმლო დადგენილებაც, თან დაარიგა თუ როგორ მოქცეულიყო და სად შეეტანა განცხადება მისი ადგილზე დატოვების შესახებ. ასეთივე ნათლიმამები სხვა ყოფ. ვაჭრებსაც მოეპოვება.

თბილისის შრომის კოლექტივების მდგომარეობა საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი. საბჭოთა დაწესებულებების მომავალ წმენდასთან ერთად კოლექტივებიც უნდა გაიწმინდოს მიტმასნილ ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან. ამავე დროს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს მათ, რომლებიც გამოდიან ყოფილი სპეკულიანტების დამცველის როლში.

მეთვალყურე.

## სარევიზიო რევიზორები

### (თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილება)

ხუმრობით იტყვიან ყინული თოვლს თავდებად დაუდგა. გაზაფხულზე ორივენი გადნენ და მათი ვალიც წყალმა წაიღო.

ჩვენს სინამდვილეშიაც აქვს ასეთ მოვლენას ადგილი, როდესაც ერთი პირი თავდებად დასდგომია მეორეს ვალში, თუმცა არც ერთი მათგანი, არც ვალის ამღები და არც თავდები, არ დამდნარან, ორივენი მშვიდობით არიან, ხოლო ვალის გადახდაზე არც ერთი იტკენს თავს და არც მეორე.

საქმე შეეხება თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილების რევიზორ იონა უშვერიძეს. დაახლოვებით ამ ორი წლის წინად ქალაქის პირველ საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცის), ადმინისტრაციის განკარგულებით დანგრეული იქნა ერთი ბარაკი, რომლის მასალაც იმყოფებოდა მაშინდელი სამეურნეო ნაწილის გამგის მოქ. ჯაფარიძის ხელში. სხვა მასალასთან ერთად იყო თითქმის სრულიად ახალი 200 ფუთამდე ცინკის თუნუქი.. იონა უშვერიძეს თვალში დაუჯდა ეს საქონელი. მას ჯაფარიძესთან მიაქვს განცხადება, რომლითაც თხოულობს 83 ფუთ თუნუქს, მოქ. ჯაფარიძე ხმა-ამოუღებლივ აკმაყოფილებს უშვერიძეს. ჯაფარიძეს მასალა წიგნებშიაც არ ქონია შეტანილი. ეს მოხდა ორი წლის წინად და, როდესაც ამხ. ოგანომა გადიბარა ჯაფარიძისაგან საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილი და მათ შორის დანარჩენი თუნუქიც, მხოლოდ მაშინ გამოირკვა, რომ ჯაფარიძეს აღნიშნული თუნუქიდან გაუცია 83 ფუთი. აგრეთვე ისიც, რომ რევიზორ იონა უშვერიძეს აღნიშნული თუნუქი მიუღია პირადი თავდებობის ქვეშ საკუთარი ძმისათვის. მისმა ძმამ კი წაღებული თუნუქით გურიაში სახლი გადახურა.

თუნუქის გაცემა მოხდა სრულიად შეუფასებლად. ორი წელიწადია 83 ფუთი თუნუქი ირიცხება რევიზორ უშვერიძეზე, რატომ თავის თავს არ გაუკეთა რევიზორმა უშვერიძემ რევიზია, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა: სანთელი თავის წინ ვერ გაანათებსო. ეტყობა რევიზორი უშვერიძე მტკიცედ მისდევს ამ მავნე ანდაზის აზრს.

უშვერიძეს კარგი მეგობრები ჰყავს საკონტროლო განყოფილებაში. მას შუამდგომლობა აღუძრეს აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რომ მისცენ უშვერიძეს ერთდროული დახმარება 200 მანეთის რაოდენობით. უშვერიძემ მართლაც მიიღო აღნიშნული თანხა.

გარდა ამისა, თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილებაში თანამშრომლებზე საშვებულებო კომპენსაციის გაცემის დროს, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდი დაუდევრობას აქვს ადგილი. აი მაგალითად, რევიზორი ქორიძე სამსახურში ჩაირიცხა 1927 წ. 19 აგვისტოდან, 1928 წელს იგი განცხადებას აძლევს ადმინისტრაციას შვებულების კომპენსაციის მიღების შესახებ, განცხადება ასეთი შინაარსისა: „მე სამსახური დავიწყე გასული წლის აგვისტოდან და, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში შვებულება არ მიმიღია, ამისათვის გთხოვთ მომცეთ კომპენსაცია". განყოფილების გამგე აწერს რეზოლუციას „მიეცეს" და ბუხჰალტერია უწერს ორი წლის კომპენსაციას 180 მანეთს იმ დროს, როდესაც რევიზორ ქორიძეს ერგებოდა სულ 123 მანეთი. არ ვიცით როგორი რევიზორია უშვერიძე და ქორიძე. ამ ფაქტების მიხედვით თუ ვიტყვით, მათი გაჩერება ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შეუფერებლად უნდა მივიჩნიოთ.

ნიკო. მკერვალი.

## ვაჭრების კრებული

შრომის კოლექტივები ხშირად ყოფილ ვაჭართა თავშესაფარს წარმოადგენენ. ამის დამამტკიცებელ ფაქტებს აქვე მოვიყვანთ: სახ. კვების კავშირის ცენტრ. გამგეობამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა, დაწვრილებით გამოეკვლია კოლექტივებში მომუშავეთა სოციალური მდგომარეობა.

კომისიის მუშაობამ აღმაშფოთებელი ფაქტები გამოააშკარავა. თბილისში არსებული სხვადასხვა ფირმით მომუშავე კოლექტივებში გაბატონებული არიან ყოფილი ვაჭრები. ზოგიერთ ამ ვაჭართაგანს ამ ცოტა ხნის წინად დაუნებებია თავი კერძო ვაჭრობისათვის და ანგარიშებიც არ გაუსწორებია როგორც მათთან მომუშავე მუშებთან, ისე საგადასახადო ორგანოებთან. ასე, მაგალითად, საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის ფირმით თბილისში რამდენიმე ადგილას გახსნილია სასადილო „სალამი". ვინ არის ამ სასადილოებში მოკალათებული? საბაჟოს ქუჩაზე, № 6 მდებარე სასადილოში: სერგო ქურულაშვილი—ხსენებულ სასადილოს ყოფ. მიკიტანი, ანთიმოზ ბარსონიძე—ამავე სასადილოს ყოფ. მეპატრონე, შალვა კალანდაძე—გასტრონომიული სავაჭროს ყოფ. მეპატრონე, ფილიპე ულუხაძე—გასტრონომიული სავაჭროს ყოფ. მეპატრონე.

სასადილო „სალამი" № 5, (ანდრეევის ქ. № 111),—ოქრუა მეხრაძე—ხსენებულ სასადილოს ყოფ. მეპატრონე, დავით ლუპაგაშვილი—ყოფ. მიკიტანი.

სასადილო „სალამი" № 2 (სოლოლაკის ქ. № 6), ალფეზი ფარავჯანიძე—ყოფ. მიკიტანი, იოსებ ამანათაშვილი—ყოფ. მიკიტანი.

სასადილო „სალამი" № 3 (პუშკინის ქ. № 19), გიგო მირიანაშვილი—სასადილო „ანაგის" ყოფ. მეპატრონე, პეტრე გიორგობიანი—სასტუმროების ყოფ. მოიჯარადრე, ნიკოლოზ გოქვაძე—ყოფ. ვაჭარი, კახეთიდან გამოქცეული.

სასადილო „სალამი" (წერეთლის ქ. № 5), ტატო ოდიშვილი და სიმონ ფირუმოვი—სასადილო „ლამის-ხევი"-ს ყოფ. მეპატრონე, მელიტონ ლოლაძე—სასადილო „მარანი"-ს ყოფ. მეპატრონე.

სასადილო „სალამი" (დიდი ვანქის ქ. № 10), ზაქარია ციხითათრიშვილი—სასად. „მერცხალი"-ს ყოფ. მეპატრონე.

სასადილო „სალამი" (ვერცხლის ქ. № 39), ვალიკო კაციტაძე—ყოფილი ვაჭარი, ვართან კუზანოვი—სასადილო „იალტა"-ს ყოფ. მოიჯარადრე. ყველა ესენი „მოღვაწეობენ" ქალთა კომისიის ფირმით. გარდა ამისა ხსენებულ სასადილოებში საკმაოდ მოიპოვება პროტექციით მიღებული მოსამსახურენი.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებულ ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ფირმით (სიონის ქ. № 31) ვაჭრობს: იოსებ გაზნელი—ყოფ. ვაჭარი 40 წლის განმავლობაში. მან ამ რამდენიმე თვის წინად დაკეტა სასადილო, ლევი ლევიშვილი—ყოფ. მიკიტანი, რომელსაც ჯერ ანგარიშები არ გაუსწორებია მომუშავეებთან და საგადასახადო ორგანოებთან.

სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობა „კვება"-ს ფირმით, (რიყის ქ. № 37) ხსენებულ ამხანაგობაში მოკალათებულია ყოფ. მიკიტანი—ანდრია ბელოუსოვი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუსწორებია ძველი დავალიანება, დვარკოვსკი და გოლუმ იზრაილი.

ინვალიდების სასადილოში (საბაჟოს ქ. № 6), გამგეთ ითვლება ამავე სასადილოს ყოფ. მეპატრონე ბიქტორ ბარსონიძე და ქევანიშვილი.

## ვინ უტეხს სახელს რევოლუციონურ კანონიერებას

### (დ. საჩხერე)

გასულ წელს დ. საჩხერის მომხმარებელ საზოგადოებაში აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი. სხვათა შორის გამოირკვა ისიც, რომ ნოქარ გაფრინდაშვილმა გაფლანგა 5.000 მანეთი კოოპერატივის ფული. გაფრინდაშვილი მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

გამოძიება დამთავრდა და მიმდინარე წლის იანვარში საქმე გარჩეულ იქნა სასჯაროთ დ. საჩხერეში შორაპნის მაზრის სასამართლოს მიერ. პროცესი ერთი კვირა გაგრძელდა. გაფრინდაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავეთ 5000 მანეთის მითვისება - გაფლანგვაში და ამისათვის მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით.

პატიმარი გადაგზავნეს ქუთაისის გამსახლში. ამის შემდეგ არ გასულა რაღაც თვე ნახევარი, და რას ვხედავთ? გაფრინდაშვილი, რომელსაც სასამართლომ 5000 მანეთის გაფლანგვისათვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საჩხერეში დასეირნობს არხეინად.

ამ მდგომარეობამ სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. შეიქნა მითქმა-მოთქმა. ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, თუ როგორ მოხდა, რომ გუშინ ბოროტმოქმედი საჯაროთ გაასამართლეს, გამსახლში გაგზავნეს სამი წლით და დღეს ის თავისუფლად დასეირნობს.

დაბოლოს გამოირკვა შემდეგი, ქუთაისის გამსახლთან არსებულ განმანაწილებელი კომისია გამფლანგველს უფარდებს იმ კანონს, რომელიც გულისხმობს ზოგიერთი კატეგორიების პატიმრების ვადამდე განთავისუფლებას და ამ რიგათ იმ პირს, რომელმაც 5000 მანეთი ჩაიკინძა ჯიბეში, რომლის შესახებაც ჯერ სასამართლოს განაჩენიც ქაღალდზე გამშრალი არ იყო, უღებს გამსახლის კარებს და უშვებს სახლში. რას გავს ეს? რას უნდა მიეწეროს კომისიის ასეთი ყოვლად დასაგმობი მოქმედება? როგორ შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი რევოლუციონური კანონის გატარებაზე საჩხერის რაიონში? ასეთი უმზგავსოება, ხომ ძირს უთხრის ჩვენი სასამართლოს ორგანოების ავტორიტეტს?

ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, როგორ შეეძლო განმანაწილებელ კომისიას ვადამდე გაენთავისუფლებია გაფრინდაშვილი, როდესაც შეტანილი არის კასაციური საჩივარი და საქმე უზენაეს სასამართლოს განკარგულებაშია გადაცემული.

ამ აღმაშფოთებელ აქტს, რომელსაც აშკარა პროტექციის სუნი უდის უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

უნდა გამოირკვეს დაწვრილებით, როგორ მოხდა ეს. შესაძლებელია გაფრინდაშვილი პირველი და უკანასკნელი არ არის.

ი. გულორდავა.

## რა აღმოაჩინა

### მსუბუქმა კავალერიამ

### სახელმწიფო უნივერსიტეტში

ამ დღეებში მსუბუქმა კავალერიამ ჩაატარა ლაშქრობა სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლაშქრობამ ცხადყო შემდეგი:

სტუდენტთა აღმასბიუროსთან არსებული საურთიერთო დახმარების სალარო სტუდენტებს ფულს აძლევდა უწესრიგოდ. იყო მრავალი შემთხვევა, რომ სალაროდან სესხი ეძლეოდა ისეთ სტუდენტს, რომელსაც ძველი დავალიანება არ ჰქონდა გასტუმრებული და არც არის გარანტია, რომ სალარო გაცემულ თანხას დაიბრუნებს. ფულის გაცემას სალაროდან აწარმოებდა რამდენიმე პირი, რასაც მუშაობაში არევ-დარევა შეჰქონდა. ლაშქრობისას აღმოჩნდა აგრეთვე, რომ უსამართლოდ სწარმოებდა სტუდენტებისათვის უფასო სადილების დარიგება.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სახლი, აშენებულია არა კაპიტალურათ. სახლი ინგრევა, კარები ტყდება, ჭერი ინგრევა, რაც იმის შედეგია, რომ სახლი აუგიათ არაკეთილსინდისიერად. შენობის აგებას ხელმძღვანელობდა „სამშენი". სახლის აგება დაჯდა 135.000 მანეთი. გარდა ამისა გამოირკვა, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სცხოვრობდნენ შეძლებული სტუდენტები, რომელთაც საშუალება აქვთ სხვაგან იცხოვრონ. საერთო საცხოვრებელში ბინა აქვთ მიცემული ისეთ სტუდენტებსაც, რომლებიც პროვინციაში მსახურობენ და მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოდიან თბილისში. აღსანიშნავია, რომ საერთო საცხოვრებელში დაბინავებული არიან არასტუდენტებიც და ეს მაშინ, როდესაც ბევრი ღარიბი სტუდენტი სრულიად უბინაოთ არის. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიურო, რომლის განკარგულებაშიც გადაცემულია აღნიშნული სახლი, თვალყურს არ ადევნებს იმას, რაც ხდება საერთო საცხოვრებელში. ასე მაგალითად, საერთო საცხოვრებელში ლაშქრობისას აღმოჩნდა 5 თავისუფალი ოთახი, ხოლო ოთახის მსურველ სტუდენტებს კი ბინის მიცემაზე უარს ეუბნებოდნენ.

უნივერსიტეტის აკადემიური მუშაობის გაცნობის დროს გამოირკვა: მთელი რიგი პროფესორები და ლექტორები ხშირად იგვიანებენ ლექციებზე მთელი საათებით.

უნივერსიტეტის გამგეობის წევრებს არა აქვთ დანიშნული მთხოვნელთა მიღების დრო. რექტორის თანაშემწე პროფ. ა. მაჭავარიანი კი უნივერსიტეტში იშვიათად ცხადდება და საქმეზე მოსულებს არა აქვთ საშუალება იგი ინახულონ უნივერსიტეტში. არის შემთხვევა აგრეთვე, როდესაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი სამსახურის საათებში ჭადრაკის თამაშით ირთობს თავს და საქმეზე მომსვლელებს არ ღებულობს.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთი ლექტორი ფაქტიურად ლექციებს არ კითხულობს, ხოლო ჯამაგირს კი სისტემატიურად ღებულობს. ასე, მაგალითად, ლექტორ ანატოლი ბალაბუევს ლექციები არ წაუკითხავს, მაგრამ ჯამაგირს კი მთელი წლის განმავლობაში ღებულობს, ფილატოვს ლექცია არ წაუკითხავს და ჯამაგირს ღებულობს, ს. თალაკვაძეს 2 თვეა ლექციები არ წაუკითხავს, ხოლო ფული მიღებული აქვს. ლექტორი ლ. ყიფშიძე პოლიტიკურად შეუფერებელი აღმოჩნდა თავისი მოვალეობისათვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრივ კი ყველა ჩამოთვლილი პიროვნებების წინააღმდეგ არავითარი ზომები არაა მიღებული.

ლაშქრობამ დიდი დაუდევრობა აღმოაჩინა აგრეთვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომლის გამგეც არის პროფ. გ. წერეთელი. უნივერსიტეტიდან ზოგიერთებს 1921—1924 წლებში გატანილი აქვთ ასობით წიგნები და დაბრუნებაზე კი არ ზრუნავენ: ასე, მაგალითად, ჩიქობავას 1921 წლიდან დღემდე წაღებული და არ დაუბრუნებია 101 წიგნი, ყაუხჩიშვილს—151 წიგნი, პროფ. მოსეშვილს—165 წიგნი, ნანეიშვილს—130 წიგნი, ჭეიშვილს—115 წიგნი, ამბოკაძეს, რომელიც მსახურობდა ბიბლიოთეკაში და შემდეგ მოიხსნეს—130 წიგნი, ციცქიშვილს—80 წიგნი, მუსხელიშვილს—114, პროფ. ნუცუბიძეს—232 წიგნი, ფ. გოკიელს—103, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს—231, ლექტორ ვაჩეიშვილს—280, დოც. სურგულაძეს—271, ბ. რამიშვილს—272 და სხვებს.

ყველა აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად გამომუშავებულია ღონისძიებები.

# შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება

## სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ იშლება

### ჭიათურის მარგანეცის 5.000 მუშის ხმა

კრებას, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ნიკოპოლის მარგანეცის მუშების გამოწვევის შესახებ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაესწრო 800-ზე მეტი მუშა. ჭიათურის მუშათა ცენტრალური კლუბი ვერ იტევდა ყველა მსურველებს და ბევრი მუშა დარჩა გარეთ.

მოხსენებას სოციალისტურ შეჯიბრებისა და მის მნიშვნელობის შესახებ ჩვენი მეურნეობისათვის, აკეთებს სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. ხვედელიძე.

„საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ამჟამად ჩაბმულია უდიდეს მუშაობაში, მეურნეობის გარდასაქმნელად ინდუსტრიალიზაციის გზით"—ამბობს ამხ. ხვედელიძე.

მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა მსხვილ საწარმოო ცენტრების მუშებმა, წარმოების გაჯანსაღების მიზნით, დაიწყეს სოციალისტური შეჯიბრება.

საქ. სამთამადნო მუშების კავშირმა თავის მხრივ, მიზნათ დაისახა შეჯიბრებაში ჩაებას ჭიათურის ქარხანა-მაღაროებიც.

ეს შეჯიბრება დიდათ შეუწყობს ხელს ჭიათურის წარმოების გაჯანსაღება-აყვავებას.

თბილისის პროლეტარიატმა უკვე გამოიწვია შეჯიბრებაში ჭიათურის მუშები.

ეხლა საკითხი სდგას ნიკოპოლის მარგანეცის მუშების გამოწვევის შესახებ ჭიათურის ქარხანა-მაღაროების მუშების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურა დიდი ხანი არ არის, რაც გადავიდა საქართველოს მუშების ხელში, იგი არ არის ჯერ-ჯერობით სათანადოთ მოწყობილი—ჩვენ მაინც შევსძლებთ დაუპირდაპიროთ ჩვენი მუშაობა უკეთესად მოწყობილ ნიკოპოლის წარმოებას. იმედი გვაქვს, რომ მივაღწევთ კიდეც შეჯიბრების მიზნებს და დავიჭერთ პირველ ადგილს".

დასასრულ ამხ. ხვედელიძე წინადადებას იძლევა გაეგზავნოს საპასუხო მიმართვა თბილისის პროლეტარიატს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული იქნეს ნიკოპოლის მარგანეცის მუშა-მოსამსახურეები.

მუშები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. ხვედელიძის წინადადებას.

კრებამ აირჩია 10 მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც დაევალა გაემგზავროს ნიკოპოლში და დასდოს ხელშეკრულება ნიკოპოლის მუშა-მოსამსახურეებთან და ინჟენერ-ტეხნიკოსებთან.

კრებამ გაუგზავნა დეპეშა ნიკოპოლის მუშებს და შეატყობინა მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ.

**ნიკოპოლის მუშებთან სოციალისტური შეჯიბრების პირობების დასადებად ჭიათურიდან ნიკოპოლში იგზავნებიან შემდეგი ამხანაგები:**

**ნიკოლოზ ჩამრაძე**—(მუშა-მნგრეველი), **ლეონტი ამყოლაძე**—(მუშა-მჭედელი), **სიმონ ჩუბინიძე**—(მუშა-მებიგე), **გოგიტა ცაგარეიშვილი**—(მუშა-მნგრევ.), **სილიბისტრო კაპანაძე**—(მუშა-მებიგე), **ქიშვარდი ცერცვაძე**—(მუშა-მნგრეველი), **სიმონ ლაკლაკიშვილი**—(მუშა-მნგრეველი), **დომენტი მდივნიშვილი**—(მტვირთავი მუშა), **გიორგი ჯიშკარიანი**—(მუშა-მებიგე), **ნიკოლა არუთინოვი**—(მუშა-მენიჩბე).

ასეთივე მიმართვა (საპასუხო) ჭიათურის ქარხანა-მაღაროებს მუშებმა გაუგზავნეს **ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს, საქართველოს პროფსაბჭოს და ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტს.**

### ჭიათურის ქარხანა-მაღაროების მიმართვა თბილისის მუშებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჭიათურის რაიონის პარტიული, პროფესიონალური და ა. ლ. კომკავშირელთა გაფართოებული აქტივის კრება მაღარო-ქარხნების დიდძალ მუშების მონაწილეობით, ოვაციებით ეგებება საქართველოს მოწინავე პროლეტარიატის ორგანოების სოციალისტურ შეჯიბრში გამოწვევას.

მიუხედავათ იმისა, რომ ჭიათურის მუშები მხოლოდ უკანასკნელ თვეებში გახდენ ბატონ-პატრონი ჭიათურის ტეხნიკურად ჩამორჩენილ და მოუწყობელ წარმოებისა და მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მოკლებულნი ვართ თქვენს მრავალწლიან სამეურნეო მუშაობის გამოცდილებას, ვღებულობთ თქვენს გამოწვევას და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვალდებულად ვხდით ჩვენს თავს:

1) 1928-29 სამეურნეო წლის განმავლობაში ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ თვითღირებულება საწარმოო ფინანსიურ გეგმაში გათვალისწინებულ რაოდენობამდე.

2) განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა წარმოებებში, სრულებით აღმოვფხვრათ სამუშაოს გაცდენა, სამუშაოზე დაგვიანება, უყაირათობა, სიზარმაცე და არაკეთილსინდისიერი მოპყრობა მასალა-იარაღებისადმი და მოწყობილებისადმი.

3) მივაღწიოთ ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას.

4) მოვამზადოთ მაღაროები და ქარხნები 1929-30 სამეურ. წელში ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებულ საწარმოო გეგმის შესრულებისათვის.

5) მივაღწიოთ მუშებისა და ინჟენერ-ტეხნიკოსების საწარმოო თათბირების მუშაობაში მაქსიმალურად ჩაბმას და გავატაროთ ცხოვრებაში მუშების წინადადებანი, რომელნიც მიმართული იქნება თვითღირებულების შემცირებისაკენ.

6) მოვაწყოთ შეჯიბრებანი მარგანეცის ცალკე წარმოებებს შორის.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი მხურვალე სალამი თბილისის პროლეტარიატს და დროგამოშვებით გვაცნობოთ თქვენი მიღწევანი სოციალისტურ შეჯიბრებაში და აგრეთვე გთხოვთ დაგვითმოთ ადგილი გაზ. „კომუნისტში", „რაბოჩაია პრავდაში" და „მუშა"-ში ჩვენთან სოციალისტურ შეჯიბრების მსვლელობის გასაშუქებლად.

კრების პრეზიდიუმი.

### ქუთაისის მაუდის ქარხანა სოციალისტურ შეჯიბრებაში

ქუთაისის სამეურნეო ორგანოებში დაიწყო პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ამ მიზნით შესწავლილ იქნა შრომის დისციპლინის საკითხები მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებში. მაუდის ფაბრიკაში გამოირკვა, რომ ამ ბოლო დროს მუშაობის გაცდენამ იმატა. თუ გასულ წელს გაცდენილი დღეები შეადგენდა 0,9 პროცენტს, წელს იგი უდრის 1 პროცენტს. აშკარაა ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დაცემას, სამუშაო დროც მთლიანად არ არის დატვირთული. მუშები მთელ რვა საათს არ მუშაობენ. აქვს ადგილი აგრეთვე მანქანების მოუვლელობას, იარაღების უხეშად ხმარებას, სიმულიაციას და ლოთობას, სამუშაოზე გამოუცხადებლობას და უხალისოდ მუშაობას. ზოგიერთი საამქროს ხელმძღვანელები სამუშაოდან რამდენიმე საათით ანთავისუფლებენ მუშებს დირექტორის ნებადაურთველად. ამას ტეხნიკური პერსონალიც არ აქცევდა ყურადღებას.

ნართავ განყოფილებში ერთ მომუშავეს დართული ძაფი უფრო ნაკლები გამოუდიოდა ვიდრე მეორე ცვლაში მომუშავეს. ამის გამო პირველმა დააზიანა მანქანის ნაწილი იმ მიზნით, რომ მეორე ცვლაში მომუშავეს ხელი შეშლოდა და მასზედ მეტი არ დაემუშავებია.

გამოირკვა, აგრეთვე, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ექიმები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ავადმყოფების შემოწმებას. ბიულეტენს აძლევენ ისეთებს, რომლებიც მაინც და მაინც არ საჭიროებენ დასვენებას და ჯანმრთელები არიან. ამით ისინი ხელს უწყობენ სიმულიაციას. ამავე ქარხანაში მუშა როინიშვილმა აიღო ბიულეტენი და სამი დღით განთავისუფლდა სამუშაოდან, მაგრამ როინიშვილი სრულებით ჯანმრთელი აღმოჩნდა. საერთოდ როინიშვილს, მუშაობის დროს ეტყობა სიზარმაცე და ცუღლუტობა.

შრომის დისციპლინის დაცემას ხელს უწყობდა ისიც, რომ კედლის გაზეთებში არ შუქდებოდა შრომის დისციპლინის საკითხები, არ ექცეოდა ყურადღება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა.

გამოკვლევის შედეგებზე მოსმენილ იქნა მოხსენება კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებულ კრებაზე, სადაც გამომუშავებულ იქნა კონკრეტიული ზომები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და დეფექტების ამოსაფხვრელად, მაუდის ქარხნის მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქუთაისის დეპოს მუშები.

ს. მ—ძე.

### როგორ ჩატარდება სოციალისტური შეჯიბრება

ამ დღეებში სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომი შეუდგება მიტინგების ჩატარებას ქარხანა-მაღაროებში, სადაც მუშები გაეცნობიან ჭიათურის გამოხმაურებას თბილისის პროლეტარიატის გამოწვევაზე და ნიკოპოლის მარგანეცის მუშების გამოწვევას ჭიათურის მუშების მიერ.

რაიკომთან დაარსებულია რაიონული კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს შეჯიბრების ჩატარებას, შეაჯამებს მთელ მუშაობას და მიაწვდის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. ეს კომისია, ადმინისტრაციასთან ერთად, გამოარკვევს შრომის ნაყოფიერების მდგომარეობას, თვითღირებულების მოძრაობას და ამის შესახებ აცნობებს ადგილებს.

ადგილობრივ, მაღარო და ქარხნების კომიტეტებთან დაარსებული იქნება შეჯიბრების ჩამტარებელი უჯრედები, რომლებიც მიიღებენ ყოველგვარ ზომებს შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

ამჟამად ჭიათურის სამრეწველო რაიონში არსებობს 13 ცალკე საწარმოო ერთეული.

სოციალისტური შეჯიბრება მოეწყობა ერთეულებს შორის.

ის მუშები, რომლებიც წარმოებაში გამოიჩენენ მეტ უნარიანობას, იქნებიან დაჯილდოებულნი. სამთამადნო კავშირის ცენტრ. გამგეობამ უკვე შეიძინა 32 ადგილი სხვადასხვა კურორტებზე სამაგალითო მუშების გასაგზავნად.

### ჩვენც გვერგება სპეც-ტანსაცმელი

სად. თბილისში მსახურობს 28 კანტორის მოხელე. მათ ხშირად უხდებათ ლიანდაგებში მუშაობა და ყოველდღიურად საცალო ვაგონების აღწერა. აგროვებენ ყოველგვარ ცნობებს, ადგენენ სამხედრო მატარებლებს, თვალყურს ადევნებენ სხვადასხვა საწყობებში სამოსამსახურო ვაგონების ჩაყენებას და სხვა.

რკინის გზის ადმინისტრაციის განკარგულებით, უკანასკნელად გააუქმეს ვაგონების ამწერის თანამდებობა და მათი მოვალეობა დააკისრეს კანტორის მოხელეებს. ამრიგად, კანტორის მოხელეებს ერთდროულ იმავე დროს უხდებათ ლიანდაგებში მუშაობა, რისთვისაც მათ აუცილებლად ერგებათ სპეც-ტანსაცმელი.

რკინისგზელთა პროფკავშირმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და კანტორის მოხელეები, რომლებსაც სისტემატიურად უხდებათ ლიანდაგში მუშაობა, უზრუნველყოს სპეც-ტანსაცმელით. პროფმუშაკი

ხვალ, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ლიტერატურული წრის კრება. წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

## ამხ. ს. გუბელის დაკრძალვა

გუშინ ნაშუადღევის 2 საათზე თბილისის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს ამხ. სერგო გუბელი (მეძმარიაშვილი). დილის 11 საათზე ცხედარი გამოასვენეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან, სადაც გამოსვენებამდე გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი.

პანაშვიდის შემდეგ მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო პროცესია დაიძრა კამოს ქუჩისაკენ და ყორისისა და საბჭოთა ქუჩების გავლით ცხედარი მიასვენეს ნაძალადევში ძმათა სასაფლაოზე.

საფლავთან ილაპარაკეს: საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების სახელით — ამხ. **შ. სტურუამ**, აჭარისტანის სახკომსაბჭოსა და საოლქო კომიტეტის სახელით — ამხ. **მამედ გოგიბერიძემ**, საქართველოს პროფსაბჭოდან — ამხ. **ს. ხვედელიძემ**, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებიდან —ამხ. **თენგიზ ჟღენტმა**, ბათომიდან დაკრძალვაზე დასასწრებლათ ჩამოსული მუშების დელეგაციის სახელით — ამხ. **ისაევმა**, ხულოს მაზრის გლეხობის წარმომადგენელმა— ამხ. **შარაშიძემ** და ამხ. **ქ. ბერძენიშვილმა**.

ორატორები ამხ. ს. გუბელს ახასიათებდნენ, როგორც დიდ რევოლუციონერს და მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავგამოდებულ მებრძოლს, რომელიც, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, თავს არ ანებებდა პარტიულ მუშაობას და პირად ცხოვრებას მუდამ უმორჩილებდა რევოლუციონურ და საზოგადოებრივ საქმეს.

სიტყვების დასრულების შემდეგ ნაშუადღევის 2 საათზე ცხედარი მიაბარეს მიწას. დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

## ა.-კ. სახკომსაბჭოში

### ამ.-კავკ. სატახტო ქალაქების შესწავლა

ამ.-კავ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო ამიერ-კავკასიის სატახტო ქალაქების ფინანსიური მეურნეობის და ბიუჯეტის გამოკვლევა. გამოკვლევის ჩატარება დავალებული აქვს კომისიას ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ამ.-კავ. ფინანსთა სახ. კომისარიატის, საგეგმო კომისიის, საამშენებლო ტეხნიკურ კომიტეტის, ქალაქის საბჭოს, სტატ.-სამმართველოს და სხ. დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელთა შემადგენლობით.

### სამივლინებო ხარჯების გაცემა შემნახველი სალაროების საშუალებით

ა. კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო, რომ სამსახურის საქმეზე მივლინებაში მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს სამივლინებო ხარჯები ეძლეოდეთ შემნახველი სალაროების საშუალებით.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ანკილოსტომიაზის გავრცელება სამეგრელოში

ამ ბოლო ხანებში საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა ტროპიკულ სნეულებათა კლინიკურად და ტოპოგრაფიულად შესწავლას, მათ მკურნალობას და პროფილაქტიკას. ჯერ-ჯერობით ჩვენში სოციალურ დაავადებათაგან „მოქალაქეობრივი" უფლება მოიპოვა მხოლოდ მალარიამ და ჭლექმა და უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ენერგია და თანხა იხარჯება მათთან ბრძოლაში. დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში მიაქციეს ყურადღება ერთგვარ დაავადებას, რომელიც ცნობილია ანკილოსტომიაზის სახელწოდებით. სპეციალურ ექსპედიციის მიერ ეს ავადმყოფობა იქნა შესწავლილი—გურიაში. სამეგრელოში კი მის სისტემატიურ გამოკვლევას არ ჰქონია ადგილი დღემდე. მას შემდეგ, რაც ქ. სენაკში გახსნილ იქნა ლაბორატორია, ჩვენ მოგვეცა ამ სნეულებაზე დაკვირვების საშუალება. აღმოჩნდა, რომ სამეგრელო წარმოადგენს ისეთ კუთხეს, სადაც ანკილოსტომიაზი ისე მძვინვარებს, რომ ადგილობრივ სოციალურ დაავადებათა რიცხვში მას უნდა დაეთმოს პირველი ადგილი.

ანკილოსტომა ეწოდება პატარა წვრილ, ნემსისებურ ჭიას, სიგრძით 10 მილიმეტრამდე, რომელიც ჩანერგილია ნაწლავის ლორწოვან გარსში, ხშირად ის აზიანებს ნაწლავის სისხლის მილებს და იწვევს სისხლის დენას ნაწლავებიდან და აგრეთვე გამოჰყოფს შხამებს, რომლებიც სწამლავენ სისხლის წარმომშობ ორგანოებს და ნერვიულ სისტემას. მათი კვერცხების აღმოჩენა ადვილია მიკროსკოპიულად, განავალის გასინჯვით.

სენაკის პოლიკლინიკასთან არსებულ ლაბორატორიაში ჩვენ მიერ იქნა გამოკვლეული 600 ავადმყოფი ნაწლავების ჭიებზე, მათ შორის 183-ს აღმოაჩნდა ანკილოსტომა, რაც შეადგენს 30 პროცენტს.

ჩვენთან გამოსაკვლევად მოსული ავადმყოფები უმთავრესად უღარიბესი გლეხები იყვნენ, ისინი ჩიოდენ, რომ რამდენიმე ხანია, რაც მათ ფერი დაეკარგათ, გაყვითლდენ და თანდათანობით სისუსტეს გრძნობენ, უმრავლესობა აღნიშნავდა მუცლის სისუსტეს, კანის ქავილს და ღონემიხდილობას. ამგვარად ადამიანი პირდაპირ ზეზეურად, სანთელივით დნება და განსაკუთრებული ტკივილები მას არ აწუხებს, რომ დაასახელოს. ავადმყოფები მოგვითხრობდნენ, რომ მათ მიმართეს ყველა ადგილობრივ ექიმებს, ზოგმა მათ კუჭის დაავადება უთხრა, ზოგმა თირკმელების, უმრავლესობა კი ეუბნებოდა—მალარია გჭირთ ქრონიკული და მისგან გამოწვეული სისხლნაკლებობაო. ყველა ამ დასახელებულ სნეულებათა საწინააღმდეგო წამლობა მიუღიათ, განსაკუთრებით კი ქინაქინი და დარიშხანი, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ ასეთი საჩივრებით სენაკის პოლიკლინიკის თერაპევტიულ ამბულატორიაში შემოსულ ავადმყოფებს ექ. დუნდუას მიერ კვლევით გამოუკვლევთ განავალი ჭიების კვერცხებზე და თითქმის ყველას აღმოაჩნდა ანკილოსტომის კვერცხები ისეთი დიდი რაოდენობით, რომ მათი აღმოჩენა არ წარმოადგენდა არავითარ სიძნელეს. აღმოჩნდა, რომ სენაკის მაზრაში ანკილოსტომიაზით შეპყრობილია შემდეგი სოფლები:

ქ. სენაკი, სოფ. ნოსირი, გეჯეთი, თეკლათი, ხორშა, ზანძა, მოხაში, უშაფათო, შხეფი, ტყირი, თამაკონი, ფოცხო, კიწია, ეკი, ქვალონი; ლეხაინდრაო. ზუგდიდის მაზრაში: სოფ. ხიბი, ხეთა, ბია, საჯიჯაო, აბასთუმანი. დანარჩენი სოფლებიდან ჩვენთვის არ მოუმართავთ გამოსაკვლევად. აღსანიშნავია, რომ ხშირად ოჯახის მთელ შემადგენლობას და აგრეთვე მეზობელ ოჯახების ყველა წევრებს აღმოაჩნდა ანკილოსტომის კვერცხები. საშინელ სისხლნაკლებობასთან, სიყვითლესთან და სიგამხდრესთან ერთად ამ ავადმყოფებს ახასიათებს შრომის უნარის დაქვეითება, აპატია, და გონებრივი სიჩლუნგე. ზოგჯერ ფიზიკური განვითარების და ზრდის შეჩერება. სპეციფიურ სამკურნალო საშუალებად ითვლება ტიმოლი, რომლის ღირებულება ძლიერ მცირეა. მაგრამ სამწუხაროდ ადგილობრივ აფთიაქებში იშვიათად მოიპოვება და ავადმყოფები იძულებულნი არიან მის საშოვნელად გაემგზავრონ ან ფოთში ან ქუთაისში, რაც არც ისე ადვილია ღარიბი გლეხისთვის.

ამასთან უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ სრული განკურნების მისაღებათ საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობა. აღნიშნულია ისეთი შემთხვევები, როდესაც მკურნალობის რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ 2 წლის განმავლობაში აღმოჩენილ იქნა ანკილოსტომის კვერცხები.

ჩვენი აზრით საჭიროა დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნას სენაკის და ზუგდიდის მაზრებში სპეციალური საექიმო ექსპედიცია ანკილოსტომიაზის ადგილობრივ ყოველმხრივ შესწავლის და გავრცელების გამოკვლევის მიზნით. აფთიაქები უზრუნველყოფილ უნდა იქნან ტიმოლის საკმაო მარაგით, რომ დაავადებულთ ჰქონდეთ მისი შეძენის საშუალება ადგილობრივ. სამაზრო ლაბორატორიას უნდა დაევალოს უსასყიდლოდ ანალიზების წარმოება ჭიებზე, სწორი დიაგნოზის დასასმელად. უმჯობესი იქნებოდა, რომ როგორც გამოკვლევა, აგრეთვე წამლის უფასოდ გაცემა დაევალოს სამალარიო სადგურის ექიმებს.

ადგილობრივ მკურნალ ექიმებს კი ჰმართებთ, დაწვრილებით გაეცნონ ამ ავადმყოფებს, რათა შემდეგშიაც არ ექნეს ადგილი ანკილოსტომიაზის მალარიასთან ან სხვა რომელიმე ავადმყოფობასთან შერევას. აუცილებლად საჭიროა, რომ ჯანმრთელობის ორგანოების მხრივ ამ დაავადების მკურნალობას და პროფილაქტიკას მიექცეს არანაკლები ყურადღება, ვიდრე მალარიას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სამეგრელოს მშრომელ გლეხობას გონებრივ დაქვეითებას, ეკონომიურად განვითარების ჩამორჩენილობას და ფიზიკურ გადაგვარებას უქადის.

ექ. ლ. ჩიქოვანი.

## დედამიწის თბიერების გამოყენება

გამომგონებელნი დიდი ხანია ოცნებობენ დედამიწის გულის სითბოს დაპყრობაზე და მის გამოყენებაზე სამრეწველო მიზნებისათვის. ასეთი პროექტები მრავალია. მაგრამ ყველა მათგანს ახასიათებს ერთი ძირითადი დეფექტი—დედამიწის თბიერების გამოსაყენებელი ყოველგვარი დადგმულობა, ტეხნიკის თანამედროვე მდგომარეობის პირობებში, ეკონომიურად არ არის ხელსაყრელი, ვინაიდან მოსამზადებელი მუშაობა (ღრმა ჭების ამოთხრა და სხვ.) არაჩვეულებრივად ძვირი ჯდება. დედამიწის თბიერების გამოყენება შეიძლება იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა მისი წყაროები, ვულკანიურ მოვლენების ზეგავლენით, დედამიწის ქერქთან არის მიახლოვებული. ასეთ, შედარებით იშვიათ შემთხვევას აქვს ადგილი სამხრეთ დაკოტის (შეერთებული შტატების) ერთ-ერთ მთაგორიან ადგილში. იქ მოწყობილია მსოფლიოში ერთად-ერთი დადგმულობა დედამიწის თბიერების გამოსაყენებლად. რამდენიმე წლის წინად ამ ადგილას დაიწყეს მიწის ბურღვა არტეზიანული ჭისათვის, მოულოდნელად ჭიდან ამოხეთქა ცხელმა შადრევანმა, რომელიც წუთში 100 გალონ (30 ვედრო) წყალს იძლეოდა.

წყალის მაღალი ტემპერატურა ამტკიცებს, რომ იგი მიწისქვეშ რომელიღაც ვულკანური კერის მახლობლად გადის. წყალი გამოიყენეს ადგილობრივი რკინისგზის სადგურის შენობის გასათბობათ მილების საშუალებით.

## მებაღეობის და მებოსტნეობის მიღწევები

შეერთებული შტატების გაზეთები იუწყებიან გამოყენებით აგრონომიის ახალი მიღწევის შესახებ—სარეველა ბალახების მოსპობის შესახებ ბოსტანში. ბალახების მოსპობას აღწევენ შემდეგნაირად: მთელ ბოსტანს ფარავენ დაასფალტებული ქაღალდის ფურცლებით, რომლებიც საკმაოდ მაგარია იმისათვის, რომ გაუძლოს ქარს, წვიმას და სხვ. ქაღალდი ასფალტითაა დაფარული იმისათვის, რომ არ გაატაროს წყალი და სითბო. განსაზღვრულ მანძილზე ფურცლებში გაკეთებულია ნახვრეტები, რომლიდანაც მიწაში აგდებენ თესლს. ეს ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს მცენარეების განვითარებისათვის. ასფალტით გაჟღენთილი ქაღალდი საშუალებას არ აძლევს ბალახს, ამოვიდეს. შემდეგ, იგი აგროვებს წყალს და თავს უყრის მას იქ, სადაც იგი უფრო საჭიროა—მცენარის ფესვებთან. გარდა ამისა, ასფალტიანი ქაღალდი ნიადაგს იცავს ზედმეტ გახურებისაგან დღისით და ძლიერ გაცივებისაგან ღამით. ამ მეთოდის წყალობით მიღებული შედეგები პირდაპირ განსაცვიფრებელია. ბოსტნეული 2—6-ჯერ მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივ. ზოგ შემთხვევებში [illegible]

## თევზის ჭერა ელექტრონით

ამერიკელმა მეთევზეობის სპეციალისტებმა ერთი ფრიად საყურადღებო აღმოჩენა გააკეთეს: თევზს, თურმე, ეშინებია ელექტროდენის და თავს არიდებს წყალის იმ ზონებს, რომლებშიც ელექტრო-დენია გაშვებული. მოახდინეს რამდენიმე ცდა. წყალში ჩაუშვეს ელექტროდები, რომლებშიც ატარებდნენ ელექტრო-დენს: როგორც ვიცით, ელექტრო-დენს აქვს თვისება—უმოკლესი გზით გაიაროს ელექტროდებს შორის. ამრიგად იქმნებოდა ძლიერ დაელექტრონებული წყლის ზონა იმ დროს, როცა წყალის დანარჩენი სივრცე თავისუფალი იყო ელექტრო-დენებისაგან, როგორც კი თევზები მოექცეოდნენ წყალის დაელექტრონებულ სივრცეში, მათ ხვდებოდა ელექტროდენი და ისინი ჩქარობდნენ დაელექტრონებულ სივრციდან თავის დაღწევას. იქმნებოდა რაღაც უხილავი „ბადე", რომლიდანაც თევზი ვერ აღწევდა თავს. წყალში ელექტროდების გადანაცვლებით თევზებს „მიერეკებოდნენ" სასურველი მიმართულებით, ხშირად საკმაოდ შორ მანძილზე.

ეს აღმოჩენა ფართე პერსპექტივებს უშლის მეთევზეობას. ამით დაინტერესდა შეერთებული შტატების მთავრობის კომისია, რომელიც სწარმოებს ელექტრონით თევზების ჭერის ცდებს.

აღმოჩენამ უკვე ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება. ერთ ჰიდრო-ელსადგურის მუშაობას შეერთებულ შტატებში ძლიერ აბრკოლებდა თევზების მოხვედრა წყლის ტურბინაში. თევზებისათვის გზის შეკვრის ყველა ცდები უშედეგოდ დასრულდა: დიდუჯრებიანი ბადე უშვებდა წვრილ თევზებს, წმინდა ბადე კი ჩქარა ბინძურდებოდა და აბრკოლებდა წყლის გასვლას. მაშინ სადგურის ინჟენერებმა გადასწყვიტეს „ელექტრონული ბადის" გამოყენება. სატურბინო გვირაბიდან მოშორებით მათ წყალში ჩაუშვეს ელექტროდები, რომლებშიც გაატარეს ელექტროდენი. ეს ღონისძიება რეალური აღმოჩნდა: თევზები აღარ ხვდებოდნენ ტურბინაში.

## კუჭის ღრუს გადასაღები აპარატი

ერთმა ამერიკელმა ქირურგმა დაამზადა ფოტოგრაფიული კამერა კუჭის ღრუს გადასაღებად. კამერა წარმოადგენს ქვარცის შუშიდან დამზადებულ მილს, რომლის შიგნით მოთავსებულია არაჩვეულებრივად პატარა აპარატი. ამ აპარატს შეუძლია 16 სურათის გადაღება ერთდროულად. კუჭის ღრუს ანათებენ პატარა ელექტრონის ლამპით, რომელიც აგრეთვე მილშია მოთავსებული. გამოგონებულ აპარატს უდიდესი დიაგნოსტიური მნიშვნელობა აქვს კუჭის დაავადებათა (მაგ., კუჭის წყლული და სხვ.) მკურნალობისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ აპარატს, როცა საჭიროა სასწრაფო ოპერაცია. ფოტოგრაფიული სურათი სისწორით არკვევს წყლულის ადგილმდებარეობას და სიდიდეს. კუჭის სურათის გადაღების პროცესი წარმოადგენს სრულიად უვნებელ ოპერაციას, რომლის არასასიამოვნო მომენტებს სავსებით ანაზღაურებს ძვირფასი დიაგნოსტიური შედეგები. სურათის გადასაღებათ ექიმს ფოტოაპარატი ზონდით შეჰყავს კუჭში. სურათის გადაღება რამდენიმე წამი გრძელდება.

## ახალი ლითონი

ამერიკელმა ქიმიკოსმა კუპერმა აღმოაჩინა ლითონ ბერილიუმის მოპოვების იაფი წესი. ბერილიუმი დღემდე ეკუთვნოდა იშვიათ და ძვირფას ლითონების რიცხვს.

კუპერის აღმოჩენა ნამდვილ გადატრიალებას მოასწავებს ტეხნოლოგიაში. საქმე იმაშია, რომ ბერილიუმს აქვს მეტად ღირსშესანიშნავი მექანიკური თვისება. იგი მაგარია, როგორც ფოლადი და ამავე დროს—მეტად მსუბუქია: ოცდაათი პროცენტით მსუბუქია ალიუმინთან შედარებით.

ასეთ ერთი-მეორის საწინააღმდეგო თვისებების ამგვარი იშვიათი შეთავსება ბერილიუმს აყენებს პირველ ადგილზე იმ ლითონებში, რომლებითაც ტეხნოლოგიაში სარგებლობენ. ბერილიუმის განსაკუთრებით ფართე გამოყენება უზრუნველყოფილია ავიაციაში და საავტომობილო მრეწველობაში, სადაც წონის საკითხები პირველხარისხოვან როლს თამაშობენ. ამჟამად, მიუხედავად ალიუმინის ფართოდ გავრცელებისა, საავტომობილო და საავიაციო მოტორების მთავარ საამშენებლო მასალას ფოლადი და თუჯი წარმოადგენს, რადგან ალიუმინი რბილია. ბერილიუმი მოკლებულია ალიუმინის ამ ნაკლოვანებას.

ბერილიუმიდან დამზადებული საავიაციო და საავტომობილო მოტორები 4-ჯერ უფრო მსუბუქი იქნება, ვიდრე თანამედროვე მოტორები. თუ თანამედროვე საუკეთესო მოტორებში ერთ ცხენის ძალაზე მოდის 0,6 კილოგრამი წონა, ბერილიუმიდან დამზადებულ მოტორებში ეს შეფარდება 0.15—0.2 კილოგრამამდი შემცირდება ანუ 500 ცხენის ძალიანი ბერილიუმის მოტორის წონა 5—6 ფუთს არ გადააჭარბებს.

## შხამი კუდიან ვარსკვლავებში

ცნობილი ლიკის ობსერვატორიის (ამერიკა) თანამშრომელმა პროფ. ბობროვნიკოვმა კომეტების შესწავლის დროს სპექტროსკოპით მათ ბირთვში აღმოაჩინა არსებობა ყველაზე უფრო ძლიერი შხამის, რომელსაც კი იცნობს ქიმია—ციანოგენის. კომეტების (კუდიანი ვარსკვლავების კუდში) აღმოჩენილია მეორე შხამიანი ნივთიერება ნახშირბადის ჟანგი.

## აღმოჩენილია თუ არა ხუნაგის ბაქტერია?

12 აპრილს მოსკოვის გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ პერმის უნივერსიტეტის პროფესორმა ზდრავომისლოვმა ექიმ ნიკოლსკის დახმარებით ოთხი წლის ენერგიული მუშაობის შემდეგ აღმოაჩინა ხუნაგის გამომწვევი ბაქტერია—ტრიპანოზომი. ამავე ცნობებით, მთელი რიგი ცდებით დადასტურდა, რომ ტრიპანოზომი ნამდვილად არის ხუნაგის გამომწვევი ბაქტერია.

მეჩნიკოვის სახელობის საინფექციო ავადმყოფობათა შემსწავლელ ინსტიტუტის (მოსკოვშია) დირექტორმა პროფ. კორშუნმა ამ ცნობის გამო „ბედნოტა"-ს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

პროფ. ზდრავომისლოვი ამ რამდენიმე ხნის წინად მოსკოვში იყო და თავისი აღმოჩენის შესახებ მოხსენება გააკეთა ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოებაში. მაგრამ, მისი ცდები ხანგრძლივობის მიუხედავად, მის მიერ წარმოდგენილი საბუთები და პრეპარატები არასაკმაოდ საფუძვლიანად სცნეს და საჭიროდ ცნეს მათი შემდგომი დამუშავება. არაფრით არ არის დამტკიცებული, რომ სწორედ მის მიერ აღმოჩენილი მიკროორგანიზმები იწვევენ ხუნაგს.

ბრძოლა ხუნაგთან, ისე როგორც ყოველგვარ გადამდებ ავადმყოფობასთან, უნდა სწარმოებდეს ორი მიმართულებით: დაცვა დაავადებიდან და ავადმყოფობის გადატანიდან და დაავადებულის მკურნალობის გზით. ხუნაგით უმთავრესად ავად ხდებიან ბავშვები 2-დან 6 წლამდე. მეცნიერებს ჯერ კიდევ ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერია არ უპოვიათ და უკვე გამოიგონეს ასაცრელი საშუალება მის წინააღმდეგ. აცრა ხუნაგის დაავადებიდან იცავს ბავშვს 90 შემთხვევაში.

პროფ. ზდრავომისლოვის მუშაობა ჯერ კიდევ არ გასცილებია ლაბორატორიული ცდების ფარგლებს და ამიტომ მას მხოლოდ წმინდა მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

## რადიო-კონფერენცია

პრაღაში დასრულდა საერთაშორისო რადიო-კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ ევროპის 27 სახელმწიფოს წარმომადგენლები და რამდენიმე „მეთვალყურე", მათ შორის—შეერთებულ შტატებიდანაც. გარდა ამისა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო რადიო-ტელეფ. რამდენიმე კავშირი და საზ-ბა. საბჭოთა კავშირს კონფერენციაზე ჰყავდა ორი დელეგატი: ამხ. ვასილიევი და ეიხენვალდი. კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან უკანასკნელ ხანებში რადიო-გადაცემების დარგში სრული ქაოსი გამეფებული: სხვადასხვა სახელმწიფოთა რადიო-სადგურებს შორის ტალღების სიგრძე არ არის განაწილებული და სადგურები ერთმანეთს ხელს უშლიან მუშაობაში.

კონფერენციამ შეადგინა ე. წ. „პრაღის გეგმა" რადიო-ტალღების განაწილებისა სახელმწიფოთა შორის და დაარსა რადიო-საქმის ევროპული კომიტეტი, რომელიც იმუშავებს რადიო-გადაცემების მოწესრიგებაზე.

## უზარმაზარი აეროპლანების ეპოქა

გერმანიაში თავდება აგება ორი უზარმაზარი აეროპლანის, რომლებიც მოასწავებენ ახალი ხანის დასაწყისს ავიაციაში.

ერთ აეროპლანს აგებს გერმანიის ცნობილი საავიაციო ფირმა—დორნიერის ფირმა. ეს არის ნამდვილი „მფრინავი სასტუმრო", დანიშნული 80 მგზავრის გადასაყვანად. იგი იწონის 3.000 ფუთამდე და მასზე დადგმულია 12 მოტორი.

ნორმალურად მუშაობს 8 მოტორი. დანარჩენები წარმოადგენენ რეზერვს ერთი ან რამდენიმე მოტორის დაზიანების შემთხვევისათვის. თავისი ტიპის მიხედვით ახალი აეროპლანი ეკუთვნის ე. წ. „მფრინავ ნავებს".

მეორე უზარმაზარ აეროპლანს აგებს მეორე არანაკლებ ცნობილი ფირმა—იუნკერსი. თავისი სიდიდით ეს აეროპლანი რამდენიმეთ პატარაა, ვიდრე დორნიერის „მფრინავი სასტუმრო". მას შეუძლია „მხოლოდ" 50 კაცის გადაყვანა. ამ აეროპლანის საინტერესო თავისებურობას წარმოადგენს მგზავრებისა და რაზმის მოსათავსებელი კაბინების მდებარეობა. ეს კაბინები მოთავსებულია თვით ფრთაში, რისთვისაც უკანასკნელი 2 ნახ. მეტრის სისქისაა გაკეთებული.

ხსენებულ აეროპლანების ოდენა საფრენი აპარატები ამჟამად არც ერთ ქვეყანას არ მოეპოვება. ამერიკაც კი ამაოდ ცდილობს დაეწიოს ამ დარგში გერმანიას. უდიდესი აეროპლანი, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში შენდება, მხოლოდ 32 კაცს წაიყვანს.

## კვება ტანის კანით

საექიმო პრაქტიკაში იშვიათი შემთხვევა მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინად ვენის კლინიკაში. იქ დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა სამკურნალოდ ავადმყოფი, რომელსაც დაზიანებული ჰქონდა საჭმლის მომნელებელი ორგანოები. მკურნალობამ არავითარი შედეგები არ გამოიღო. ჩქარა საჭმლის მომნელებელი სისტემა ისეთ მდგომარეობაში მოვიდა, რომ ავადმყოფს სიკვდილი მოელოდა სიმშილისაგან. მაშინ ექიმმა შტეიკალმა, რომელიც ავადმყოფს მკურნალობდა, მიმართა ხელოვნური კვების უჩვეულო მეთოდს—საკვებ ნივთიერებათა შეზელას კანში. ამ მიზნით საკვებ ნივთიერებებიდან, რომლებშიც შედიოდნენ ცხიმები, წყლონახშირმანები და ცილები, დამზადებული იქნა ცომის მსგავსი მასა, რომელსაც ავადმყოფს უზელდნენ კანში და ამრიგად გაახანგრძლივეს მისი სიცოცხლე (ს. ღ. ს.).

## ულტრა-იისფერი სხივები მესაქონლეობაში



ჩვენ ვიცით, რომ ულტრა-იისფერი სხივები მოქმედობენ ადამიანის სისხლზე, ხელს უწყობენ ვიტამინების შექმნას, რამაც მეცნიერებს აფიქრებინა მისი გამოყენება რახიტის სამკურნალოდ. ახლა კი, საფრანგეთში ულტრა-იისფერი სხივებით მკურნალობენ ძროხებს. ამ სხივების ზეგავლენით მჭლე და სუსტი ძროხები არა თუ ჯანსაღდებიან, არამედ მათ რძეს ანტირახიტული თვისებებიც ეძლევა.

# ქრონიკა

**უკრაინის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია**

გუშინ უკრაინის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია გაემგზავრა ზაჰესის დასათვალიერებლად, სადაც მათ დაჰყვეს საღ. 5 საათამდე. დღეს დელეგაცია გაეცნობა ზოგიერთ დაწესებულებებს და კომკავშირის მუშაობას წარმოება-დაწესებულებებში.

დღესვე დელეგაციას განზრახვა აქვს გაემგზავროს ბაქოში.

**ნიკოტინის წარმოება**

საქ. ლაბორატორიული საგნების მომარაგების სამმართველო შეუდგა სამზადისს ნიკოტინის წარმოების დასაწყებად. ნიკოტინი ითვლება უძვირფასეს საექსპორტო საქონლად, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ყველა ქვეყნების ბაზრებზე. ნიკოტინს ხმარობენ ძვირფასი სიგარების დასამზადებლად. დღემდე, საბჭოთა კავშირში არ იყო გამონახული ნიკოტინის დამზადების საშუალება. ჩვეულებრივათ ნიკოტინს ამზადებენ ცუდი ხარისხის მოსაწევი თამბაქოდან, მაგრამ საბჭოთა კავშირში თამბაქოდან მაღალ პროცენტიანი ნიკოტინის დამზადების წესი არავინ იცოდა. ამჟამად ეს საშუალება უკვე გამონახულია და თამბაქოს ნარჩენებიდან უკვე დამზადებულია 95 პროცენტიანი ნიკოტინი, რაც უმაღლესი ხარისხის საქონლათ ითვლება.

ახლო ხანში დაიწყება მაღალპროცენტიანი ნიკოტინის დამზადება უცხოეთის ბაზარზე გასატანათ.

**ახალი საშუამავლო ბიურო**

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საბინაო საშუამავლო ბიუროს პროექტი.

საბინაო საშუამავლო ბიუროს მთლიანად გადაეცემა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა და კერძო პირთა სახლებში არსებულ აღმასკომის საფონდო ოთახების გაცემა-განაწილების საქმე.

ბიურო აწარმოებს აგრეთვე ბინების გაცვლა-გამოცვლას.

**თბილისის აღმასკომში**

◆ **რესტორანის ადგილზე აფთიაქი.** თბ. აღმასკომის დადგენილებით დაიხურა რესტორანი „ელდორადო“, სადაც ეწყობა აფთიაქი.

◆ **თათბირი.** აღმასკომმა დაადგინა ახლო ხანში მოიწვიოს თემაღმასკომების სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი.

**სხვადასხვა**

◆ **ახალი დასასვენებელი სახლი.** საკურორტო სამმართველომ დაამტკიცა ცემში დასასვენებელ სახლის აგების გეგმა.

**ხელოვნების ქრონიკა**

◆ **„მეფე მხიარულობს“.** თბ. აღმასკომის თეატრში მუსიკალურ კომედიის კოლექტივის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „მეფე მხიარულობს“.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში 9 მაისს** გაიმართება კაზარიანის კონცერტი.

◆ **მე-41 შრ. სკოლის სასარგებლოდ** ხვალ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება კაზარიანის კონცერტი.

◆ **კონცერტი კომპოზიტორ გოკიელის ნაწარმოებებიდან.** მაისის შუა რიცხვებში სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება კონცერტი ახალგაზრდა კომპოზიტორ ვ. გოკიელის ნაწარმოებებიდან. კონცერტის პროგრამაში შევა—სკრიპკის, ვიოლონჩელის, როიალის და სხ. ნომრები.

◆ **ახალი პიესა.** საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მიიღო ს. შანშიაშვილის ახალი პიესა „ხალხის ბელადი“. პიესა დაწერილია 5 მოქმედებათ.

## თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-16 კრება

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-16 კრების მეორე სხდომაზე, 4 მაისის, საღამოს მოსმენილი იქნა მუშკოოპის გამგეობის წევრის ამხ. ფილიაშვილის მოხსენება დეფიციტიანი საქონლის განაწილების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დეფიციტიანი საქონლის განაწილება 1927 წლიდან უკანასკნელ ხანებამდე სწარმოებდა ორდერების სისტემით. ორდერებს წევრები ღებულობდნენ ინდივიდუალურად მუშკოოპის ინსტრუქტორებისაგან, რომლებიც მთელ თავის დროს ანდომებდნენ ამ ოპერაციას და დრო აღარ რჩებოდათ თავისი პირადი მოვალეობის შესასრულებლად. მომავლისათვის დეფიციტიან საქონლის განაწილებას უნდა მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი. პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებთან და მსხვილ ორგანიზაციებთან უნდა მოეწყოს კოოპერატიული კომისიები, ხოლო ცალკე წარმოება-დაწესებულებებში გამოყოფილი უნდა იქნენ კოოპორგანიზატორები, რომლებსაც უნდა დაევალოს დეფიციტიანი საქონლის განაწილება.

შემდეგ მოსმენილ იქნა მუშკოოპის გამგეობის წევრის ამხ. ძაგანიას მოხსენება მუშკოოპის მაღაზიებში დანაკლისებისა და გაფლანგვების შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ 1927 წლიდან მიმდინარე წლის აპრილამდე, მუშკოოპის მაღაზიებში აღმოჩენილ დანაკლისების და გაფლანგვების ჯამი უდრის 63.000 მანეთს. პასუხისგებაშია მიცემული 56 კაცი. გარდა ამისა, სადაოთ არის მიჩნეული 37 ათასი მანეთის დანაკლისი, რომლის გარშემოც სწარმოებს კვლევა-ძიება. გაფლანგვათა შემთხვევების ზრდას მომხსენებელი ხსნის იმ გარემოებით, რომ კოოპერაციის დიდი ზრდის გამო, კოოპერაციის სავაჭრო აპარატში შეიპარნენ ძველი ვაჭრები და ყოფილი კერძო ვაჭრების ნოქრები, რომლებიც აღზრდილი არიან კერძო ვაჭრული სულისკვეთებით და არავითარი წარმოდგენა არ აქვთ კოოპერაციის მიზნებზე. გარდა ამისა, გაფლანგვების ზრდას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები და სასამართლო გამფლანგველების წინააღმდეგ არ ღებულობენ სასტიკ ზომებს.

ამავე საკითხის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დუდაევ, რომელმაც აღნიშნა, რომ მართალია, არის ობიექტიური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაკლისებისა და გაფლანგვათა ზრდას, მაგრამ ამ საქმეში უდანაშაულო არ არის თვით მუშკოოპის გამგეობაც რომელმაც აქამდე ვერ შესძლო სათანადო სიმაღლეზე დაეყენებია თავისი საკონტროლო ნაწილი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია. ორივე მოხსენების გარშემო და კრება დაიხურა.

## სამრეწველო საქონლის ფასების მდგომარეობა

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, უკანასკნელ ხანებში მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ფასების მოწესრიგებას, ხოლო სამრეწველო საქონლის ფასების მოწესრიგებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, ვინაიდან ამ საქონლის ფასების სიმტკიცე უკანასკნელ ხანამდე არ იწვევდა არავითარ ეჭვს.

რამდენიმე ხნის წინედ საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმად კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებს ნება ეძლეოდათ დამოუკიდებლად შეემუშავებიათ ზოგიერთი საქონლის ფასები.

როგორც გამოირკვა, ეს დადგენილება კოოპერატიულმა და სახ. ვაჭრობის ორგანოებმა გამოიყენეს არა მიზანშეწონილად,—დაიწყეს აღნიშნული საქონლის ფასების გადიდება, რის გამოც საგრძნობლად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გასავალის ნაწილი. კერძოდ ამიერ-კავკასიაში, მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გასავლის ნაწილი კოოპერატიული ფასების მიხედვით გაიზარდა 8,7 პროცენტით, ხოლო კერძო ბაზრის ფასების მიხედვით—9,7 პროცენტით.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მსუბუქი კავალერიის საშუალებით ჩაატარა სამრეწველო საქონლის საცალო ფასების მდგომარეობის გამოკვლევა და აღმოაჩინა, რომ ერთსა და იმავე საქონელზე სხვადასხვა ორგანიზაციები აწესებენ სულ სხვადასხვა პროცენტულ დანართებს. მაგალითად, ძაფზე მუშკოოპი აწესებს დანართს 28 პროცენტს, „ზაკვოენპო“—16 პროცენტს, „ზაკტპო“ 16-დან 28 პროცენტამდე და „გრუზგოსტორგი“—28-დან—32 პროცენტამდე. სატრიკოტაჟო ნაწარმოებზე მუშკოოპი აწესებს—32-დან—42 პროცენტამდე, „ზაკვოენპო“ 35-დან—40 პროცენტამდე, „ზაკტპო“—30-დან—44 პროცენტამდე და „გრუზგოსტორგი“ 40-დან—44 პროცენტამდე. მზა ტანისამოსზე დადებული პროცენტული დანართი საშუალოდ უდრის 25 პროცენტს, პლაშჩებზე—29 პროცენტს.

გამორკვეული იქნა აგრეთვე, რომ ცალკე ორგანიზაციები პროცენტული დანართების ჯამს ადიდებენ დაუშვებელი წესით. მაგალითად, „გრუზგოსტორგ“-ს სატრიკოტაჟო ნაწარმოებზე ოქტომბერში დაწესებული ჰქონდა 12,06 პროც., ნოემბერში დანართი გადიდებული იქნა 14,01 პროცენტამდე, ხოლო დეკემბერში—18,16 პროცენტამდე.

გამოირკვა, რომ ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაცია „ზაკსოიუზი“ სათანადო ყურადღებას არ აქცევს საცალო ფასების მდგომარეობას და მიუხედავად იმისა, რომ მას მიცემული ჰქონდა დავალება, ჯერაც არ ჩაუტარებია საცალო ფასების ფართო გამოკვლევა.

აღმოჩენილი იქნა აგრეთვე, რომ ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციაში ადგილი აქვს მთელ რიგ არანორმალურ მოვლენებს: იმ დროს, როდესაც ა.-კ. ბაზარზე ადგილი აქვს ნარმის ნაკლებობას, „აზტექსტილ“-მა კერძო პირს მიყიდა 100.000 მეტრი ნარმა; ქუთაისის მაუდის ქარხნის პროდუქცია აქამდე უმთავრესად იგზავნება საბჭოთა კავშირის ბაზრებზე. ამასთანავე გამოირკვა, რომ ადგილობრივ მრეწველობის პროდუქციის ფასები სინდიკატურ მრეწველობის პროდუქციის ფასებს აღემატება 50—100 პროცენტით. აქამდე არავითარი ზომა არ არის მიღებული ადგ. მრეწველობის პროდუქციის ფასების შესამცირებლად.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი შეუდგა კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას აღნიშნული დეფექტების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. უახლოეს დღეებში შემუშავებული იქნება ძაფის, მზა ტანისამოსის და საცვლების მტკიცე ფასები.

# კინო

## კინო-ექსპედიცია სვანეთში

ამ ერთი თვის წინად სამეგრელოს გზით სვანეთში გაემგზავრა სახკინმრეწვის კინო-ექსპედიცია რეჟისორ კალატოზიშვილის, ოპერატორ გეგელაშვილის და მხატვარ ლეჟავას შემადგენლობით წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად სურათ „ბრმა“-ს (ს. ტრეტიაკოვის სცენარი) გადასაღებათ. უგზოობამ და თოვლის ზვავებმა ექსპედიციას მეტად გაუძნელა დანიშნულ ადგილას ჩასვლა და მუშაობის წარმოება. სოფელ ჯვართან გზა მთლიანად დაფარული იყო თოვლის ზვავებით, რაც დიდი სიძნელით იქნა გადალახული ექსპედიციის მიერ. ს. ჯვარიდან მესტიამდე 102 ვერსის მანძილზე გავლა ექსპედიციამ შესძლო მხოლოდ 6 დღის განმავლობაში, სოფელ ლახამულთან თოვლის დიდ ზვავს მდინარე ენგური თითქმის შეეგუბებია, მდინარეს ერთ ადგილას გაეკეთებია გრძელი გვირაბი თოვლის ზვავში, რაც მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. ეს საინტერესო ადგილი ექსპედიციის მიერ გადაღებული იქნა. მდინარე ენგურიდან 100 საჟენის სიმაღლეზე მიიმართებოდა ვიწრო ბილიკი, რომელზედაც ცხენისა და კაცის გავლა ერთად შეუძლებელი იყო. ამ ადგილიდან მუშაობის დროს, ცხენის ოდნავი შეტოკების გამო, გადავარდა ოპერატორი თავის აპარატით, მაგრამ იგი გადარჩენილ იქნა. მიუხედავად დიდი სიძნელისა, ექსპედიცია უვნებლად ჩავიდა დანიშნულ ადგილას. სვანეთის მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი გულმხურვალედ შეხვდნენ ექსპედიციის წევრებს და უწევდნენ მათ ყოველგვარ დახმარებას. სვანეთის ყოფა-ცხოვრებიდან მრავალი ძვირფასი მასალები იქნა შეგროვილი ექსპედიციის მიერ.

ამ დღეებში ექსპედიცია დაბრუნდა თბილისში და შეგროვილი მასალების მიხედვით შეუდგა პავილიონში სურათების გადაღებას. ამ ზაფხულს ექსპედიცია კვლავ გაემგზავრება აქტიორებთან ერთად ზემო-სვანეთში სურათის გადასაღებად.

◆ **„საბა“.** ამ დღეებში თბ. კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „საბა“. დადგმა რეჟ. მ. ჭიაურელის.

# სასამართლო

## აღმაშფოთებელი საზიზღრობა

დედას სოხუმში მოუხდა მოულოდნელად გამგზავრება და თავისი პატარა 8 წლის ანაიდა დაუტოვა მოხუცებულ მშობლებს ოსანა და ოლანეზ ბალოიანცებს, რომლებიც ცხოვრობდნენ თბილისში ბალაჯარის ქუჩაზე.

ბებია და ბაბუა ყოველმხრივ ცდილობდნენ ბავშის გართობას, შექცევას, რომ ბავშს უდედობა არ ეგრძნო და არ აქიზეზებულიყო. პატარა ხნის შემდეგ ბათომიდან ჩამოვიდა ბავშის ბიძა ბაგრატ ბალოიანცი, რომელმაც თავისი მოხუცებული მშობლების ოსანა და ოლანეზ ბალოიანცების ოჯახში მოიკალათა. ბაგრატ ბალოიანცი ბათომში ცხოვრობდა 8 წლის განმავლობაში იმის მოლოდინში, რომ როგორმე მოახერხებდა საზღვარ-გარეთ გასვლას, მაგრამ ფუჭი გამოდგა ოცნება უცხოეთზე. შემონახული ფული შემოელია და ისევ მშობლების ოჯახს მოაშურა თბილისში.

ბაგრატ ბალოიანცის ოჯახში დაბრუნების შემდეგ ბავშს ახალი გამრთობი გამოუჩნდა. ბებია და ბაბუას აღარ უხდებოდა იმდენად თავის შეწუხება. ბიძა ბაგრატი ეალერსებოდა ბავშს, ასაჩუქრებდა ტკბილეულით და სხვა-და-სხვა სათამაშოებით. ღამ-ღამობით ბავშს თან იწვენდა ლოგინში და უამბობდა ზღაპრებს ჩაძინებამდე.

გავიდა დრო. ანაიდას დედა ლუსიკა დაბრუნდა სოხუმიდან მშობლების ოჯახში. გაუხარდა, რომ მის ძმას ბაგრატს ასე უყვარს მისი ქალიშვილი, შეუჩვევია ისე, რომ ღამ-ღამობითაც მას თან იწვენს.

ერთ დღეს ანაიდა დედას შეჩივის, რომ ბიძიამ ის წუხელ ძალიან აწვალა. ამას დედამ ყურადღება არ მიაქცია. ის ფიქრობდა, რომ ბავშის „კაპრიზია“ ყველაფერი ეს. მას დედასთან ურჩევნია ძილი, მაგრამ რაკი ბიძას ასე უზომოდ უყვარს, არ უნდა დაუმალოს.

გადის დღეები. საქმე უკვე სერიოზულ ხასიათს ღებულობს. შვილი დედას შესჩივის ტკივილებზე.

და ამ ტკივილების შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ 8 წლის ანაიდა დაავადმყოფებულია ვენერიული სენით.

შემდეგ ბავშმა დაწვრილებით მოუთხრო დედას, როგორ აწვალებდა მას ძია ბაგრატა.

ასეთი საზიზღრობა ჩაიდინა ბაგრატ ბალოიანცმა, რომელიც ღირსეულ სასჯელს მიიღებს პროლეტარულ სამსჯავროსაგან.

**ბერ.**

# დოლი

გუშინ, 5 მაისს, გაიმართა ცხენების მესამე გამოცდა. პროგრამა შესდგებოდა ექვსი დოღისა და ერთი საჩვენებელი რბენისაგან. ექვსი დოღიდან — ორი გაიმართა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მოხალისე მხედართათვის.

**პირველი საბარიერო დოღში.** პირველი ადგილი საქ. ცხენოსანთა ლეგიონის „ბედუინმა“ დაიკავა. დისტანცია 2.200 მეტრი, ხუთი დაბრკოლებით, დაფარა 2 წ. 58 წამში. მას ორი კორპუსის დაშორებით მიჰყვა იმავე ლეგიონის „ბოიარკა“.

**მეორე დოღი** (მესამე ჯგუფის ცხენთათვის) გაიმარჯვა „დურ-დურ“-მა (სამხრეთ ოსეთი). დისტანცია 2,000 მეტრი გაირბინა 2 წუთში და 24 წამში. იგი ერთი კორპუსით „ზარია“-ზე (სომხეთი) წინ მივიდა ფინიშთან.

**მესამე დოღი** გაიმართა მეორე ჯგუფის ცხენთათვის. დისტანცია — 2.000 მეტრი ყველაზე ადრე (2 წ. 47 წამი) დაფარა „თურქესტანმა“ (საქართველო).

განსაკუთრებულის ინტერესით ჩატარდა მეოთხე და მეხუთე დოღები.

**მეოთხე დოღში** გამოვიდნენ მეოთხე ჯგუფის ჯიშნარევი ცხენები: „აგენტი“ (აზერბეიჯანი), „ლამარა — პირველი“ (საქართ.), „ზანგეზური“ (სომხეთი), „ვიბრაცია“ (მოქ. კურდიუმოვისა) და „კიუნი“ (ნახიჩევანი). დისტანცია 1500 მეტრი.

სტარტიდან ცხენები ჯგუფურად გაექანენ. რამდენიმე მეტრის შემდეგ დაწინაურდა „აგენტი“, მაგრამ მას მალე გაუსწრო „ლამარამ“ (მხედარი - ბავში ს. ვაჩნაძე), რომელსაც ერთხელ აღებული ინიციატივა აღარ დაუთმია და სტარტამდე ერთი კორპუსით წინ მიდიოდა. სტარტიდან ათი მეტრის დაშორებით მხედარმა ბ. კანბეგოვმა მარჯვედ აჰტუნა „აგენტი“ და წამოეწია „ლამარას“. მოსალოდნელი იყო უკანასკნელის უეჭველი დამარცხება, მაგრამ „ლამარა“-ს მხედარმა თავის დროზე მიიღო ზომები და დოღი „ლამარა“-ს გამარჯვებით დაბოლავა. „ლამარამ“ დისტანცია დაფარა 1 წ. და 07 წამში.

**მეხუთე დოღში,** რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ცხენსაშენის ორმა ინგლისურ ჯიშნარევმა ცხენმა („დარდიმანდი“ და „ლომის-თვალი“) და ექ. გ. ელიავას „ინფანტამ“, გათამაშებული იყო 400 მანეთიანი ჯილდო დისტანცია 1600 მეტრი.

სტარტიდან წასვლისას თავიდანვე დაწინაურდა „დარდიმანდი“, მას უკან მისდევდა „ინფანტა“ და მესამედ მიდიოდა „ლომის-თვალი“. მაგრამ „ინფანტა“ მალე უთმობს ადგილს „ლომის-თვალს“ და უკან რჩება. „ლომის - თვალი“ თითქმის გვერდი - გვერდ მიჰყვება „დარდიმანდს“, მაგრამ უკანასკნელის მხედარი პ. შმელიოვი მოხერხებულის ნახტომით მოქიშპეს უკან იტოვებს. ასე გრძელდება ფინიშამდე. „დარდიმანდი“ იმარჯვებს, იგი ერთი კორპუსით წინ მიდის ფინიშთან. დისტანციას 1 წ. 50 წამში ფარავს. „ინფანტა“ სამი კორპუსით რჩება უკან „ლომის-თვალს“.

**მეექვსე სადა დოღში.** სამხედრო უწყების ცხენებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გლეხ სულთანოვის (ბორჩალოს მაზრიდან) „სულთან - ფაშა-“მ.

დოღში მთელი ყურადღება ამ ცხენისაკენ არის მიმართული. მისი გარეგნობა, სიარულის მანერა და სისწრაფე უსათუოდ აღსანიშნავია, მაგრამ აშკარაა, რომ აკლია გაწვრთნა. ამით აიხსნება, რომ მან თავიდან აღებული მეორე ადგილი დოღში დასთმო და მესამე ადგილზე გამოვიდა. ეს ცხენი ამჟამად საქ. საწვრთნელ საჯინიბოში იმყოფება.

ამ დოღში გამარჯვება წილად ხვდა „ბატისტოვაიას“ (ამ.-კავ. ფეხოსანთა სკოლა).

ინტერესით ჩატარდა რბენა, რომელიც გამართული იყო საქ. ცხენთსაშენის ჩორთით მოსიარულე ულაყებისა და ფაშატებისათვის.

რბენაში გამოვიდნენ „ბაიათი“, „ოქრო“, „ონი“ და „ამირანი“. დისტანცია — 1600 მეტრი.

„ონი“ თავიდანვე ჩამორჩა დანარჩენ ცხენებს. სტარტიდანვე პირველი ადგილი „ოქრომ“ დაიკავა. „ბაიათი“ ხან მეორე ადგილს იკავებდა და ხან მესამეს. უკანასკნელ მოსახვევიდან მას სტარტამდე აღარ დაუთმია მეორე ადგილი.

„ოქრომ“ დისტანცია დაფარა 2 წ. 31 წამში. მას მიჰყვა „ბაიათი“ და უკანასკნელს „ამირანი“.

რბენაში ყურადღებას იქცევს ცხენების გარეგნობა და მათი კარგი გაწვრთნილობა.

—:—

**მარცხი.**

გუშინდელ დოღზე მარცხი მოხდა. პირველი საბარიერო დოღის დროს სტარტიდან წასვლისას „ანაიდა“ (ამ.-კავ. ფეხოსანთა სკოლა) დაეჯახა მოაჯირს და წაიქცა. მოხალისე - მხედარი პარამანოვი გადავარდა და მიიღო ორი ჭრილობა: შუბლის არეში გაუტყდა ლოყის ძვალი და დაუშავდა მარცხენა თვალი. უგრძნობ მდგომარეობაში იგი სასწრაფო დახმარების ავტომობილით გადააგზავნეს საავადმყოფოში.

# ფეხბურთი

## ბაქოს „დინამო“—თბ. მელითონეთა გუნდი

გუშინ, 5 მაისს, მოხდა მეორე შეჯიბრება ბაქოელებთან. სტუმრებთან თამაშობდა მელითონეთა გუნდი, ბაქოელებმა ამ შეჯიბრებაში სასტიკი დამარცხება განიცადეს. მელითონეებს ახასიათებთ სწრაფი ტემპით თამაში. ეს თვისება მათ გუშინაც გამოამჟღავნეს. თამაშმა თავიდანვე გაცხოველებული ხასიათი მიიღო. ინიციატივა მეტ წილად თბილისელების ხელში იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაქოელებიც საკმაოდ ხშირად აყენებდნენ თბილისის ჭიშკარს საფრთხის ქვეშ.

პირველი ტაიმის მეორე ნახევარში მელითონეების უპირატესობა აშკარა შეიქნა. უნდა ითქვას, რომ მათ ასეთი თავგამოდებით არ უთამაშნიათ არც ერთი მატჩში. ტაიმის ბოლომდე მათ სტუმრების კარებში გაიყვანეს სამი ბურთი, თავის ბადეში კი არ მიუღიათ არც ერთი და თამაშის პირველი განყოფილება დაამთავრეს 3:0.

მელითონეების მძლავრი შეტევა გრძელდებოდა მეორე ტაიმშიაც. მათ იერიში იერიშზე მიჰქონდათ და საშუალებას არ აძლევდნენ ბაქოელებს გარკვეულიყვნენ მდგომარეობაში.

შეჯიბრების დამთავრებამდე მელითონეებმა კიდევ სამჯერ გაარღვიეს სტუმრების კარები და მატჩი დაამთავრეს 6:2 (ორივე ბურთი ბაქოელებმა გაიტანეს პენალტიდან) თავის სასარგებლოდ.

—

დღეს ბაქოელებთან თამაშობს ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: **სოლოვიოვი, ვორონცოვი, მატიენკო, პარამანოვი, იმნაძე, რამიშვილი, ქოიავა, ფაჩულია, დიაკოვი, ვაჩნაძე და ქებაძე.**

# რკინის გზებზე

## დირექტივა სუსტად სრულდება

იმ მიზნით, რომ უქმე დღეების განმავლობაში რკინის გზებზე ადგილი არ ჰქონოდა შეფერხებას საქონლის დატვირთვა-გადატვირთვის საქმეში, ყველა სავაჭრო-სამეურნეო ორგანიზაციებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივის და საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილების თანახმად, წინადადება ჰქონდა მიცემული, ეწარმოებიათ მათ სახელზე მიღებულ ტვირთების გამოსყიდვა ან გაგზავნა ისევე, როგორც — ჩვეულებრივ სამუშაო დღეებში. ამასთანავე, ამ დღეებში რკინისგზებსაც განუწყვეტლივ უნდა ემუშავათ.

ზოგიერთმა ორგანიზაციებმა ეს დირექტივა და დადგენილება სავსებით ვერ განახორციელეს.

მაგალითად, ბაქოში 3 მაისს საწყობიდან არ გაუტანიათ სხვადასხვა ორგანიზაციების სახელზე მიღებული 240 ვაგონი საქონელი. ამ გარემოებამ გამოიწვია სადგურის ავსება ახლად მიღებული საქონლით.

თბილისში მდგომარეობა უკეთესია. დატვირთვა - გადატვირთვის სამუშაოები ნორმალურად მიმდინარეობს. მარტო 4 მაისს კლიენტებმა საბარგო სადგურიდან გაზიდეს 106 ვაგონი საქონელი.

### სარეკორდო თვე

აპრილის განმავლობაში ტვირთზიდვამ ამ.-კავკ. რკინის გზებზე სარეკორდო ციფრს მიაღწია. რკინისგზებით დღეში საშუალოდ გადაჰქონდათ 1870 ვაგონი ტვირთი.

ასეთი ინტენსიური ტვირთზიდვა ამ.-კავ. რკინისგზას არ ახსოვს მთელი მისი არსებობის პერიოდში.

### საცდელი მატარებლის გაწყვეტა

სურამის უღელტეხილზე, სამ ადგილას გაწყდა 1058 ტონის სიმძიმის საცდელი მატარებელი. მატარებელი ლიხში ჩაიყვანეს ნაწილ-ნაწილად.

# ნარევი

**პირით მზისკენ**

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ბერნარდ შოუმ აგო თავისთვის ხის მბრუნავი სახლი, რომელსაც, საჭიროების დროს, თავისი ხელით აბრუნებს „პირით“ მზისაკენ.

**კიდევ არის გამოუკვლევი კუთხეები**

გეოგრაფმა რონდონმა გააკეთა შესანიშნავი აღმოჩენა, რომელიც ამტკიცებს, რომ დედამიწაზე კიდევ მრავლად მოიპოვება უცნობი და გამოუკვლევი მიწები. კარტოგრაფიული გადაღების დროს ბრაზილიისა და ჰოლანდიის გვიანას საზღვარზე (სამხრეთ-ამერიკა) რონდონი წააწყდა დიდ, დაუსახლებელ ტერიტორიას, რომელიც მდიდარია შესანიშნავი საძოვრებით. ახლად აღმოჩენილი ტერიტორია ბრაზილიის დასახლებული რაიონებიდან დაშორებულია გაუვალი ტყეებით, მისი სივრცე 15.000 კვ. კილომეტრს უდრის.

---

აბასთუმანის სატყეოს თანამშრომლები: ვარლამ შუბლაძე, სევერიან ქყონია, ალექსანდრე ლაბაძე, თამარ ვაჩნაძე, ანგი რამიშვილი, გაბრიელ ყურაშვილი და დავრიშ ახმედოვი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომლის და მეგობრის მირიან ბურჭულაძის მეუღლის

**დოდო ფალავანდიშვილის**

უდროოდ დაკარგვის გამო ნ. 2648

---

თავზარდაცემული დედა მარიამი, მამა ონიფანტე და ძმა კაკო არველაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი და საყვარელი

**მიტუშა (ბუდუ) ონიფანტეს ძე არველაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, 7 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1659

---

შალვა მათეს ძე ცაგარელი, მეუღლით შუშანიკათი, ივანე მიხეილის ძე რუხაძე, მეუღლით მინადორათი, შვილებით ცუცუნა, ბუხუტა და ლილით, ვარლამ მიხეილის ძე ლომიძე, მეუღლით იულიათი, შვილებით მიშა და ვასოთი, ტიტე მოსეს ძე ლეჟავა ცოლით კატოთი, ქეთო მოსეს ასული შუბლაძისა, შვილით ვახტანგით გლოვობენ

**მიტუშა (ბუდუ) ონიფანტეს ძე არველაძის**

უდროოდ დაკარგვას ნ. (ც)

დღეიდან

კინო-პალასი
გაროლდ ლოიდი
ამერიკულ კომედიაში
შვილის-შვილი

კინო-არფასტო
ახალი კომედია
პატი და პატაშონი ზღვაში

კინო-სოლეი
მხატვრული სურათი
ტყის კაცი

სახკინმრეწვის კინოები

| | |
|---|---|
| განთიადი | სამშაბათიდან 7 მაისიდან ჩანგ |
| არფასტო | პატი და პატაშონი სურათში პატი ზღვაში |
| სოლეი | მხატვრული სურათი ტყის კაცი რეჟისორი სტაბოვოი |
| აპოლო | მეორე კვირა გრძელდება ჩიკაგო |
| მინიონი | ელენ ლიხტერი სურათში მორალი |
| პალასი | გაროლდ ლოიდი ახალ კომედიაში შვილის შვილი |
| დარბაზი | რიჩარდ ტოლმეჯი სურათში ცრუ ატორნეი |
| პროლეტარი | სამშაბათიდან 7 მაისიდან გრაფი მონტე-კრისტო 3 და 4 სერია |

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკისათვის საჭირო მუშა-ხელის
გადასამზადებელ კურსებზე მიმღები
— კომისია —

აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელნიც იცნობენ ქსოვას და განცხადებები აქვთ შემოტანილი კომისიის სახელზე გამოცხადდნენ საქართველოს აბრეშუმის ტრესტში (ყოროღანოვის ქ. № 7) 7 და 8 მაისს დილის 8—2 ნახ. საათამდე და საღამოს 6 საათიდან—9 საათამდე. შემდეგი ცნობების მისაწოდებლად.

1) ბირჟის რეგისტრაციის №№
2) კავშირის წევრობის შესახებ
3) სოციალური მდგომარეობის შესახებ.
4) პარტიულობის, ძირითადი პროფესიის და წლოვანობის შესახებ.

ნ. 2650

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ბონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეზ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება: დილ. 7—9 საათ.; ნაშუადღ. 4—5 საათ.; საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274—25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

# წერილი ნიუ-იორკიდან

ამერიკა, პირველ ყოვლისა, შეერთებული შტატებია!

ამერიკაში ხუთმეტამდე წვრილი სახელმწიფო არსებობს, მაგრამ ეს სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების უიღბლო დამატებაა.

ძერასავით დასტრიალებს თავზე შეერთებული შტატების ყოვლის შემძლე ხელი ამ პატარა სახელმწიფოებს. მთელი ეს შუა და სამხრეთ ამერიკის არე-მარე ქადრაკის ფიცარივით სძევს ამ ძლიერი ხელის გავლენის ქვეშ.

დღეს, რომ ერთ რომელიმე სახელმწიფოს უბრალო ნაფოტივით იქით გადატყორცნის, ხვალ აქეთ გამოსწევს. დღეს ორ ასეთ პატარა „ყვინჩილას“ ერთი მეორეს გადაჰკიდებს. ხვალ ორთავეს ქოჩორში წასწვდება და დაფუქსავს - გაურისხდება.

ამერიკის სრული ბატონი და მბრძანებელი ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებია. ჰყავს მას აქ ვინმე მოცილე და მოდავე?

ჰყავს უსათუოთ. ეს ძველი ინგლისია. თვით ამერიკის იმ ნაწილის უწინდელი ბატონი, სადაც ამჟამად შეერთებული შტატები სუფევს.

შეერთებულ შტატებს არაფრათ მოსწონს ბებერი ინგლისის წყალ-გაღმა შემოდავება. ამერიკის კაპიტალიზმის მოჭარბებული ძალა თავის კანში აღარ ეტევა და ჯერ კიდევ, ვინ იცის, რითი გათავდება ამ ორ მეზობლის ძველი და ახალი ანგარიშების გასწორების საქმე.

მაგრამ, რამდენათაც შტატები ბატონობს ამერიკაზე, იმდენათვე და კიდევ უფრო მეტათ ამერიკაზე გაბატონებულია ნიუ-იორკი. შტატებში ნიუ-იორკისაა პირველობა.

ნიუ-იორკი არ არის სატახტო ქალაქი. პრეზიდენტის „თეთრი სასახლე“ ვაშინგტონშია. იქ ზის შტატების პარლამენტი—(კონგრესი); ვაშინგტონშია ადმინისტრაციის ცენტრი. ვაშინგტონი მთავრობის სამყოფი და სამუშაო ადგილია.

ოფიციალურათ პირველობის კვერთხი ვაშინგტონს აბარია!

ნიუ-იორკი არამც თუ სატახტო ქალაქი არ არის, ის თვით საკუთრად ნიუიორკის შტატშიაც კი არ ითვლება მთავარ ქალაქად. ნიუიორკი უბრალო ქალაქია, მაგრამ ყველასათვის უეჭვო და უდაოა, რომ პირველობა ნიუ-იორკს ეკუთვნის; ამაში მას ვერავინ შეეცილება.

ეს პირველობა მან დაისაკუთრა თავისი ბანკებით, თავისი ბირჟით, თავისი კაპიტალით.

მაგრამ მთლად და მთელი ნიუ-იორკიც არ არის ამ პირველობის განმახორციელებელი.

საზოგადოთ ნიუ-იორკი იმ ვეებერთელა ქალაქს ჰქვია, რომელშიაც სათვალავით შვიდი მილიონი სული მოსახლე ცხოვრობს. თვით შტატებში კი ნიუ-იორკს ამ ქალაქის ერთს განსაკუთრებულ ნაწილს ეძახიან, რომელიც ერთს გაცილებით პატარა კუნძულზეა დაბჯენილი, ნიუ-იორკის მიდამო ერთი ზღვიდან ამოშვერილი კლდეა, რომელსაც სამი მხრივ ზღვა უვლის და ერთი მხრივ მდინარე ჩაუდის. აქაა დიდი ნიუ-იორკის გული; ამ ადგილს ჰქვია აქ — შტატებში — საგულდაგულოთ სახელი ნიუ-იორკი.

ამ საკუთრად ნიუ-იორკსაც აქვს საკუთრად დიდი საქმეების საკეთებლად აჩენილი ერთი განსაკუთრებული უბანი — ეს სახელოვანი ვოლ სტრიტია.

ეს მილიარდერების უბანია.

აქაა ნიუ-იორკის ბირჟა.

აქაა ის რამოდენიმე მთავარი ბანკი, რომელსაც უკავია ხელში უთვალავი სიმდიდრე. ამ პატარა უბნით არის სახელგანთქმული ნიუ-იორკი, ნიუ-იორკით შტატები, შტატებით ამერიკა.

ამერიკის სახე საუცხოვოთ სჩანს შტატებში.

შტატების ბერკეტი ნიუ-იორკია,
ნიუ-იორკის მაჯა ვოლ-სტრიტში ფეთქავს.

არსად ისე შიშვლად, ისე აშკარად არ სჩანს მთავრობის დამოკიდებულება გაბატონებული კლასის ნება-სურვილისაგან, როგორც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პრეზიდენტს „ხალხი“ ირჩევს. შტატების კონსტიტუცია „დემოკრატიულია“, მაგრამ დღეს ბევრი აღარ არის ისეთი ბრიყვი და გულუბრყვილო, რომ არ იცოდეს, თუ ვინაა ნამდვილი ამომრჩეველი; ეს უსახო და უსახელო ხალხი, თუ ვოლ-სტრიტის მთავარი შტაბი.

იქ თეთრ სასახლეში ზის ვოლ-სტრიტის დაყენებული, თუმცა ვითომც არჩეული კაცი, მაგრამ

„იგი წავა და სხვა მოვა,
„ტურფასა საბაღნაროსა“,

ხოლო ვოლ-სტრიტის შტაბს არჩევნები არ სჭირდება, ის ჯერ-ჯერობით მაგრად ზის. ზის და მმართავს ამერიკის შეერთებულ შტატების ბედსა და იღბალს.

როგორ მმართავს ვოლ-სტრიტი?

რა უჭირს და რა ულხინს ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებს?

ომის შემდეგ ჩრდილო ამერიკა ძალუმათ იზრდება და მატულობს. ამერიკის ბურჟუაზია თავის ტყავში აღარ ეტევა, ის წინ მიიწევს, მას აუცილებელი პირველობის დასაკუთრება აქვს გადაწყვეტილი.

მართლაცა, დღეს-დღეობით შტატების მეურნეობა მსოფლიო წარმოების ბევრს მნიშვნელოვან დარგებში თითქმის მონაზვრეა. მას ეკუთვნის: ქვა-ნახშირის ამოღებაში — 50 პროცენტი; ნავთის წარმოებაში — 70 პროც.; ფოლადის ჩამოსხმაში — 46 პროც.; (ზოგიერთი წყაროების მიხედვით ფოლადის ჩამოსხმას 50 პროც. ანგარიშობენ); თუჯის ჩამოსხმაში — 48-50 პროც. შტატების სავაჭრო გემებს შეუძლიათ მსოფლიოს საზიდი ტვირთის — 22 პროც. აწევა. შტატები ხმარობს ბამბის მსოფლიო მოსავალის 26 პროც. მსოფლიო საგარეო ვაჭრობის — 15 პროც. შტატების ხელშია.

ეს ცნობებიც საკმარისია შტატების სამეურნეო ძლიერების გასაზომავათ. გავიხსენოთ ისიც, რომ შტატების საერთო ავლადიდება შეადგენს 320,8 მილიარდ დოლარს. ეს იმდენივეა, რაც მთელი ავლა-დიდება: ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის ერთნახევარჯერ აღებული.

თუ თვითეულ ამ სახელმწიფოს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს შევადარებთ შემდეგს სურათს დავინახავთ:

აქვს ჩრდ. შტ.-თან შედარებით ინგლისს— 28 პროცენტი; საფრანგეთს — 21 პროც.; გერმანიას — 11 პროც.; იტალიას — 8 პროცენტი.

ამრიგათ, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების სიმდიდრე თითქმის 4-ჯერ მეტია, ვიდრე ინგლისის; 5-ჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთის; 9-ჯერ მეტია, ვიდრე გერმანიის და 12-ჯერ მეტია, ვიდრე იტალიის.

კაპიტალისტური ქვეყნის ასეთი დაწინაურება, პირველ ყოვლისა მსხვილი კაპიტალის განვითარებას ნიშნავს. უწინარეს ყოვლისა ამ მსხვილი კაპიტალის წონა და გავლენა იზრდება.

ჯერ კიდევ 1926 წელს კაპიტალის პატრონი ხალხის ერთი პროცენტი ჰფლობდა საწარმოო და საფინანსო დაწესებულებათა თანხების 80 პროცენტს. მას შემდეგ ეს ერთი პროცენტიც დახურდავდა, ამ რიცხვს მოაკლდა, მაგრამ მათი ხვედრითი წონა კიდევ მეტი შეიქნა, მათ ავლა-დიდებას კიდევ მოემატა.

საფინანსო და საწარმოო კაპიტალის ასეთი უზომო ზრდა სულ ახალ მდგომარეობას ჰქმნის შეერთებულს შტატებში და ამ მდგომარეობის მიხედვით მთელი რიგი ახალი ამოცანები დგას მის წინაშე.

პირველი, რასაც არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო, როცა აქაურს მდგომარეობას დაუკვირდები, ესაა ქალაქისა და სოფლის შორის დამოკიდებულების გამწვავება. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დღეს ერთი მეორის წინაა წამდგარი, ვითარცა სასტიკი და შეურიგებელი მტერი.

კაპიტალისტურ ურთიერთობაში ქიშპობა და მეტოქეობა სწყვეტს გამარჯვება - დამარცხების საკითხს. სოფლის მეურნეობა ვერ უძლებს მრეწველობის შემოტევას, ის იძულებულია უკან დაიხიოს.

სოფლის ჰირნახულის ფასი შორს ჩამორჩა ქალაქის მრეწველობის ნაწარმოების ფასს.

ამ ჩამორჩენის მიზეზების გამოკვლევა შორს წაგვიყვანს. ყველა მიზეზების გამოჩენა და გამორკვევა — მეტად რთული საგანია და იმის გაშუქება სასხვათაშორისოთ, გზადაგზა, ასე ვთქვათ—შეუძლებელია. არის ერთი გარემოება, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სოფლის ჰირნახულის ფასების დაცემაზე.

შევჩერდეთ ამაზე.

ქალაქის წარმოება - მრეწველობა ელვის სისწრაფით მიდის წინ. ერთი და იმავე საგანის დამზადებას, სულ უფრო და უფრო მცირე დრო და ადამიანის ნაკლები ჯაფა სჭირდება. თანაც მოჭარბებული საქონელი ქალაქის მრეწველობის უფრო ფართო ბაზრით სარგებლობს, რასაც შინა მოთხოვნილება ვერ ერევა ის სხვადასხვა ქვეყნებში გააქვთ და იქ შოულობს მუშტარს.

სოფლის მეურნეობის საქმე უფრო სხვანაირად არის.

ტეხნიკა ისე ჩქარი ნაბიჯით ვერ მიდის წინ სოფლათ, როგორც მრეწველობაში. ჰირნახულის მოყვანას შედარებით მეტი ჯაფა სჭირდება, მეტი მუშა ხელის დაბანდება; ეს თავისთავად აძვირებს ჰირნახულის თვითღირებულებას.

ამავე დროს ჰირნახულის ბაზარი არც ისე ფართე და უტევია, როგორც სამრეწველო საქონლის. ამერიკელი სოფლის მეურნის ნაწარმოებს დიდი მეტოქე ჰყავს: კანადა, არგენტინა, ავსტრალია, სადაც მოსავალიც კარგი იცის და მუშა ხელი გაცილებით უფრო იაფათ ფასობს.

ყოველივე ამის შედეგი ისაა, რომ სოფლის მეურნეს თავის, ვთქვათ, ერთ ფუთ ხორბალში არ შეუძლია იმდენი ფული ამოიგოს, რომ შეიძინოს მრეწველობის ისეთი საგანი, რომლის დამუშავებაში სწორეთ იმდენივე დროა დახარჯული და იმდენი მუშა არის მომცდარი, რაც მის ფუთი ხორბლის მოყვანას მოუნდა.

სხვანაირათ რომ ვთქვათ სოფლის ჰირნახულის ფასები ძალიან შორს ჩამორჩა ქალაქის მრეწველობის საქონელზე დადებულ ფასებს.

იყო განსხვავება; ჩამორჩენილი იყო სოფლის ნაწარმოების ფასები ქალაქის მრეწველობის საქონლის ფასებთან შედარებით: 1922 წელს — 22 პროცენტით; 1925 წ. —11 პროცენტით; 1927 წ. — 14 პროც.

რას ნიშნავს, რისი მომასწავებელია ეს გარემოება?

პირველ ყოვლისა, თუნდაც იმას, რომ სოფლის მეურნე თავის ნაშრომის თითქმის ერთს მეშვიდედს მუქთად უნდა შეელიოს და თავის მოთხოვნილების ასეთივე ნაწილი სხვა რაიმე „გარეშე“ შემოსავლით დაჰფაროს.

არის ისეთი მაგარი სულჩადგმული მეურნეები, რომლებსაც აქვსთ იმის საშუალება, რომ ამ ფასების დანაკლისს გაუძლონ, მაგრამ ის მეურნე, რომელიც თავის ჰირნახულის გასაღებამ უნდა არჩინოს და ამის გარეშე არაფერი არ გააჩნია, ის იძულებული ხდება, რომ ჰირნახულიდან ამოგებულ ფულს თავისი „უძრავ - მოძრავიც“ ნელ-ნელა უკან გააყოლოს. ეს კი თავისთავად, უფრო აძლიერებს მეურნეობის დაძაბუნებას, დასუსტებას და განიავებას.

ჩრდილო - ამერიკის შტატებში ეხლა ყოველდღიურ მოვლენათ გადაიქცა სოფლად მეურნეების (აქ მათ ფერმერებს ეძახიან აყრა და ქალაქისაკენ სამუშაოთ საძებნათ წამოსვლა.

აქაური სტატისტიკის მიხედვით, თვითეულ 100 სოფლის მეურნეში მხოლოდ 14 მუშაობს ისე, რომ ჰირნახულის გაყიდვაში ამოგებული ფულით თავის ნაწარმოების თვითღირებულებას ჰფარავს და ცოტაოდენი მოგებაც რჩება. დანარჩენებიდან, ნაწილი სანახევროთ კიდევ ლაფავს სულს, ნაწილი გაპარტახების, პირასაა მისული.

სიკვდილი და გაქრობა არავის არ ეხალისება. არც აქაური სოფლის მეურნეებია გახარებული და დალხინებული თავიანთი მდგომარეობით. სცდილობენ და მეცადინეობენ, რაც გაეწყობათ, რომ სოფელს შერჩენ, მიწა ხელიდან არ გაუშვან და ქალაქში დღიურ სამუშაოზე ხეტიალი არ დასჭირდეთ.

ამ გაჭირვებიდან გამოსავალი საშუალება, საზოგადოთ, ძნელი მოსანახავია. სხვაგანაც ყოფილა ასეთი მდგომარეობა და სხვაგანაც უძებნიათ ასეთი საშუალებები. ამ შემთხვევაში თითქმის ყველგან ერთი ხერხით, ერთი და იგივე ზომებით აპირებენ ფონის გასვლას.

— მოვუმატოთ მაშინდა სოფლის ჰირნახულს. გარედან ნუ შემოვუშვებთ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს. საბაჟოთ შემოვიღოთ მაღალი ბაჟები; ამით ვიპატივებთ თავს გარედან შემოტანილ ჰირნახულის მეტოქეობიდანო, იძლევიან ფერმერები წინადადებას.

მაგრამ ეს ვერ შველის მაინც მდგომარეობას, ვინაიდან შტატების სოფლის მეურნეების მოსავალს ადგილობრივი - შინაური ბაზარი ვერ მოერევა; მთელ ამ მოსავალს შინა ბაზარზე ვერ გაასაღებენ აქაური სოფლის მეურნეები.

— რაც მოგვრჩება, რასაც ჩვენ ბაზარი ვერ მოერევა, ეს ჰირნახული მთავრობამ შეიყიდოს შინაური ბაზრის ფასების კვალობაზე და თვითონ გაიტანოს გარეშე ბაზარზე გასასაღებლადო, იძლევიან რჩევას სოფლის მეურნეები.

ასეთია აქაური ფერმერების მოთხოვნილება, მაგრამ მთავრობის შეხედულება ამ საგანზე, რომ მეტი არ ვთქვათ, ცოტა სხვანაირია.

ჰირნახულის ფასების აწევა, უსათუოდ ქალაქის მრეწველობაშიაც გამოიწვევს ერთგვარ ცვლილებას. გაძვირდება ჰირნახული, მოიმატებს ხორაგეულის ფასი ქალაქში და მრეწველებიც იძულებული იქნებიან ისევ მოუმატონ მუშის ხელფასსაც. ხელფასის მომატებას კი აუცილებლათ თან მოჰყვება მრეწველობაში დამზადებული საქონლის ფასის მომატებაც.

ასე და ამრიგათ, სოფლის მეურნეებს ამგვარი ზომების განხორციელებით დიდი და ხანგრძლივი შეღავათი არ მიეცემათ.

აი ამიტომაც არის, რომ სოფლის მეურნეები მოითხოვენ: — ჩვენი ჰირნახული მთავრობამ შეიძინოსო. მაგრამ მაშინ ეს საკითხი უკვე პოლიტიკური საკითხის ხასიათსა ღებულობს და პოლიტიკური შინაარსით იმოსება.

შტატების მთავრობა აშენებს სამხედრო გემებს. ხუთი გემის შენება უკვე დაიწყეს, ამ მახლობელ სამ წელიწადში 15 საომარი გემი უნდა ააშენონ. არის დიდი მზადება და თავდარიგი. ეჭვი არაა, რომ ადრე იქნება, თუ გვიან შტატები ამ გემებსა და ამ ზარბაზნებს საქმეს გაუჩენენ; უეჭველია ამ გემებს ზღვაზე სასეირნოთ არ აშვებენ და, ამ ვეებერთელა ზარბაზნებით ბელურებზე ნადირობას არ დაიწყებენ.

აშკარაა, რომ მომავალ ომში სოფელმა უნდა მისცეს ამერიკის მთავრობას ზარბაზნების გასატენი ხორცი, ჯარი, სალდათი, ეს კარგათ იცის მთავრობამ, ამ გარემოებას, უწევენ ანგარიშს სოფლის მეურნეებიც.

ამის შესახებ ხმა მაღლა ლაპარაკი არ არის, მაგრამ ეს უსათუოდ არის ჩაგდებული ანგარიშში მთავრობასა და სოფლის მეურნეებს შორის მოლაპარაკებაში.

—ომის სიმძიმე ჩვენ დაგვაწვება კისერზე, ჩვენც საჭირო ვიქნებით, მაშ, მოგვეცით საშუალება, რომ გავძლოთ და ვიცხოვროთ, რომ ჩვენთვისაც საჭირო და საინტერესო იქნეს ამ ქვეყნის დაცვა და მისი ძლიერების განმტკიცებაო; ასეთია ფერმერების მოთხოვნის დასაბუთება.

ვაჭრობა და მოლაპარაკება აქ უკვე მარტო სხვადასხვა საქონლის ერთი - მეორეში გაცვლა - გამოცვლაზე კი აღარ არის, არამედ სოფლის ჰირნახულს სათავათ, სოფლის ახალგაზრდა სალდათის ფორმაში გამოწყობილი, „შინაგანი და გარეშე“ მტრების „შეტევა და თავდაცვისათვის“ შეიარაღებული ფერმერიც თან მოსდევს.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ საჭიროა იმის თქმა, რომ ეს საკითხი, მართლაც მეტად რთულია, ძნელად გადასაჭრელი.

საქმე ისაა, რა ფასს შეაძლევს შტატების ბურჟუაზია მთავრობის პირით. სოფლის მოსახლეობას ამ სათავეთ გამოყოლებულ „დამატებაში“?

ბჭობა და ლაპარაკი ამის შესახებ ჯერ არამც თუ არ გათავებულა, არც კი დაწყებულა ხეირიანათ.

ეს საკითხი შარშან ძალიან გამწვავებული იყო, ამიტომ არჩევნების დროს, როგორც ჰუვერი, ისე სმიტი დიდსა და მრავალს იმედებს აძლევდა ამრჩევლებს—ფერმერების საკითხების მოგვარებას დიდს ყურადღებას მივაქცევთო!

არჩევნებში ჰუვერმა გაიმარჯვა და ნისიათ გაცემული თამასუქების განაღდება იმას შეხვდა წილად.

ჰუვერი აირჩიეს, ჰუვერი ავიდა პრეზიდენტის ტახტზე.

თეთრ სასახლეში დაბინავებამდე —ასეთია წესი და ადათი—პრეზიდენტმა სიტყვა უნდა წარმოთქვას და ამ სიტყვაში უნდა გადმოალაგოს თავისი მრწამსი, თავისი მომავალი მუშაობის გეგმა და შინაარსი. ასეთია წესი—ასე ჰქნა ჰუვერმაც.

ყურებ დაცქვეტილი შესჩერებოდენ ხაზაში ჰუვერს სოფლის მეურნეობის ხალხი, ფერმერები, მოელოდენ მისგან გაკეთებას, გაბედნიერებას, მაგრამ ჰუვერის სიტყვა არ იყო მაინცა და მაინც საგმისოთ მიმართული, რომ ცხადათა და ნათლად გამოეაშკარავებინა მომავალი მუშაობის ხაზი და მიმართულება.

ბუნდოვანი ქარაგმები ჰუვერს ბევრი შემოეხარჯა, მაგრამ გარკვეული არაფერი უთქვამს. სოფლის მეურნეების დასაშოშმინებლად მას მაინც დასჭირდა ბარე ორი ახალი შეპირების მიცემა:

— მე მივიღებ ზომებს, რომ სოფლის მეურნეობაში ფეხი ამოიკვეთოს შუამავალმა, ჩარჩმა, დალალმა, მის მაგივრად მე ხელს შევუწყობ კოოპერაციის განვითარებას. ამიერიდან სოფლის მეურნეობის სრული ფასი თვით მეურნეებს დარჩებათ ხელში და ამითი რასაკვირველია, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებაო—წარმოსთქვა ჰუვერმა სოფლის ხალხის გასაგონათ.

მაგრამ, ალბათ, თვითონვე შეატყო, რომ ეს ზომა სრულებითაც ვერ შეანელებს სოფლის გაჭირვებას და ვერ გამოიწვევს მეურნეების დაკმაყოფილებას, ამიტომ ზემოთნათქვამს კიდევ დაუმატა შემდეგი:

— ჩემი მართველობის დროს, მე მოვაწყობ და დავამყარებ მუდმივ სათათბიროს სოფლის მეურნეობის საკითხების შესასწავლად და მოსაგვარებლადო.

ჰუვერი ეხლა უკვე კარგა ხანია, რაც მოკრძალებითა და სახოებით ეწევა პრეზიდენტის ჭაპანს, სცდილობს, მუშაობს, რაც გაეწყობა... მაგრამ სოფლის მეურნეობის საკითხი პირდაღებული აჩრდილივით სდგას, მისთვის ჯერ არავის მოუცლია. სოფლის მეურნეობის და მეურნეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯერ-ჯერობით ჩხირიც კი არავის გაუტეხია.

გაზეთები წარა-მარა სწერენ თვითეულ წვრილმანს, რაც კი ჰუვერის მუშაობას ეხება. არამც თუ თვით ჰუვერი, არამედ ჰუვერის მეუღლეს რამდენჯერ დააცემინა ცხვირი რომელიმე ორშაბათს, ან პარასკევს, ეს არამც და არამც არ გამოეპარება აქაურ გაზეთებს.

მაგალითად 6 აპრილის გაზეთებში ასეთი ცნობებია ჰუვერისა და მისი მეუღლის შესახებ.

„თეთრ სასახლეში“ მთხოვნელებსა და მნახველებს. ამ დღეს მან 1757 კაცს ჩამოართვა ხელი. ამით ბატონ პრეზიდენტს ისეთი ჯაფა დაადგა, რომ სტუმრების წასვლის შემდეგ მას მარჯვენა ხელი გაუსივდა“-ო.

ამის შემდეგ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ყველა ის ზომები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ჰუვერს ამდენი ხელის ჩამორთმევა არ დასჭირდეს და ხელახლა არ გაუსივდეს ხელი.

იქვე იმავე დღეს და იმავე გაზეთში ქალბატონ ჰუვერის შესახებაც არის შემდეგი ცნობა:

„ქალბატონი ჰუვერი თვითონ დადის თავის ავტომობილით, შოფერი მას არ ჭირდება. ამ რამდენიმე დღის წინად ვაშინგტონში ერთმა მგზავრმა ვერ იცნო ქალბატონი პრეზიდენტის მეუღლე და მკაცრად მოსთხოვა, რომ ავტო შეეჩერებიაო“.

ეს ერთი დღის ამბავია, მაგრამ ასეთი ამბები ყოველდღე აქაურს გაზეთებში. შტატების მცხოვრებლებმა საუცხოვოთ იციან, რამდენი წევარი და მეძებარი ჰყავს ბატონს ჰუვერს, სად რომელი ძაღლია დაბინავებული. გუშინ რა მიირთვა და ხვალ რას გეახლებათ. მაგრამ არავინ არ იცის, თუ რას აპირებს ჰუვერი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სოფლის მეურნეები?

სოფლის მეურნეები, უცდიან, კოტრდებიან, თავს ანებებენ სოფელს და ქალაქს აწყდებიან, სამუშაოს საშოვნელად ქარხნებსა და ფაბრიკების კარებთან არიან ატუზული.

მთავრობა არ ჩქარობს ამ საკითხის გადაჭრას, სცდილობს მის გაჭიანურებას, მაგრამ როდემდე?

მეორე რთული და მძიმე საკითხი შეერთებული შტატებისათვის არის უმუშევრობის საკითხი.

შეერთებული შტატების მრეწველობა დაქვეითებისაკენ არ მიდის, პირიქით, მისი მრეწველობა საარაკო სისწრაფით ვითარდება, მიუხედავად ამისა, შეიძლება სწორეთ ამის გამოისობით, უმუშევართა რიცხვი რასაც მატულობს, თორემ არ იკლებს.

ამჟამად შეერთებულ შტატებში 4.000,000 უმუშევარია ანგარიშში გატარებული. უმუშევართა ნამდვილი რიცხვი კი ამაზე მეტია.

რითი აიხსნება უმუშევართა რიცხვის ასეთი მოჭარბება?

მიზეზი ბევრია. ერთი მათგანი ისაა, რომ მრეწველობაში ტეხნიკა მეტად ჩქარის ნაბიჯით დაწინაურდა. მრეწველობის ზრდა ვერ გაჰყვა მხარდამხარ ტეხნიკის განვითარებას. ამიტომ დღეს შტატებში ასეთ სურათს ვხედავთ: ვთქვათ იზრდება მრეწველობის რომელიმე დარგი და თან ამ დარგში ჩაბმული მუშების რიცხვი კი კლებულობს.

ავიღოთ რამდენიმე დარგი და შევადაროთ მათი ზრდა და მუშათა რიცხვი 1923 და 1925 წლის ერთი-მეორესთან დაპირდაპირებით.

| მრე წვ. დარგი | გაიზარდა | მუშათა ხელს მოაკლდა |
|---|---|---|
| ნავთის წარმოება | 84 პროც | 5 პროც. |
| თამბაქოს წარმოება | 53 „ | 13 „ |
| მშენებლობის დარგი | 11 „ | 15 „ |
| ავტომობილებ. წარ. | 70 „ | 48 „ |
| თამბაქოს წარმოება | 53 „ | 13 „ |

აშკარაა, მრეწველობა იზრდება, მუშათა რიცხვი კი მცირდება. უმუშევრობას სოფლიდან აყრილი და ქალაქისკენ წამოსული სოფლის მეურნეობის მუშები და გაკოტრებული მეურნეებიც აძლიერებენ.

აი მეორე სატკივარი, რომელსაც ზერელედ მალამოს წაცხება ვერ მოარჩენს. საჭიროა, მაგარი წამალი, საჭიროა სწრაფი და ძირითადი ზომების მიღება!

როგორ უპირობენ ამ სატკივარს მოშუშებას, რა გეგმა აქვს ამის შესახებ ჰუვერის მთავრობას?

ამერიკის კარების ჩაკეტა სხვადასხვა ქვეყნებიდან წამოსული ხალხისათვის, ასეთია პირველი ზომა.

იყო დრო, როდესაც ამერიკულ მრეწველობას არ ჰყავდა საკმარისათ მუშა-ხელი. ამიტომ ამერიკა არამც თუ აბრკოლებდა, პირიქით ხელს უწყობდა უცხოეთიდან ამერიკაში ხალხის გადმოსახლებას.

ეხლა ამერიკას ჭარბათ ჰყავს მუშები, ამიტომ ხალხის შემომატება მას აღარ ესაჭიროება. ამითია გამოწვეული ის კანონი, რომლითაც ამერიკას უნდა თავი დაიცვას სხვადასხვა ქვეყნებიდან ხალხის შემოსვლისაგან. ეს კანონი ამ რამდენიმე წლის წინათ შემოიღეს, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში მას უფრო და უფრო უჭერენ მუხრუჭს. წლიურად შემომსვლელთა რიცხვს სულ თანდათან აკლდება და ამერიკაში გადმოსახლებას უფრო და უფრო აძნელებენ.

ჰუვერიც ჰპირდება ამომრჩევლებს:

— ამერიკაში შემოსავლელ კარებს კიდევ უფრო მაგრად დავკეტავ, ურდულს კიდევ უფრო გავამაგრებო!

ეს პატარა საკერველია და იმისი საშუალებით ამოდენა ნარღვევის გამთელება შეუძლებელია.

აქაც ჰპირდება ჰუვერი სხვადასხვა ზომების მიღებას.

აპირებენ, მაგალითად: საზოგადო სამუშაოების მოწყობას: ზოგიერთი მდინარეების ნაპირების გამაგრებას, ჯებირების აშენებას, ამ საქმეს, მართალია, ბევრი ფული დასჭირდება და უმუშევრობაც შენელდება, მაგრამ ეს სამუშაო დროებითია და ამ მოკლე დროშიაც ვერ მისცემს ყველა უმუშევარს საზრდოსა და სარჩენს.

ეს საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება.

თეთრ სასახლეში სხვანაირი წამლის მზადება არ იციან, ხოლო იმათ, ვისაც ეს და ბევრი ამის მსგავსი სატკივარი აწუხებს, თვითონ ჯერ არ მოუკიდიათ ხელი ამ საქმისათვის.

**პ. მ. საყვარელიძე.**

ნიუ-იორკი, აპრილი.

ტირაჟი—40.046
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.